# ალია

N24/3340/ 4-6 მარტი 2016 წ | ფასი 1 ლარი

ორშაბათი ალია | ოთხშაბათი ალია | პარასკევი ალია

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“ ლორდი ექტონი 1877 წელი

WWW.ALIA.GE გამოდის 1995 წლიდან


რატომ არ იწყებს კონკურენციის სააგენტო საფთიაქო სფეროს შემოწმებას?!



3

## „დღეს ყველაზე მძიმე მდგომარეობაში არის ბიძინა ივანიშვილი, რომელმაც ელემენტარულად არ იცის და ვერც ვერავინ ურჩევს ამ სიტუაციაში რა არის სწორი ნაბიჯი, ვინ დასაჯოს და ვინ — არა“

„ბიძინა ივანიშვილის სამართლიანი გაცოფება „რიკოტეშიდით“ ხვდება პრემიერს, ის არის ლიდერი“



4

რაში ამხელენ მოსამართლეები ნინო გვენეტაძეს და იკვეთება თუ არა ამაში მურუსიძის ინტერესები?



11

რამდენით ნაკლები უნდა იყოს კურსი და რა უნდა გაკეთდეს ამისთვის?



9

## ნარმანია და მერია ისე გათავხედდნენ, უკვე 1 ცალ კალამში 1251 ლარს ხარჯავენ! 12

რისთვის დასჭირდა პრემიერს მწვავე განცხადების გაკეთება? რა მიზანი აქვს სასამართლოში დაწყებულ დაუსრულებელ სკანდალებს?



3

## რატომ დაიწყო შსს-მ 10-ლარიან დარღვევაზე 200-ლარიანი ჯარიმების გამოწერა?






7

თბილისის რომელ კორპუსებს ემუქრება ჩამონგრევა — „სამშენებლო მასალების შემოწმება ლაბორატორიებში აღარ ხდება“



6

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

გადაწყვეტილია — ევროპაში უვიზოდ ვივლით



10

ევროკომისიას თვლა არ სცოდნია! — კარგად იანგარიშონ, 267 ათასია მეტი, თუ 20?

ამ კომისიას არც მოსმენა სცოდნია — სად ილია II და სად სიძულვილის ენა?



ECRI Institute
The Discipline of Science. The Integrity of Independence

2

რატომ უნდა გადაიხადოს ეკონომიკის სამინისტრომ იჯარა შენობაში, რომელიც ისედაც მისი იყო



3

ვისაც კომუნალური შეღავათები დაუტოვეს, იმათაც კი საშინლად დატანჯავენ!



5

„კაცო, უკანალის მიცემა თუ გინდათ, გიშლით ვინმე?“



7

## „რესპუბლიკელები“ მმართველ კოალიციაში რჩებიან



„რესპუბლიკური პარტიის“ ლიდერებსა და პრემიერ-მინისტრს შორის გამართული შეხვედრის დასრულების შემდეგ გაკეთებული განცხადებებიდან ირკვევა, რომ პარტია რჩება კოალიციაში და აგრძელებს მუშაობას სტრატეგიული პარტნიორობის რეჟიმში.

დავით უსუფაშვილის თქმით, ეს იყო საქმიანი შეხვედრა.

მთავრობის კანცელარიაში პრემიერთან შეხვედრას ესწრებოდნენ თავდაცვის მინისტრი თინა ხიდაშელი, პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი, პარტიის თავმჯდომარე ხათუნა სამნიძე და პარტიის პოლიტიკური მდივანი, დეპუტატი დავით ბერძენიშვილი.

გიორგი კვირიკაშვილმა „ქართულ ოცნებაში“ არსებულ დაპირისპირებაზე საგანგებო განცხადება გაავრცელა.

პრემიერმა გააფრთხილა პარტნიორები და მოუწოდა, სადავო საკითხები კოალიციის შიგნით განიხილონ, წინააღმდეგ შემთხვევაში კი ცვლილებებიც არ გამორიცხა.

კვირიკაშვილი აცხადებს, რომ მიუღებელია დაპირისპირებაში თავდაცვის მინისტრის ჩართვა. (ნიუპოსტი)

## „მხოლოდ ერთ კაცს აქვს უფლება, მიუთითოს ვინმეს, რომ დატოვოს პარლამენტი“ — თამაზ მეჭიაური



თამაზ მეჭიაურის განცხადებით, იურიდიულად არავის აქვს უფლება, გოგი თოფაძეს პარლამენტის დატოვება მოსთხოვოს, მორალური უფლება კი მხოლოდ ბიძინა ივანიშვილს აქვს, რადგან „რესპუბლიკელებისა“ და „მრეწველების“ პარლამენტში მოხვედრა სწორედ მისი დამსახურებაა:

– იურიდიულად, მე მგონი, არავის აქვს მისთვის მანდატის ჩამორთმევის უფლება, გარდა მთლიანად პარლამენტისა, ისიც განსაკუთრებულ შემთხვევაში. მორალურად კი შეიძლება მხოლოდ ერთ კაცს ჰქონდეს უფლება, მიუთითოს ვინმეს, რომ დატოვოს პარლამენტი. ეს ერთი კაცი არის ის, ვინც ისინი გაიყვანა, ვინც უთითებს, ისიც და ვისაც უთითებენ, ისიც. მას, მე მგონი, არაფერი არ უთქვამს არავისთვის, – განაცხადა თამაზ მეჭიაურმა. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

# ევროკომისიას თვლა არ სცოდნია! — კარგად იანგარიშონ, 267 ათასია მეტი, თუ 20?



## ამ კომისიას არც მოსმენა სცოდნია — სად ილია II და სად სიძულვილის ენა?

ECRI Institute
The Discipline of Science. The Integrity of Independence.

„საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოება XXI“-ის დირექტორი ზვიად ტომარაძე იმ რეკომენდაციებზე საუბრობს, რომლებიც ევროკომისიამ საქართველოს მთავრობას წარუდგინა და კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ახალი საგნის, „მე და საზოგადოების“ სკოლებში დანერგვის საფრთხეს.

– განათლების სამინისტროს წარმომადგენლები და „ღვაწლმოსილი“ პარლამენტარები სკოლებში ახალი საგნის „მე და საზოგადოების“ დანერგვას კეთილშობილური მიზნებით რომ ამართლებენ, თან იქვე აღნიშნავენ ამ საგნის შემოღება დაკვეთა არ არისო, ამაზე რას იტყვიან? 1-ელ მარტს ევროპულმა კომისიამ რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ (**ECRI**) გამოაქვეყნა მოხსენება საქართველოს შესახებ. სადაც საქართველოს მთავრობას 23 რეკომენდაციას სთავაზობს. მათ შორის:

1. „საქართველოს ხელისუფლებამ ევროპულ კომისიას გვაცნობა, რომ საგანმანათლებლო სექტორში არ დანერგილა სპეციალური პროგრამები „ლგბტ“ პირთა მიმართ ტოლერანტობის ხელშეწყობისთვის, არც სკოლებში და არც უნივერსიტეტებში. დისკუსია ჰომოსექსუალიზმის არსებობაზე არ არის ჩართული სკოლის სასწავლო პროგრამებში. „ლგბტ“ საკითხებზე ბალანსირებული და ობიექტური სწავლების არარსებობის გამო მოსწავლეები მოწყვლადნი რჩებიან ქართველ საზოგადოებაში ფართოდ გავრცელებული ჰომო/ტრანსფობიური დისკურსის მიმართ. ევროპული კომისია იძლევა რეკომენდაციას, გადაიდგას ნაბიჯები „ლგბტ“ პირთა წინააღმდეგ მიმართულ შეუწყნარებლობასა და დისკრიმინაციასთან საბრძოლველად. ეს უნდა განხორციელდეს „ლგბტ“ თემსა და სახალხო დამცველთან თანამშრომლობით, რომელმაც უნდა მიიღოს სათანადო დახმარება „ლგბტ“- სადმი მიძღვნილი დეპარტამენტის შექმნაში. ასევე, შემუშავდეს სათანადო ელემენტები სკოლებში ცნობიერების ასამაღლებლად“.

2. „ამჟამად საქართველოში არ არის აღიარებული რაიმე სახის ერთსქესიანი პარტნიორობა. ეს იწვევს სხვადასხვა სახის დისკრიმინაციას სოციალურ უფლებათა სფეროში. ამ მხრივ, **ECRI** ხელისუფლების ყურადღებას ამახვილებს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციაზე **CM/Rec**(2010) 5 წევრი სახელმწიფოების მიმართ, სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძვლებზე დისკრიმინაციასთან ბრძოლის შესახებ. სქესის შეცვლის ოპერაციის კრიტერიუმები ბუნდოვანია და არ არის სტანდარტიზებული. ასევე, არ არის ცხადი მოთხოვნები ახალი გენდერული იდენტობის ცნობასა და მასთან დაკავშირებული დოკუმენტების ცვლილებასთან მიმართებით. **ECRI** განსაკუთრებულად ამახვილებს ხელისუფლების ყურადღებას ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 2048 (2015) რეზოლუციაზე. **ECRI** იძლევა რეკომენდაციას, რომ ხელისუფლებამ ნათელი სახელმძღვანელო პრინციპები შეიმუშაოს სქესის შეცვლის პროცედურებსა და მათ ოფიციალურ აღიარებასთან მიმართებით“.

გარდა ამისა, ევროპული კომისიის შეფასებასა და რეკომენდაციებში: საქართველოს პატრიარქი დადანაშაულებულია სიძულვილის ენით საუბარში, რადგან მან „ლგბტ“ ღონისძიებებს „ქართველი ერის შეურაცხყოფა“, ჰომოსექსუალიზმს კი „დაავადება“ უწოდა. საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდებს თურქი მესხებისთვის რეპატრიაციასთან დაკავშირებით ყოვლისმომცველი სამოქმედო გეგმა მიიღოს; წუხილია გამოთქმული, რომ ქართული მართლმადიდებლური ეკლესია სომხურ და კათოლიკურ ეკლესიებს სადავო ტაძრებს არ უბრუნებს; საქართველოში თურმე აჭარელ მუსლიმანებს თურქეთის აგენტებად მიიჩნევენ; გაზეთი „ასავალ-დასავალი“ მოხსენიებულია როგორც პროვოკაციული რიტორიკის მატარებელი გაზეთი; გაზეთი „ალია“ და ტელეარხი „ობიექტივი“ კი დადანაშაულებულია ქსენოფობიაში. იძლევა შემდეგ რეკომენდაციას, რომ ხელისუფლებამ გადახედოს მის კონტრაქტებს მედიასაშუალებებთან და გააუქმოს, ან აღარ განაახლოს ისინი, თუ მედია შეიმჩნევა რასისტულ ან ჰომო/ტრანსფობიულ სიძულვილის ენის გამოვლენაში. (postalioni.com)

**აჰა, ისევ „ალიას“ ახსენებენ, ისევ „ალია“ ეჩხირებათ ყელში, ისევ ჩვენ გვკბენენ და გვადანაშაულებენ არა მხოლოდ ქსენოფობიაში, არამედ იმაშიც, თითქოს „ოცნების“ მთავრობა რეკლამებით გვანებივრებს. კერძოდ, ანგარიშში ნათქვამია, რომ თითქოს 2013-2014 წლებში დაახლოებით 20 ათასი აშშ დოლარი მივიღეთ სარეკლამო კონტრაქტებისა და სხვა ხელშეკრულებათა სახით.**

**ნეტა ყოფილიყო, კაცო, თანაც 20 კი არა, 200 ათასი, მაგრამ გამორიცხულია, სისულელეს ამბობენ ანგარიშის ავტორები, რადგან 20 ათასი კი არა, 2 ათასი აშშ დოლარის სარეკლამო ხელშეკრულება არ დაგვიდია ამ ხნის მანძილზე არც ერთ სამინისტროსთან და სახელმწიფო სტრუქტურასთან (სამწუხაროდ!).**

**იყო სულ რამდენიმე ხელშეკრულება, თუმცა როგორც კი „პარტნიორის“ „კაიკაცობის“ შესახებ შევიტყვეთ და ბუნებრივია, ამის შესახებ დავწერეთ, ცხვირი ჩამოუშვეს სამინისტროებში — თუ ვთანამშრომლობთ, რატომღა გვაშავებთო.**

**რაღა თქმა უნდა, ერთი მეორეს ხელს არ უშლის! მედიის სხვა საშუალებებში როგორ არის, ვერ გეტყვით, მაგრამ „ალიასთან“ სარეკლამო ხელშეკრულება არასოდეს ყოფილა ინდულგენცია — სარეკლამო ურთიერთობა სხვა არის და დამნაშავის გამოაშკარავება — სხვა! ჰოდა, ეს ვერ გაიგეს და არ უნდათ, გაიგონ სახელმწიფო უწყებებში და თუ „გაბედე“ და დაწერე, რაც იმამაძაღლეს, მაშინვე წყვეტენ არა მხოლოდ სარეკლამო ურთიერთობას, კომენტარის გაკეთებაზეც იტყლარწებიან და ტელეფონზე აღარ პასუხობენ!..**

**იგივეს აცხადებდა „თავისუფლების ინსტიტუტში“ გამოზრდილი, „პირველი არხის“ ყოფილი შეფი, თამარ კინწურაშვილი, რომლის განვითარების ფონდმა შარშან ე.წ. ანგარიში გამოაქვეყნა, სადაც წერია, რომ თურმე ჩვენ, „ალია“ და „ქრონიკა“, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ვიღებთ თანხებს, მაგრამ კინწურაშვილმა ევროკომისიისგან განსხვავებით, ხელისუფლებისგან „დაფინანსება“ ლარებში დაგვითვალა: „იმ მედიასაშუალებებიდან, რომლებიც სიძულვილის ენით, ქსენოფობიით, ჰომოფობიითა და ანტიდასავლური განწყობების გაღვივებით გამოირჩევიან, რეკლამის განთავსების მიზნით საბიუჯეტო დაფინანსება 2013-2014 წლებში შემდეგ ორგანიზაციებს აქვთ მიღებული: გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ (63 923.33 ლარი), მედიაკავშირი „ობიექტივი“ (52 167,84 ლარი), „ალია ჰოლდინგში“ შემავალი გამოცემები: გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ (48 650 ლარი) გაზეთი „ასავალ-დასავალი“ (1 200 ლარი)“. ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, ვის მიწოდებულ ინფორმაციებს ეყრდნობა კომისია თავის ანგარიშში.**

**ამ „ბრალდებას“ „ალიამ“ მაშინვე გასცა საკადრისი პასუხი: პირველი — არაფერი მოუცია ხელისუფლებას, მაგრამ დავუშვათ, და თუკი ჩვენთან განათავსეს 48 ათას 600 ლარის რეკლამა, ამ პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტში საშემოსავლოს სახით გადახდილი გვაქვს 267 ათას 897 ლარი და 53 თეთრი. ესე იგი, გავეცით გაცილებით მეტი, ვიდრე მივიღეთ; მეორე — საქართველოს მთავრობამ გააკეთა განცხადება, რომ ეს არის გაზეთების გამოწერის თანხა. დიახ, ეს ის გამოწერაა, რომელიც კინწურაშვილის მამამარჩენალმა, მიხეილ სააკაშვილმა აკრძალა სახელმწიფო უწყებებში. ეს ჩვენი გაზეთების გამოწერა აკრძალა, თორემ თავის ბუჭურა პრესას და ჟურნალისტებს ლამის მილიონებს აყრიდა.**

**რაც შეეხება ქსენოფობიაში ჩვენს დადანაშაულებას, ანგარიშში შემდეგი მაგალითებია მოყვანილი:**

**1. „2015 წლის იანვარში გაზეთი „კვირის ქრონიკა“ წერდა: (ყოფილმა პრეზიდენტმა) ქართული პასპორტი მისცა 10,000-მდე უცხოელ მუსლიმს და აჭარა თურქეთის... აქცია, რომელიც ისედაც გათურქების საფრთხის წინაშე იდგა. დღეს ყველამ იცის, რომ ამ მოქალაქეთა გარკვეული ნაწილი ისლამური სახელმწიფოსთვის იბრძვის სირიაში...“**

**2. 2014 წელს თბილისში საერთაშორისო ფესტივალი მოაწყო ქრისტიანულ-ევანგელისტურმა ეკლესიამ. ამასთან დაკავშირებით გაზეთი „ალია“ წერდა: „ეს ჩვეულებრივი ანტიქრისტიანული შეკრებაა და მას არავინ არ უნდა დაესწროს“.**

**რა უნდა ამ კომისიას? როდესაც თურქეთის ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი ღიად აცხადებს, აჭარა თურქეთის ტერიტორიააო, ბათუმში თურქებმა ლამის მთელი ქუჩები შეისყიდეს და ანაფორიან მღვდელს ამ ქუჩაზე გავლის უფლებას არ აძლევენ, ეს თუ დავწერეთ ქსენოფობიაა? როდესაც 10 000 უცხოელს მოქალაქეობა ისე მისცა სააკაშვილმა, რომ არც კი შეუსწავლია, ვინ წესიერი ადამიანია, ვინ ტერორისტი და მანიაკი, ამის დაწერა ქსენოფობიაა? სხვადასხვა სექტებს თავიანთ ღონისძიებებზე ადამიანები მოტყუებით რომ მიჰყავს, ამაზეც არ უნდა დაიწეროს? ის რაც ევროკომისიისთვის ქსენოფობიაა, ჩვენთვის საზოგადოების გაფრთხილება, რეალური ინფორმაციების მიწოდებაა და ამ კომისის გამო, ასეთი საკითხების წერაზე ხელს არ ავიღებთ, კი ანგარიშები კი წერონ და იკითხონ.**

## „ჭორი გამოვიდა, რომ მაგდა და თავისი საყვარელი გაპარვას აპირებდნენ“ — პაპიძის დედამთილის სკანდალური ინტერვიუ



ქმარ-შვილის მკვლელობაში ბრალდებული მაგდა პაპიძის დედამთილი დუმილს არღვევს და „ნანუკას შოუსთვის“ მიცემულ ინტერვიუში დეტალურად იხსენებს იმ დღეს, როდესაც მისი შვილი და შვილიშვილი მოკლული იპოვეს.

ლილი მინდიკაურის თქმით, იმ ღამეს მის რძალს აღელვება არ ეტყობოდა და მშვიდად მოქმედებდა.

– მითხრა, რომ ომარმა ბავშვი ხაჭაპურის საჭმელად წაიყვანა. ძალიან რომ დააგვიანდათ, ვუთხარი, მოგვეკითხა. ომარის მეურნეობაში ჰყავდა ძმაკაცი. ვუთხარი მაგდას, დაურეკე, იქნებ იქ წაიყვანა ბავშვი-თქო. მითხრა, ვერ დავურეკავ, რადგან მიბრაზდება, როდესაც მას ან მის ძმაკაცს ვურეკავო. შემდეგ მე გადავწყვიტე, ომართან დამერეკა. ზარი გავუშვი, მაგრამ არ მიპასუხა. ღამის 2 საათი იყო, მაგდას დავურეკე, მოვიკითხე ომარი და ბავშვი. მითხრა, არ მოსულანო. ასევე, მითხრა, ეხლა მანქანით ვერ გავალ, პატრულის მეშინიაო, „პრავა“ არ ჰქონდა, ისე დადიოდა ქალაქში. ისე გავალ ფეხით, გავხედავო. კაი, მეც გამოგყვები-თქო, ვუთხარი. ამის თქმა იყო და ტელეფონი გამითიშა. როდესაც გასასვლელად მოვემზადე და გავედი, მაგდაც ამ დროს გამოვიდა. მითხრა, მესიჯი მომწერა და ეხლა მათ დასახვედრად გავდივარო... შედი და დაიძინე შენო. შევედი სახლში მეც. თუმცა ვერ დავიძინე, – იხსენებს მინდიკაური.

მისი თქმით, რამდენიმე ხნის შემდეგ კარზე ბრახუნმა გააღვიძა. მას მაგდამ უთხრა, რომ ომარი და თორნიკე გარეთ დასისხლიანებულები ეყარნენ.

– გასასვლელთან ეგდო ომარი. რომ მივედი, სულ მთლად გაყინული იყო. დავიწყე კივილი, ხალხს საშველად დავუძახე. ამ დროს მაგდა სად იყო და რას შვრებოდა, არ მახსოვს. რამდენიმე წუთში გამახსენდა ბავშვიც. ვიკითხე, თოკო სად არის-თქო და მანქანაშიაო, მითხრა. რომ მივედი ბავშვი „სიდენიების“ შუაში იყო ჩაკეცილი. იქიდან რომ ამოვიყვანე, ბავშვი ჯერ კიდევ თბილი იყო. სასწრაფო რომ მოვიდა თქვა, ორივე მკვდარიაო, – ამბობს მინდიკაური.

მკვლელობის მოტივზე იგი ვერაფერს ამბობს, თუმცა ერთ ჭორს იხსენებს, რომელიც რძალთან დაკავშირებით გაიგო.

– ჭორი გამოვიდა, რომ მაგდა და თავისი საყვარელი რამდენიმე დღეში გაპარვას აპირებდნენ, – ამბობს მინდიკაური.

## ამერიკის სპეცსამსახურებმა ,,ისლამური სახელმწიფოს“ ერთ-ერთი ლიდერი დააკავეს



ელიტურმა ამერიკულმა სპეცსამსახურმა ერაყში „ისლამური სახელმწიფოს“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხელმძღვანელი დააკავა და ის ერაყში, ქალაქ ერბილის წინასწარი დაკავების იზოლატორშია მოთავსებული.

აღნიშნულ ინფორმაციას ამერიკული გამოცემა „The New York Times“ აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებზე დაყრდნობით ავრცელებს.

როგორც გამოცემას სამინისტროს წარმომადგენლებმა განუცხადეს, დაკავებული ტერორისტი შესაძლოა, ერაყის ხელისუფლებას ან ერაყელ ქურთებს გადასცენ. (pia.ge)

## სოსო ცისკარიშვილი პრემიერის განცხადებაზე — კენჭები ნასროლია როგორც ერთი, ისე მეორე პარტიის ბაღში

– ჩემი აზრით, კენჭები ნასროლია როგორც ერთი, ისე მეორე პარტიის ბაღში. არ გამოვრიცხავ, რომ ამ განცხადების შემდეგ, ვინმეს ბაღში ყვავილების თაიგულიც აღმოჩნდეს, – ამის შესახებ ექსპერტმა სოსო ცისკარიშვილმა პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის განცხადებაზე კომენტირებისას განუცხადა. ექსპერტის თქმით, მისთვის მოულოდნელი იყო პრემიერ-მინისტრისგან მუქარის ტონი.

– ჩემი აზრით, კენჭები ნასროლია როგორც ერთი, ისე მეორე პარტიის ბაღში, არ გამოვრიცხავ, რომ ამ განცხადების შემდეგ, ვინმეს ბაღში ყვავილების თაიგულიც აღმოჩნდეს. ბევრად უკეთესი იქნებოდა, რომ ასეთი ინფორმაცია ჰქონოდათ დაპირისპირებულ მხარეებს თუნდაც ერთი თვით ადრე, ქვეყანაში ამ თემაზე ზედმეტი შფოთი არ ყოფილიყო მედიასივრცის ჩართულობით. ვფიქრობ, პრემიერი მხარეებთან ინდივიდუალურ შეხვედრებში შეძლებდა, უფრო მალე მიეღწია იმ შედეგისთვის, რომლის სურვილიც მას აქვს, – განაცხადა სოსო ცისკარიშვილმა.

ექსპერტი მიიჩნევს, რომ რაც უფრო მალე დასრულდება ამ გაუგებრობაში ჩართულ ადამიანთა კამათი, მათ მეტი შესაძლებლობა ექნებათ განაგრძონ საკუთარი ვალდებულებების შესრულება.

– მე მივესალმები პრემიერ-მინისტრის სრულიად მკაფიოდ ჩამოყალიბებულ აზრს როგორც მთავრობის წევრთა მიმართ, ასევე იმ მეოცნებათა მისამართით, რომლებსაც პერსპექტივაში ჯერ კიდევ ელანდებათ სტალინიზმისა და პუტინიზმის დიდებით სარგებლობა, – განაცხადა სოსო ცისკარიშვილმა. (ინტერპრესნიუსი)

ნინო ლაზარტყავა
571 99-92-33



**„ალიას“ ექსპერტი თორნიკე შარაშენიძე ესაუბრა:**

**— პრემიერ გიორგი კვირიკაშვილის განცხადება როგორ აღიქვით, ეს იყო უბრალოდ გაფრთხილება თოფაძე-ხიდაშელისთვის, თუ შესაძლოა, ხიდაშელს მინისტრის პოსტი დაატოვებინონ, „მრეწველებს“ და „რესპუბლიკელებს“ კი კოალიცია?**

– არა მგონია, გარიცხვა ახლა მოხდეს. ეს, რა თქმა უნდა, გაფრთხილებაა და ჩემი აზრით, ეს უფრო რეაქციაა გადაცემა „არჩევანში“ თინა ხიდაშელის გამოსვლაზე, სადაც მან თავის თავზე მესამე პირში ისაუბრა, ვიღაც-ვიღაცებს ჭკუა დაარიგა და როგორც ჩანს, ერთი ადამიანის აზრით, ძალიან შეტოპა.

**— თოფაძე-ხიდაშელის დაპირისპირება მას შემდეგ გამწვავდა, როდესაც თოფაძემ თავდაცვის მინისტრი საგარეჯოს არჩევნების გაყალბებაში დაადანაშაულა. თქვენ რას თვლით დაპირისპირების რეალურ მიზეზად?**

– მიზეზი არა მგონია, ის იყოს, ხიდაშელმა არჩევნები გააყალბა თუ არა, რატომღაც ახლა რომ გაახსენდა ეს თოფაძეს და ადრე არ ახსოვდა. როდესაც პოლიტიკოსებს ეხება ხოლმე საქმე, მიზეზი გაცილებით ბანალურია ხოლმე – როგორც წესი, ეს არის ფული. ასე რომ, მიზეზი, პირველ რიგში, შეიძლება ფული იყოს. მე ილუზიები არავისზე არ მაქვს, მით უმეტეს, პოლიტიკოსებზე და როდესაც ადამიანი მილიონებს იღებს ტენდერიდან და ამას გადაუკეთავენ, ბუნებრივია, აქვს გაბრაზების საფუძველი. ასე რომ, არა მგონია, თოფაძე ახლა იმის გამო აღშფოთდა, რომ საგარეჯოში არჩევნები გაყალბდა.

**— თავდაცვის სამინისტროში 2016 წელს თოფაძის კომპანიის ლიმონათის ტენდერში წაგებას გულისხმობთ?**

– დიახ, რადგან არა მგონია, ამ ასაკში თოფაძეს დემოკრატიაზე გული აუჩუყდა.

**— ბევრი თვლის, რომ 400 ათასი ლარის გამო თოფაძე ამხელა ამბავს არ ატეხდა... ოპოზიციური პარტიების ნაწილი რატომღა დაუპირისპირდა კოალიციას? მაგალითად, ედპ აცხადებს, კოალიციაში ანარქიაა და მათთან პროდასავლური ძალების თანამშრომლობის რესურსი არ არსებობსო. რაში გამოიხატება პროდასავლური კურსიდან გადახვევა, ამას რატომღაც არავინ აკონკრეტებს ხოლმე...**

– ჩემთვის ეს გამოიხატება, სიტყვაზე, პრორუსულების მომრავლებაში ბევრ სფეროში. კიდევ იმაში, რუსული მეხუთე კოლონა გათავხედებულია იმდენად, რომ კანცელარიის წინ მიტინგი გამართოს. მთავრობა ამაზე რომ თვალს არ ხუჭავდეს, ეს, ალბათ, არ მოხდება და მინიმუმ, თვალს რომ ხუჭავს, ეს ფაქტია. რაც შეეხება ოპოზიციას: არჩევნები ახლოვდება და ბუნებრივია, მსგავსი ბრალდებები მოიმატებს, ამაში გასაკვირი არაფერია. არჩევნების მოახლოებას ბევრი რაღაც შეიძლება დავუკავშიროთ, ამას ხელს უწყობს მთავრობის თავმოუბმელობა, როდესაც ისინი, ელემენტარულად, ვერ ახერხებენ იმას, რომ მოსახლეობამდე, ამომრჩევლამდე თავიანთი სათქმელი ნორმალურად მიიტანონ. თუნდაც ის გავიხსენოთ, რა ხდებოდა, როდესაც დაიწყო მითქმა-მოთქმა იმაზე, რომ „გაზპრომთან“ დაიწყო მოლაპარაკებები. რვა თუ ცხრა ურთიერთგამომრიცხავი და ურთიერთსაწინააღმდეგო მესიჯები მოვისმინეთ ჩვენი მთავრობისგან და საბოლოო ჯამში, რა ხდება, დღემდე ვერ გავიგეთ რეალურად. ამიტომ, როდესაც მთავრობა ასე მუშაობს, რომც არ იყოს პრორუსული, ამაზე ეჭვები გაჩნდება.

**— „გაზპრომი“ ახსენეთ და უკვე ცნობილია, რომ ამ კომპანიასთან მოლაპარაკებები, ფაქტობრივად, აღარ გაგრძელდება, რადგან გაზის იმ სხვაობას, რაზეც საუბარი მიდიოდა „გაზპრომთან“, აზერბაიჯანული კომპანია მოგვაწვდის.**

– არ ვიცი, რა დასრულდა, მაგრამ, როგორც საბოლოო ჯამში ირკვევა, რომ ამ მოლაპარაკებებს ერთი მიზანი ჰქონდა: ცოტა ფასი დაეწიათ ჩვენთვის და როგორც ჩანს, ამ მიზანს მიაღწიეს. თავიდანვე რომ ეთქვათ წესიერად და კარგად აეხსნათ, რაში სჭირდებოდათ „გაზპრომთან“ მოლაპარაკება, მე მგონი, ტრაგედია არ მოხდებოდა, მაგრამ თავიანთი თავმოუბმელობით შექმნეს მითქმა-მოთქმა და არაფერი ისეთი სასწაული, როგორც ჩანს, არ ხდებოდა. თავიდანვე, როცა ჩვენს ჟურნალისტებს კითხვები გაუჩნდათ ამ თემასთან დაკავშირებით, ისეთი აგრესია იყო, რომ მერე ნულარ გაუკვირდებათ, როდესაც ხალხი ასეთ რამეს დააბრალებთ.

**— მოსამართლეებთან დაკავშირებული სკანდალი ისევ გრძელდება — დაწყებული ლევან მურუსიძის დანიშვნით და დამთავრებული მამუკა ახვლედიანის თანამდებობიდან გადაყენებით, სასამართლო ტესტების საკითხზე პროკურატურის მხრიდან გამოძიების დაწყებით... ახლა მოსამართლეები თავმჯდომარეს, ნინო გვენეტაძეს ადანაშაულებენ შეურაცხყოფაში, „ცუციკები“ გვიწოდაო. რა მიზანი აქვს ამ დაუსრულებელ სკანდალებს?**

– მიზანი არ ვიცი, მაგრამ მიზეზი შემიძლია გითხრათ – სამწუხაროდ, ამ ხელისუფლებას არ აქვს პოლიტიკური ნება, რომ ნორმალური სასამართლო სისტემა შექმნას. სასამართლო რომ უნდა იყოს თავისუფალი, ამას ადრეც ვერ ხვდებოდნენ და ახლაც ვერ ხვდებიან. ჩვენ ვნახეთ, როგორ მიუტრიალდა წინა ხელისუფლებას ცუდი სასამართლო და, ასევე, ცუდად შეიძლება მიუტრიალდეს დღევანდელ ხელისუფლებასაც, რაც სახელმწიფოსთვის ძალიან ცუდი იქნება.



# რისთვის დასჭირდა პრემიერს მწვავე განცხადების გაკეთება? რა მიზანი აქვს სასამართლოში დაწყებულ დაუსრულებელ სკანდალებს?

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ომარ ნიშნიანიძე პრემიერს: აგაშენა ღმერთმა, ეგებ დასრულდეს ეს კიწი-კოწი



საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ომარ ნიშნიანიძე, პრემიერის განცხადებას დროულს უწოდებს და აღნიშნავს, რომ ერთხელ და სამუდამოდ უნდა დასრულდეს კოალიციაში არსებული დაპირისპირება.

მისივე განმარტებით, „რესპუბლიკელებისთვის“ ამ განცხადებაში საგანგაშო არაფერია, თუ ისინი სწორად გაიგებენ კვირიკაშვილის განცხადების შინაარსს.

– დროული იყო პრემიერ-მინისტრის განცხადება. მე დავწერე კიდეც, აგაშენა ღმერთმა, ეგებ დროულად დასრულდეს ეს კიწი-კოწი-თქო. ჩვენ ყველამ კოალიციაში ერთი საქმე უნდა ვაკეთოთ და ერთი კურსით ვიაროთ დასავლეთისკენ.

„რესპუბლიკელებისთვის“, ჩემი აზრით, ამ განცხადებაში საგანგაშო არაფერია, თუ ისე აღიქვამენ ყველაფერს, როგორც პრემიერმა დაწერა და იგულისხმა.

მე ერთხელ ვთქვი, არც ერთმა მხარემ არ უნდა იგრძნოს თავი გამარჯვებულად, თორემ მაშინ დამარცხდებით-თქო. ყველამ უნდა იგრძნოს თავი დამარცხებულად, რომ გაიმარჯვონ ერთი საქმის კეთებით. ჩემთვის მიუღებელია კოალიციის წევრების მხრიდან რაიმე სახის შანტაჟი. „თუ ამას არ გამიკეთებთ, მე წავალო“. შანტაჟის უფლება კოალიციის არც ერთ წევრს არ უნდა ჰქონდეს“. – განაცხადა ომარ ნიშნიანიძემ „აიპრესთან“ საუბრისას.

ცნობისთვის, დღეს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა საგანგებო განცხადება გაავრცელდა, სადაც „რესპუბლიკელებსა“ და „მრეწველებს“ შორის დაპირისპირებას გამოეხმაურა.

პრემიერმა კოალიციის წევრ პარტიებს მოუწოდა, ყველა დავა კოალიციის შიგნით მოაგვარონ, წინააღმდეგ შემთხვევაში ცვლილებებს განახორციელებს. (ipress.ge)

## თურქეთმა ნატოს ხომალდები საკუთარ ტერიტორიულ წყლებში არ შეუშვა




ანკარის ოფიციალური პირების გადაწყვეტილებით, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გემებს თურქეთის ტერიტორიულ წყლებში, ეგეოსის ზღვაში შესვლის უფლება არ მისცეს.

როგორც ცნობილია, თურქეთის ხელისუფლება ითხოვს, რომ ნატო-ს საზღვაო მეთაური ჩავიდეს ანკარაში, რათა განსაზღვროს ის ტერიტორია, სადაც ალიანსის გემები განლაგდებიან.

ალიანსის მისია დევნილთა თურქეთიდან საბერძნეთში და ევროპის სხვა ქვეყნებში უკანონო მიგრაციას ებრძვის. (pia.ge)

## სტამბულში სამართალდამცველებმა პოლიციის შენობაზე თავდასხმაში ეჭვმიტანილი ორი ქალი მოკლეს



თურქეთის ქალაქ სტამბულის გარეუბანში სამართალდამცველებმა პოლიციის შენობაზე თავდასხმაში ეჭვმიტანილი ორი ქალი მოკლეს.

ადგილობრივი მედიის ინფორმაციით, თავდამსხმელებმა პოლიციის შენობას ხელყუმბარები ესროლეს. თავდასხმის შემდეგ გაიქცნენ, თუმცა, მათი ლიკვიდირება პოლიციამ მალევე შეძლო. თავდამსხმელი ქალები ახლოს მდებარე ერთ-ერთ შენობაში იმყოფებოდნენ. (ინტერპრესნიუსი)

## რატომ უნდა გადაიხადოს ეკონომიკის სამინისტრომ იჯარა შენობაში, რომელიც ისედაც მისი იყო



ექსპერტ დემურ გიორხელიძეს არ ესმის, რატომ უნდა გადაიხადოს ეკონომიკის სამინისტრომ იჯარა შენობაში, რომელიც ისედაც მისი იყო. ასე ეხმაურება გიორხელიძე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს გადაწყვეტილებას, რომ სამინისტრო ყოველთვიურად ქირას – 75 000 აშშ დოლარის ეკვივალენტს ლარში გადაიხდის.

– ჩემთვის აბსოლუტურად გაუგებარი იყო იმ შენობის გაყიდვა, რადგან ვერ ვხედავდი ალტერნატივას, სად უნდა წასულიყვნენ. დავიწყოთ იქიდან, რომ საქართველოში სახელმწიფო ქონება საკმარისია იმისთვის, რომ სახელმწიფოს უპირველესი ორგანოები განთავსებული იყოს შენობებში, რომელშიც ქირა არ იქნება გადასახდელი. ირონიულად შემიძლია ვთქვა, რომ ეს არის ფანტასტიკური კომერციული გარიგება, როცა ყიდი საკუთარ სახლს და მერე ამ სახლს ქირაობ საკმაოდ სოლიდური თანხის სანაცვლოდ და მყიდველს აძლევ საშუალებას, რამდენიმე წელიწადში ამოიღოს თავისი ფული სრულყოფილად, – აღნიშნა გიორხელიძემ.

ექსპერტს არ ესმის, რატომ უნდა გადაიხადოს სამინისტრომ თუნდაც 75 თეთრი არენდისთვის, როცა ის მფლობელი და განმკარგველია ყველა შენობის და ქონების, რაც სახელმწიფოს გააჩნია.

– ნუთუ არ შეიძლება ისეთი შენობის შერჩევა, სადაც გადასახდელი არაფერი იქნება?! ჯერ ერთი იმიტომ, რომ ეს ფულის არარაციონალური ხარჯვაა და მეორეც, როცა ამას საზოგადოება იგებს, ნეგატიური განწყობა მოჰყვება, – აღნიშნა დემურ გიორხელიძემ. (ინტერპრესნიუსი)

## „ბრიტანეთის გასვლა ევროკავშირიდან მხოლოდ რუსეთს სურს“



– არც ერთ ჩვენს მოკავშირეს, არც აშშ-ს, არც ავსტრალიას, არც ზელანდიას, არც კანადას, არც სხვას არ სურს ბრიტანეთის ევროკავშირიდან გასვლა. ფაქტობრივად, სიმართლე რომ ითქვას, ერთადერთი, ვისაც ეს სურს, არის რუსეთი. ამით ყველაფერია ნათქვამი, – განაცხადა ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მდივანმა ფილიპ ჰემონდმა ბრიტანეთის ევროკავშირში დარჩენის კამპანიის პრეზენტაციისას.

ჰემონდმა „ბიბისის“ რადიოსთან ინტერვიუში ასევე გააკრიტიკა ბრიტანეთის გასვლის მომხრეთა კამპანია:

– ისინი გვთავაზობენ მხოლოდ ევროკავშირის დატოვებას, მაგრამ არაფერს ამბობენ შედეგებზე, არც შემოთავაზებები აქვთ ალტერნატიული, არანაირი დეტალები, სანაცვლოდ პრაქტიკულად არაფერს გვთავაზობენ, – აცხადებს ჰემონდი. (euronews.ge)

## თამაზ მეჭიაური: არ არის საჭირო, ევროკავშირს დროშით სადგისი უჩხიკინო



საპარლამენტო უმრავლესობის წევრი თამაზ მეჭიაური კოალიციაში მიმდინარე პროცესებს აფასებს და „რესპუბლიკელებისა“ და „მრეწველების“ დაპირისპირებას ზედმეტად დრამატიზებულს უწოდებს.

მისი განმარტებით, არავის აქვს იურიდიულად უფლება, გოგი თოფაძეს დაატოვებინოს პარლამენტი, გარდა პარლამენტისა და იმ კაცისა, რომელმაც ის საარჩევნო სიაში გაიყვანა.

ხოლო თინა ხიდაშელის განცხადებას იმასთან დაკავშირებით, რომ გოგი თოფაძე რუსული ინტერესების გამტარებელია, ასე აფასებს:

– ერთნი მიდიან დასავლეთისკენ მაქსიმალურად წყნარად და უსაფრთხოდ გადაადგილდებიან. ითვალისწინებენ, ჩრდილოეთიდან, სამხრეთიდან, აღმოსავლეთიდან საფრთხეებს. მეორეებს ხელში უჭირავთ ევროკავშირის დროშა, მეორე ხელში წითელი ნაჭერი და უფრიალებენ ვიღაცებს, რომ იქნებ ჩაითრიონ ამით. მე წყნარად სიარულს ვარჩევ, ევროკავშირის დროშით, არ არის საჭირო უჩხიკინო კიდევ სადგისი, – განაცხადა თამაზ მეჭიაურმა. (ipress.ge)

## „დღეს ყველაზე მძიმე მდგომარეობაში არის ბიძინა ივანიშვილი, რომელმაც ელემენტარულად არ იცის და ვერც ვერავინ ურჩევს ამ სიტუაციაში რა არის სწორი ნაბიჯი, ვინ დასაჯოს და ვინ — არა“

### „ბიძინა ივანიშვილის სამართლიანი გაცოფება „რიკოტეშივით“ ხვდება პრემიერს, ის არის ლიდერი“






ნინო სამხარაძე
599 71-14-22

დაუჯდება თუ არა ძვირად თავდაცვის მინისტრ თინა ხიდაშელს ზღვარგადასული განცხადებები, ჯარის პოლიტიზება და ჯარისკაცებით მანიპულირება, პროკურატურის წინააღმდეგ გალაშქრება, რომელსაც თავდაცვის მინისტრმა შეცდომად ჩაუთვალა საგარეჯოს შუალედურ არჩევნებზე გამოძიების დაწყება?

„რუსთავი 2“-ით გადაცემა „არჩევანში“ ჩვენ ვნახეთ თინა ხიდაშელი არა როგორც საქართველოს თავდაცვის მინისტრი, არამედ როგორც „რესპუბლიკური პარტიის“ ლიდერი, რომელმაც ყველაფერი იკადრა, რომ თავი ემართლებინა. მან შოთაძის უწყება დაადანაშაულა, რომ ისინი რუსეთის აგენტურის დავალებებს ასრულებენ და ანტიდასავლურ საქმიანობას ეწევიან, რადგან გაბედეს და ხიდაშელის საქმის შესწავლა დაიწყეს. სხვათა შორის, ყოფილი თავდაცვის მინისტრი, ირაკლი ალასანია უფრო კორექტული აღმოჩნდა, პოლიტიკური კონიუნქტურიდან გამომდინარე, ვიდრე მას თავდაცვის მინისტრად წარადგენდნენ, პარტიის ლიდერობიდან გადადგა და ფაქტობრივად თუ დე ფაქტო, გაემიჯნა საკუთარ პარტიას, რაც არ გააკეთა თინა ხიდაშელმა და იგი დღეს „რესპუბლიკელების“ სამრეკლოდან ურიკინებს. ხიდაშელი თავისი უტიფარი განცხადებებით, იმის მტკიცებით, რომ ნატო – ეს არის თინა, ევროპა – ეს არის თინა, და საერთოდ, სახელმწიფო – ეს არის თინა, ძალიან გვახსენებს მიხეილ სააკაშვილის მმართველობის დროს, როცა ის ამტკიცებდა, მე თუ არ ვიქნები, საქართველო რუსეთისკენ გაქანდებაო.

რით დასრულდება თავდაცვის მინისტრის ზღვარსგადასული განცხადებები, ამის ანონსს უკვე აკეთებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი. „ფეისბუკის“ ოფიციალურ გვერდზე 3 მარტს კოალიციაში არსებულ სამკვდრო-სასიცოცხლო ომს ვერდიქტი გამოუტანა: „პოლიტიკურმა დაპირისპირებამ კოალიციაში სრულიად მიუღებელი ფორმა მიიღო. არანაირი მნიშვნელობა აღარ აქვს, ვინ და რის გამო დაიწყო დაპირისპირება. ეს არ უნდა ვაკადროთ, პირველ რიგში, იმ ხალხს, ვინც 2012 წელს მხარი დაგვიჭირა, ქვეყნის მართვა გვანდო და რომლებიც საქართველოს უმრავლესობას შეადგენენ. ჩვენი საზოგადოება ნამდვილად იმსახურებს, რომ პოლიტიკოსები მეტი პასუხისმგებლობით მიუდგნენ საკუთარ ქმედებებსა და განცხადებებს, იფიქრონ და დასახონ ხალხის პრობლემების მოგვარების გზები. რამდენიმე დღის წინ გავაკეთე პოლიტიკური განცხადება იმის შესახებ, რომ კოალიციის წევრების მხრიდან თავდაცვის მინისტრის მისამართით ამ ტიპის საჯარო ბრალდებები მიუღებელია და დღესაც ამ აზრზე ვრჩები. თუმცა, ამავე დროს, მინდა განვაცხადო, რომ თავდაცვის მინისტრი პირველ რიგში მთავრობის წევრია და მხოლოდ ამის შემდეგ არის საკუთარი პარტიის ერთ-ერთი ლიდერი. სწორედ მისი სტატუსიდან გამომდინარე, ვფიქრობ, მიუღებელია მისი მხრიდან მსგავს დაპირისპირებაში ჩართვა... საქართველოს მომავლისთვის უცხო და მიუღებელია საბჭოთა კავშირის წიაღიდან წამოსული სტალინისტური სენტენციები, რადიკალიზმი და მარგინალური ფსევდოტრადიციები. „ქართული ოცნება“ ის პოლიტიკური ძალაა, რომელიც ეროვნულ თვითმყოფადობაზე დაფუძნებით, ჩვენი ქვეყნის ევროპულ და ევროატლანტიკურ მომავალს უზრუნველყოფს. სწორედ „ქართულმა ოცნებამ“ მოიტანა უდიდესი ცვლილებები 2012 წელს, უფსკრულისკენ მიმავალი ქვეყანა დააბრუნა ისტორიული განვითარების გზაზე. კიდევ ერთხელ მოვუწოდებ ჩვენს პოლიტიკურ პარტნიორებს, ნებისმიერი სადავო საკითხი მხოლოდ კოალიციის შიგნით განიხილონ; წინააღმდეგ შემთხვევაში, მე, როგორც ქვეყნის პრემიერ-მინისტრი და კოალიციის ლიდერი, აუცილებლად განვახორციელებ ცვლილებებს, რომლებიც უზრუნველყოფს მთავრობის სტაბილურ ფუნქციონირებას და პოლიტიკური პროცესის ჯანსაღ ჩარჩოებში მოქცევას...“

რას იზამს პრემიერი? ერთი რამ ცხადია, მას არა აქვს უფლება, საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენელი დასაჯოს, პარლამენტიდან გარიყოს. ამ შემთხვევაში, გოგი თოფაძე, რომელიც თინა ხიდაშელთან დაპირისპირებულია, გაცილებით მეტი პრივილეგიით სარგებლობს, ეს პრივილეგია არა აქვს მინისტრს. შესაბამისად, პრემიერ-მინისტრს რჩება უფლება, განახორციელოს მინისტრთა კაბინეტში ცვლილება და გაათავისუფლოს მინისტრები. თუკი საჭირო გახდა, ვის დასჯის პრემიერი? საკუთარი გუნდის წევრს, თინა ხიდაშელს, ხოლო პოლიტსაბჭო კი იმსჯელებს „რესპუბლიკელების“ და „მრეწველების“ ერთად ყოფნის შესახებ... და თუკი თოფაძის კოალიციიდან გაშვების საკითხი დადგება, ეს ნიშნავს, რომ „მრეწველები“ გაეთიშებიან კოალიციას და ისინი გადაიყოლებენ „რესპუბლიკურ პარტიას“.

საკმაოდ რთული და დაძაბული ვითარებაა, პარტია „ქართული ოცნების“ წევრები ღიად საუბრობენ, რომ მხოლოდ ერთ კაცს აქვს მორალური უფლება, კოალიციაში შემავალ კონკრეტულ პარტიას ღია კარისკენ მიუთითოს და დიდი ხანია, ისინი პედალირებენ, რომ კოალიცია უნდა დაიშალოს. ყველა ცალ-ცალკე უნდა გავიდეს არჩევნებზე, მხოლოდ ამის შემდეგ ექნებათ მორალური უფლება ბარიერგადალახულ პარტიებს, რომ კოალიციურ მთავრობაში მოითხოვონ იმდენი, რამდენიც მათ რეალურად ეკუთვნით, რამდენი მანდატიც მათ ხალხმა მისცა. ყველა ლოგიკით, სიტუაცია მიდის იქითკენ, რომ „რესპუბლიკელები“ არჩევნებამდე კოალიციას უნდა გაემიჯნონ, თუმცა არავინ იცის, ივანიშვილი საბოლოოდ რა გადაწყვეტილებას მიიღებს. „რესპუბლიკელები“ სასოწარკვეთილნი ებღაუჭებიან კოალიციურ ერთობას, რადგან ზუსტად იციან, რომ „ოცნების“ გარეშე 1%-საც ვერ აიღებენ. „რესპუბლიკელების“ შემთხვევაში გვაქვს მოცემულობა, როცა ნეოლიბერალები, რომელთათვისაც ქართული ღირებულებები ისევე შორს არის, როგორც პლანეტა მარსი, პოლიტიკურ საჭადრაკო დაფაზე მათი გაცოცხლება ბიძინა ივანიშვილმა მოახდინა და რომ არა ივანიშვილის ნება, რომ მმართველი გუნდი წასულიყო ევროატლანტიკური გზით და მიეღოთ დეკლარაცია, რომელიც არის ურყევი, მოგვეწერა ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელი, რას იზამდა მაშინ „რესპუბლიკური პარტია“?!. ასე რომ, საქართველოს დასავლური კურსისკენ სვლა, ეს არ არის მხოლოდ ერთი კონკრეტული პარტიის აღმოჩენა, არამედ ეს არის დაწყებული გზის გაგრძელება, რომელიც ჯერ კიდევ შევარდნაძის მმართველობის ბოლო პერიოდიდან დაიწყო, ეს ციკლი გაიარა ავად თუ კარგად მიხეილ სააკაშვილმა და ბოლო კონტურების მოხაზვა დაევალა კოალიცია „ქართულ ოცნებას“...

„ალიასთან“ საუბარში პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე თინა ხიდაშელის სატელევიზიო ეთერს აფასებს „რუსთავი 2“-ზე გადაცემა „არჩევანში“ და, ასევე, პრემიერ-მინისტრის მკაცრ განცხადებასაც შიფრავს, თუ რა ქვეტექსტი იკითხება ამ განცხადებაში: „ხიდაშელმა დაუშვა შეცდომა, როცა ასეთი ვრცელი განმარტებით გამოვიდა „რუსთავი 2“-ზე. თინამ ყველაზე უკეთესად იცის, რომ ამ ფაქტით ივანიშვილი გაღიზიანდებოდა, მაგრამ დღეს „რესპუბლიკური პარტია“ კოალიციიდან რომ გაუშვან, მათ იციან, რომ „ნაცმოძრაობიდან“ დაწყებული, ბრიუსელით და ვაშინგტონით დამთავრებული ყველა იტყვის – ნახეთ, რა ხდება, საქართველოში პროდასავლურებს გვებრძვიანო. ეს კოზირი ძალიან უხეშად, არადიპლომატიურად, მომაბეზრებლად გამოიყენა თინამ თავის ინტერვიუში. ვითვლიდი, 13-ჯერ ახსენა გოგი თოფაძე, 7-ჯერ ახსენა, რომ გვებრძვიან „რესპუბლიკელებს“ იმიტომ, რომ პროდასავლურები ვართო. ახლა ივანიშვილი მეფე ლირივით არის, აღარ ჰყავს პროდასავლური ძალა „თავისუფალი დემოკრატების“ სახით, რომელიც დააბალანსებს „რესპუბლიკელებს“ და დარჩა მხოლოდ ერთადერთი, უალტერნატივო „რესპუბლიკური პარტია“ და ამით ისინი სპეკულირებენ. ხიდაშელის და თოფაძის დაპირისპირების სათავე უნდა ვეძებოთ „ოლიმპოს მთაზე“, იქ, სადაც ბიძინა ივანიშვილის სასახლეა. გოგი თოფაძემ და მეჭიაურმა მშვენივრად იციან, რა განწყობაა შუშის სასახლეში, ამიტომაც არაფერს რისკავენ და ხმამაღლა ლაპარაკობენ იმას, რასაც სხვაგან კულუარებში საუბრობენ. მერწმუნეთ, გოგი თოფაძის განცხადებების უკან ბიძინა ივანიშვილი დგას, სხვა შემთხვევაში, ივანიშვილი ეტყოდა, – გეყოფა, გოგი, საკმარისია!..

ხიდაშელის შეცდომა იყო ისიც, რომ პროკურატურა ოთხჯერ მოიხსენია უდიერად. იცით, მთავარ პროკურორს ახლა რისი გაკეთება შეუძლია? მივიდეს პრემიერ-მინისტრთან და უთხრას, – კი ბატონო, ჩვენ ვართ მიჩვეული, რომ გვლანძღავენ „ნაციონალები“, მედია, არასამთავრობო ორგანიზაციები, მაგრამ არ ვარ მიჩვეული, ჩემმა კოლეგამ მლანძღოს და დამწამოს ცილი, რომ რუსეთის დავალებას ვასრულებო. როდესაც პროკურორს ეუბნება თავდაცვის მინისტრი, რომ პროკურატურაში რუსეთის აგენტურაა, რომლებიც პროდასავლურ კურსს ებრძვიან საქართველოში, ეს არის ძალიან მძიმე ბრალდება მთლიანად პროკურატურისთვის და პროკურატურამ რომ უჩივლოს თავდაცვის მინისტრს სასამართლოში, მერწმუნეთ, ხიდაშელს მინიმუმ ბოდიშს მოახდევინებენ... თუ თინა ხიდაშელი ვერ ხვდება, რა დაარღვია, მოკლედ გეტყვით, მან დაარღვია კანონის სულისკვეთება არჩევნებში, როდესაც ძალიან იაქტიურა და ზღვარს გადავიდა. თინა ხიდაშელის ზღვარგადასული განცხადებები გახდა იმის საფუძველი, რომ პრემიერ-მინისტრს თავის პოზიცია დაეფიქსირებინა. დღეს ყველაზე მძიმე მდგომარეობაში არის ბიძინა ივანიშვილი, რომელმაც ელემენტარულად არ იცის და ვერც ვერავინ ურჩევს ამ სიტუაციაში რა არის სწორი ნაბიჯი, ვინ დასაჯოს და ვინ – არა, ბიძინა ივანიშვილის სამართლიანი გაცოფება „რიკოტეშივით“ ხვდება პრემიერს, ის არის ლიდერი“.

**„თინამ ყველაზე უკეთესად იცის, რომ ამ ფაქტით ივანიშვილი გაღიზიანდებოდა, მაგრამ დღეს „რესპუბლიკური პარტია“ კოალიციიდან რომ გაუშვან, მათ იციან, რომ „ნაცმოძრაობიდან“ დაწყებული, ბრიუსელით და ვაშინგტონით დამთავრებული ყველა იტყვის – ნახეთ, რა ხდება, საქართველოში პროდასავლურებს გვებრძვიანო. ეს კოზირი ძალიან უხეშად, არადიპლომატიურად, მომაბეზრებლად გამოიყენა თინამ თავის ინტერვიუში“**

**P.S. „რესპუბლიკელების“ პრემიერთან შეხვედრა ღამის 11 საათზე დასრულდა. მათი განცხადებით, პარტია კოალიციაში რჩება და სტრატეგიული პარტნიორობის რეჟიმში გააგრძელებენ საქმიანობას.**

## ძიძა ბავშვის მკვლელობას არ ნანობს



აღსაზრდელის სასტიკი მკვლელობისთვის დაკავებულმა გიულჩეჰრ ბობოკულოვამ მედიასთან დანაშაული აღიარა. მისი ქცევებიდან კი ირკვევა, რომ მოკლული გოგონა არ ეცოდება და ჩადენილ დანაშაულს არ ნანობს.

მოსკოვის სასამართლომ ბობოკულოვას აღკვეთის ღონისძიების სახით ორთვიანი პატიმრობა შეუფარდა.

სასამართლო შენობაში შესვლისას, დაკავებულმა ჟურნალისტების შეკითხვაზე, მოკლა თუ არა 4 წლის გოგონა, დადებითი პასუხი გასცა, ხოლო კითხვაზე, ნანობს თუ არა ჩადენილ დანაშაულს, უარყოფის ნიშნად თავი გააქნია.

სასამართლო სხდომისას, გისოსებს მიღმა მყოფი ბობოკულოვა იღიმებოდა და ჟურნალისტებს ხელს უქნევდა.

## „გაჩუმდეს პაპიძის ოჯახი, დადუმდნენ გადაწყვეტილების მიღებამდე მაინც!“ — მარიამ კუბლაშვილი

ადვოკატი, მარიამ კუბლაშვილი „ფეისბუკის“ პირად გვერდზე, მაგდა პაპიძის საქმესთან დაკავშირებით საკუთარ აზრს გამოთქვამს და მის ოჯახს გაჩუმებას ურჩევს, თუნდაც გადაწყვეტილების მიღებამდე.

– ჩემო ძვირფასო კოლეგებო!

ვინ აგიკრძალათ თქვენც წარმოგედგინათ საზოგადოებისთვის საპირისპირო მტკიცებულებები? ან საპირისპიროდ ნაკლები ისაუბრეს და ვუსმინეთ პაპიძის ოჯახის თავის მართლებას? მათ არგუმენტებსაც? იქნებ ესეც ზეწოლაა სასამართლოზე... ხოლო რატომ გააკეთა ეს ბრალდების მხარემ? მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის გამო! დიახ, ამ საშინელი დანაშაულის მოსმენის შემდგომ ადამიანები ვართ, შოკირებულია სრულიად საქართველო. ბავშვები კითხულობენ თავისდაუნებურად, ისმენენ. დედები ყველაზე მეტად მძიმედ განვიცდით და ა.შ. დიახ, ვალდებულია სამართალდამცავი ორგანო, პასუხი გაგვცეს, გაგვარკვიოს მცირედ დეტალებში მაინც. ბრალდების მხარემ გარკვევით გამოაცხადა, რომ ეს მხოლოდ ნაწილობრივი მტკიცებულებებია, მცირედი. ის ფაქტი, რომ დაუშვებელ მტკიცებულებად ცნოს სასამართლომ ეს ნივთმტკიცებები, კი არარეალობა. რამდენი რამის თქმა მინდა... უდანაშაულობის პრეზუმფცია და ჩემი სამართლებრივი ცოდნა მაჩუმებს ამ ეტაპზე, რომ წინასწარ როგორმე გავჩუმდე. ერთს ვითხოვდი – თვალში ნაცარს ნუ აყრით ხალხს, გამაღიზიანებელია! ვინც იცის და ხვდება, რეალურად რაც ხდება, სწორედ მათთვის... გაჩუმდეს პაპიძის ოჯახი, დადუმდნენ გადაწყვეტილების მიღებამდე მაინც! – წერს მარიამ კუბლაშვილი „ფეისბუკის“ პირად გვერდზე.

(ნიუპოსტი)

მარიხუანის დეკრიმინალიზაციის კანონპროექტის მიღებას 3 ხმა დააკლდა. ახალი პოლიტიკური ცენტრის „გირჩის" წევრის გოგა ხაჩიძის მიერ ინიცირებულ კანონპროექტს 47 დეპუტატმა დაუჭირა მხარი, მისი მიღებისთვის კი 50 ხმა იყო საჭირო.

მომხრე დეპუტატები:

ფოფხაძე გედევან, ქავთარაძე გიორგი, ყეინიშვილი ნანა, ჩხეტიანი დარეჯანი, ლიშვილი გიორგი, სეხნიაშვილი გიორგი, ვახტანგაშვილი მალხაზი, ხაჩიძე გიორგი, ჯაფარიძე ზურაბი, დუმბაძე მურმანი, კუბლაშვილი პავლე, ვერულაშვილი მარიკა, ბოლქვაძე ანზორი, მისაბიშვილი გურამი, ფეიქრიშვილი გიორგი, ღვინიაშვილი გიორგი.

დეპუტატები, რომლებმაც კანონპროექტს მხარი არ დაუჭირეს:

ნუკრი ქანთარია, თემურ ჭკუასელი,

## პარლამენტმა მარიხუანის მოხმარების დეკრიმინალიზაციას მხარი არ დაუჭირა — ვინ წავიდა წინააღმდეგ



ხალვაში ფატი, ნიშნიანიძე ომარი, მეჭიაური თამაზი, მაღრაძე გუგული, ბესელია ეკა, ბერძენიშვილი ლევანი, ბერძენიშვილი დავითი, ებანოიძე ნოდარი, საყვარელიძე ფრიდონი, კორძაია თამარი, ნერგაძე თეიმურაზი, წერეთელი მალხაზი, დოლიძე ვიქტორი, აბაშიძე ზურაბი, სუბელიანი კობა, ბაქრაძე დავითი, ბარამიძე გიორგი, ბოკუჩავა თინათინი, გაბაშვილი გიორგი, დარჩიაშვილი დავითი, რატიანი სერგო, კანდელაკი გიორგი, თაქთაქიშვილი ჩიორა, თარხნიშვილი ლევანი, თარგამაძე გიორგი(გივი), მაჭავარიანი მიხეილი, ცისკარიშვილი პეტრე, წერეთელი გიორგი(გიგი), ლონდარიძე ტარიელი, მკოიანი ენზელი, ბუკია გოდერძი, გოზაშოთა ხაბარელი, ლერი ხაბელოვი, რუსლან პოლოსიანი, ზაზა პაპუაშვილი, ალი მამედოვი, ელდარ კურტანიძე, გოგლა ჟვანია, გია ჟორჟოლიანი, ივანე კილურაძე, გიორგი ვოლსკი, ვლადიმერ აჩბა, მანანა კობახიძე, გიგა ბუკია, ბიძინა გუჯაბიძე, ზურაბ კაჭახიძე, პაატა კვიჟინაძე, ზვიად ძიძიგური, ანი მიროტაძე, თემურ მაისურაძე.

„გირჩის" განცხადებით, კანონპროექტის ჩაგდება მოსალოდნელი იყო, ამიტომ ისინი მარიხუანის მოხმარების გამო საპატიმრო სასჯელის გაუქმებას საკონსტიტუციო სასამართლოსგან მოითხოვენ. ამასთან დაკავშირებით აპც „გირჩს" სასამართლოში სარჩელი შეაქვს. (ნიუპოსტი)

## ვისაც კომუნალური შეღავათები დაუტოვეს, იმათაც კი საშინლად დატანჯავენ!



კომპანია „თელასი" „კომუნალური სუბსიდირების" პროგრამით გათვალისწინებული შეღავათების დარიცხვის წესთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს. როგორც კომპანიის განცხადებაშია აღნიშნული, ახალი წესის მიხედვით ფულადი კომპენსაცია კომპანია „თელასის" ქვითრებში აღარ აისახება და ის სოციალურად დაუცველ პირებს პირად საბანკო ანგარიშზე დაერიცხებათ:

– მარტიდან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე შეიცვალა „კომუნალური სუბსიდირების" პროგრამით გათვალისწინებული შეღავათების დარიცხვის წესი.

საკრებულოს გადაწყვეტილებით, „კომუნალური სუბსიდირების" პროგრამით მოსარგებლე სოციალურად დაუცველ პირებს კომუნალური შეღავათით გათვალისწინებული ფულადი კომპენსაცია დაერიცხებათ პირად საბანკო ანგარიშზე. აქამდე აღნიშნული კომპენსაცია პროგრამის ბენეფიციარებს ერიცხებოდათ „თელასის" სააბონენტო ანგარიშზე, რაც აისახებოდა კომპანიის ქვითრებში.

ზემოაღნიშნული ცვლილებიდან გამომდინარე, მარტიდან კომუნალური შეღავათით გათვალისწინებული ფულადი კომპენსაცია კომპანია „თელასის" ქვითრებში აღარ აისახება, – ნათქვამია განცხადებაში. (ნიუპოსტი)

ექსპერტი რამაზ საყვარელიძე მიიჩნევს, რომ პრემიერ-მინისტრმა, როგორც თავდაცვის მინისტრ თინა ხიდაშელს, ასევე, დეპუტატ გოგი თოფაძეს მიუთითა, რა არის მისთვის მიუღებელი ამ დაპირისპირების პროცესში.

რამაზ საყვარელიძის თქმით, განცხადება, რომ დაძაბული პროცესი მიუღებელია, გახდეს საჯარო მსჯელობის საგანი, გიორგი კვირიკაშდრომ მოაგვაროს ასეთი პრობლემები და არა თვითონ. აქ კვირიკაშვილმა თავის თავზე აიღო ამ პრობლემების მოგვარება. გარკვეული თვალსაზრისით, შეიძლება ითქვას, გაბედული ნაბიჯი იყო ჩარევა ამ კონფლიქტში და მისთვის წერტილის დასმა უკვე უფრო პრინციპულად, ვიდრე აქამდე ხდებოდა, – განაცხადა საყვარელიძემ.

რაც შეეხება პრემიერის განცხადების იმ ნაწილს, სადაც საუბარია ცვლილებე-

## რამაზ საყვარელიძე — გიორგი კვირიკაშვილმა თავის თავზე აიღო პრობლემის მოგვარება, რაც გაბედული ნაბიჯია



ვილმა ადრეც გააკეთა, თუმცა ახლა პრემიერმა მხარეებს მიუთითა იმის შესახებ, რა არის თითოეულის პოზიციაში მისთვის მიუღებელი, როგორც პოლიტიკური ლიდერისთვის და მთავრობის პირველი პირისთვის.

– საკმაოდ მკაცრი ინტონაცია მოსდევს ამ განცხადებას. ასეთი აქტიური და საქმიანი ჩარევა ამ პროცესში, მე მეჩვენება, რომ პოზიტიური ფაქტია. პოლიტიკოსები ხშირად თვალს არიდებენ და ცდილობენ, ბზე, საყვარელიძის განცხადებით, მინისტრი თუ არ იქცევა ისე, როგორც მინისტრის სტატუსს შეესაბამება, ან მეორე მხარე, პოლიტიკოსი აკეთებს ისეთ განცხადებას, რომელიც პოლიტიკური გუნდის პოზიციებს არ ემთხვევა, ორივე შემთხვევაში გადაწყვეტილება უნდა იყოს მიღებული.

– ასეთი პოზიცია დაიკავა კვირიკაშვილმა და ეს პოზიცია ითხოვს დაფიქრებას როგორც ერთი, ისევე მეორე მხრიდან, – განაცხადა რამაზ საყვარელიძემ. (ინტერპრესნიუსი)

## ფონდმა „სიცოცხლის ხემ" შშმ ბავშვებისთვის სასკოლო ბიბლიოთეკა მოაწყო



**„საქართველოს ბანკის" დაფინანსებით ფონდმა „სიცოცხლის ხემ" შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) ბავშვებისთვის, „მთავარანგელოზ მიქაელის სახელობის პედაგოგიურ სკოლაში" ბიბლიოთეკა მოეწყო.**

**„სიცოცხლის ხემ" ბიბლიოთეკა ყველა საჭირო ავეჯითა და ტექნიკით აღჭურვა. ასევე, 200-მდე სპეციალური საგანმანათლებლო, მხატვრული და სასწავლო წიგნები საჩუქრად გადასცა. შეიქმნა აუდიო ბიბლიოთეკაც, რომელიც საგანმანათლებლო პროცესისთვის საჭირო ტექნიკითა და თვალსაჩინო მასალებით აღიჭურვა. პრეზენტაციაზე ბენეფიციარების ფერადი ქვისა და თექის ნამუშევრები იყო წარმოდგენილი.**

ფონდი „სიცოცხლის ხე" „საქართველოს ბანკის" მიერ 2008 წელს დაარსებული საქველმოქმედო ფონდია და მისი მიზანი საქართველოს საზოგადოებისთვის აქტუალური საკითხებისთვის მხარდაჭერა და ქვეყნის უკეთესი მომავლის შექმნისთვის ხელშეწყობაა. ფონდის მორიგი პროექტი კი შშმ პირებისთვის ბიბლიოთეკის მოწყობაა, რომელსაც ბავშვებიცა და მშობლებიც სიხარულითა და ენთუზიაზმით შეხვდნენ.

თავისუფალი პედაგოგიკის ცენტრში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებისა და მოზარდებისთვის როგორც სკოლა, ასევე დღის ცენტრი და ბაღი ფუნქციონირებს. აღნიშნული დაწესებულებებით, ჯამში, 110 ბენეფიციარი სარგებლობს.

„სიცოცხლის ხის" მიერ მოწყობილი ბიბლიოთეკა სამუშაო დღეებში იფუნქციონირებს და სკოლის, დღის ცენტრისა და საბავშვო ბაღის ბენეფიციარებისთვის, მათი მშობლებისა და პედაგოგებისთვის ხელმისაწვდომი იქნება.

– ჩვენთვის ასეთ სახის პროექტების დაფინანსება ძალიან მნიშვნელოვანია. ფონდმა „სიცოცხლის ხემ" ორი საგრანტო კონკურსი ჩაატარა და ამ კონკურსის შედეგად 23 პროექტი დავაფინანსეთ. ჩვენ გავაგრძელებთ მსგავსი სახის პროექტების დაფინანსებას, – განაცხადა „საქართველოს ბანკის" გენერალური დირექტორის მოადგილე **ალექსანდრე კაცმანმა.**



წიგნები ძირითადად შშმ პირებზე მორგებული პრინციპით არის შერჩეული. ასევე, მოწყობილია პროექტორი, რომლითაც ბავშვებისთვის ვიდეოების ჩვენებაა შესაძლებელი. როგორც „მთავარანგელოზ მიქაელის სახელობის პედაგოგიური სკოლის" ხელმძღვანელმა აღნიშნა, ბიბლიოთეკით სარგებლობა მშობლებსაც შეუძლიათ. როგორც აღმზრდელები ამბობენ, ბავშვები სხვადასხვა ჟანრის წიგნებით ინტერესდებიან. არიან ბავშვები, რომლებსაც მხატვრული ლიტერატურა მოსწონთ, სხვებს კი, მაგალითად, მოსწონთ წიგნები, რომლებიც ინფორმაციას ციურ სხეულებსა და კოსმოსზე იძლევა. ახალი ბიბლიოთეკით კი შესაძლებელია ყველანაირი მკითხველის ინტერესისა და ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილება.

– ძალიან დიდი სურვილი გვქონდა, რომ შშმ პირებისთვის რამე გაგვეკეთებინა. აქ არიან ბავშვები, რომელთაც შეუძლიათ კითხვა და ბავშვები, რომელთაც არ შეუძლიათ კითხვა. ამიტომ გვაქვს როგორც წიგნები, ისე პროექტორი, რომლითაც ბავშვებს ვიდეოებს ვაჩვენებთ და მათ დაინტერესებას შევძლებთ. ამ პროექტის წყალობით შევძელით ბავშვების სურვილი შეგვესრულებინა და მათთვის ბიბლიოთეკა გაგვეხსნა. შეიქმნა ადგილი, სადაც ბავშვებსაც და მშობლებსაც შეუძლიათ დასხდნენ, იკითხონ, ივარჯიშონ, ისწავლონ. ბენეფიციარებს ძალიან უხარიათ, – აღნიშნა „მთავარანგელოზ მიქაელის სახელობის პედაგოგიური სკოლის" დირექტორმა **მარიონა შუსტაკმა.**



*დარინა ქამადაძე*

## „იყო პრემიერი, რომელიც ლაპარაკობდა ძალიან გამაღიზიანებლად და გვყავს პრემიერი, რომელიც ლამაზად ლაპარაკობს, მაგრამ შედეგი აქაც არ გვაქვს“



„ნაციონალური მოძრაობა“ მმართველ კოალიციასთან თანამშრომლობას გამორიცხავს. პარტიის ერთ-ერთი ლიდერის მიხეილ მაჭავარიანის განცხადებით, კოალიციაში იმდენად მნიშვნელოვანი პრობლემები აქვთ, რომ პრემიერი მნიშვნელოვან თემებზე სასაუბროდ ვერ იცლის.

– იყო პრემიერ-მინისტრი, რომელიც ლაპარაკობდა ძალიან გამაღიზიანებლად და ეს საზოგადოებაში დაპირისპირებას იწვევდა და შედეგი არ იყო. გვყავს პრემიერ-მინისტრი, რომელიც ლამაზად ლაპარაკობს, მაგრამ შედეგი აქაც არ გვაქვს.

ორი თვეა ჩვენ ვთხოვთ პრემიერს, შეგვხვდეს და დაგველაპარაკოს ეკონომიკურ პროგრამაზე, კრიმინალის ზრდაზე და როგორ გამოვიდეს ქვეყანა ამ მდგომარეობიდან, მაგრამ, როგორც ჩანს, იმდენად მნიშვნელოვანი პრობლემები აქვთ შიგნით, რომ არავის არ სცალია ხალხისთვის, – განაცხადა მაჭავარიანმა. (პირველი რადიო)

## ხიდაშელი მინისტრით შეიცვალა — რა ჩაასწორა პრემიერმა განცხადებაში



პრემიერ-მინისტრის განცხადება კოალიციაში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით დაახლოებით 10 საათსა და 50 წთ-ზე სოციალური ქსელით გავრცელდა, თუმცა რამდენიმე წუთში განცხადება პრემიერის „ფეისბუკის“ ოფიციალური გვერდიდან აიღეს და მალევე სახეცვლილი დაიდო.

პირველსა და მეორე ტექსტში ცვლილება შემდეგნაირი იყო:

პირველ ტექსტში, სადაც პრემიერი ახსენებდა ხიდაშელს, რომ ის ჯერ არის თავდაცვის მინისტრი, ასეთი ტექსტი ეწერა:

„თუმცა, ამავე დროს, მინდა განვაცხადო, რომ თინათინ ხიდაშელი პირველ რიგში მთავრობის წევრია, იგი საქართველოს თავდაცვის მინისტრია და მხოლოდ ამის შემდეგ არის საკუთარი პარტიის ერთ-ერთი ლიდერი“.

ახალ ვერსიაში კი თავდაცვის მინისტრის სახელი და გვარი დაკონკრეტებული აღარაა და ცვლილება ასეთია:

„თუმცა, ამავე დროს, მინდა განვაცხადო, რომ თავდაცვის მინისტრი პირველ რიგში მთავრობის წევრია და მხოლოდ ამის შემდეგ არის საკუთარი პარტიის ერთ-ერთი ლიდერი“. (პირველი რადიო)

ორგანიზაცია „მშენებლობა ფალსიფიკაციის გარეშე“ ხელმძღვანელის, ანზორ საკანდელიძის განცხადებით, თბილისში 10 წლის წინათ აშენებული საცხოვრებელი კორპუსები არამყარია და დროთა განმავლობაში მათი დანგრევის საფრთხეც არსებობს. არგუმენტად კი 2004 წელს ჩატარებული შემოწმება მოდევნო დღეებშიც უნდა გაგრძელებულიყო, მაგრამ ატყდა ერთი ამბავი და აღარ შეგვიშვეს. სამწუხაროდ, შედეგები ზუსტად ისე იყო, რასაც ვფიქრობდი, 40-ივე ობიექტზე ბეტონის სიმტკიცე 300-ის ნაცვლად გამოვიდა 150 მარკა და უფრო ქვევით, – ამბობს ანზორ საკანდელიძე.

მისი თქმით, შემოწმებული ობიექტეგადამზიდი მანქანით სამშენებლო ობიექტზე, მშენებელი ვალდებული იყო, ბეტონი ლაბორატორიაში მიეტანა და გამოეცადა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, თუ როგორ მიდიოდა მარკირების პროცესი, ანუ იყო თუ არა ის მარკა, რაც დაუკვეთა. დღეს სამშენებლო მოედანზე ასეთი მოთხოვნა აღარ

# თბილისის რომელ კორპუსებს ემუქრება ჩამონგრევა — „სამშენებლო მასალების შემოწმება ლაბორატორიებში აღარ ხდება“





### მოწმდება თუ არა თბილისში მიმდინარე მშენებლობები და არის თუ არა არსებული კორპუსების ჩამონგრევის საფრთხე?!

ჰყავს, რომელშიც თავადაც მონაწილეობდა.

საკანდელიძის თქმით, იმისთვის, რომ ბეტონის მწარმოებელ ქარხნებს მოგება ენახათ, ბეტონის სიმტკიცე დასაშვებ ნორმაზე გაცილებით დაბალი იყო, ამის მაკონტროლებელი კი „არც იმ დროს და არც დღეს არავინაა“.

– მე და საკრებულოს ყოფილი დეპუტატი მანუჩარ მაჩაიძე თბილისში ფილაბეტონის ქარხნების დირექტორები ვიყავით. 90-იან წლების არეულობის დროს დაიწყო ბეტონის საშინელი ფალსიფიკაცია. როდესაც ჩვენ ვუშვებდით ბეტონს, მისი თვითღირებულება, ანუ გასაყიდი ფასი 1 კუბური მეტრი დაახლოებით 100 ლარი იყო. მაგრამ სხვებმა დაიწყეს თაღლითობები და ბეტონის ფასი 60-50 ლარამდე დაწიეს, ამით კონკურენცია გაგვიწიეს, გააიაფეს და ხალხიც მათთან მიდიოდა, მაგრამ ბეტონი იყო ფალსიფიცირებული. ასე ხდებოდა 10 წლის განმავლობაში.

საბედნიეროდ, 2004 წელს მოგვეცა ამის შემოწმების საშუალება. როდესაც მანუჩარ მაჩაიძე საკრებულოს დეპუტატი, მშენებლობის კომისიის თავმჯდომარე გახდა, შევარჩიეთ სპეციალისტები, დავიყავით ჯგუფებად და შევესიეთ ამ ობიექტებს, ძირითადად ვაკე-საბურთალოს რაიონში. ვამოწმებდით პირველ-მეორე სართულებს, რომელზეც დამოკიდებულია შენობების მდგრადობა, სიძლიერე და გამძლეობა. ერთ დღეში 40-მდე ობიექტი შემოწმდა. ეს პროცესი მომბის დანგრევა საჭირო იყო მოსახლეობის უსაფრთხოებისთვის. ამბობს, რომ ეს საკითხი განიხილეს, მაგრამ „რაღაც გზებით“ არც შენობების შემოწმება გაგრძელდა, არც მათი დანგრევა და ყურადღებაც არავის მიუქცევია.

– შენობა უცბად კი არ ინგრევა, დროთა განმავლობაში ბზარები უჩნდება, ნელ-ნელა იწყებს დანგრევას და დაშლას. ღმერთმა დაიფაროს, მიწისძვრა რომ მოხდეს, წარმოდგენაც არ მინდა, რა შეიძლება მოუვიდეს. პირველი შემოწმების მერე 10-12 წელი გავიდა და ახლა მაინც შეამოწმონ ეს შენობები, კაციშვილი ყურადღებას არ აქცევს, არადა მათი შემოწმება აუცილებელია. დღესაც იგივე მდგომარეობაა, უპატრონოდაა მიგდებული ყველაფერი და სანამ პატრონი არ გამოჩნდება, არაფერი ეშველება. ამხელა შენობების ასაშენებლად ელიავას ბაზრობის მშენებლები მიჰყავთ და ბევრი მათგანი საერთოდ არ არის მშენებლობის გაგებაში, – ამბობს ანზორ საკანდელიძე.

არქიტექტორ ნიკოლოზ აბაშიძის თქმით, წლების წინათ მშენებლობის დასაწყებად სამშენებლო მასალებზე ორმხრივი კონტროლი იყო, რაც უზუსტობასა და საფრთხეს გამორიცხავდა, დღეს კი სამშენებლო მასალები არ კონტროლდება და არქიტექტორი ბეტონის ფალსიფიცირების და ამ მასალებით აშენებული შენობების დანგრევის საფრთხეს არ გამორიცხავს.

– რეგლამენტით ადრე იყო ასე, რომ როდესაც ბეტონი მოდიოდა ბეტონის არის, კონტროლის მექანიზმი ორმხრივი არაა.

მსოფლიოშიც ასეთი პრაქტიკაა, ორმაგი კონტროლი ხდება ხარისხის: ერთი – გამომშვებ ქარხანაში, მეორე კი სამშენებლო მოედანზე. ახლა სამშენებლო ადგილზე აღარ მოწმდება ქარხნიდან მიღებული მასალა, არადა ზედამხედველობის სამსახური ამას მუდმივად უნდა ამოწმებდეს, – ამბობს ნიკოლოზ აბაშიძე.

როგორც მერიის პრესსამსახურში გვითხრეს, თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური ახორციელებს მშენებლობის პროცესის უსაფრთხოების კონტროლს. პროცესის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს განსაზღვრავს „მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტი, ხოლო საჯარიმო სანქცია დადგენილია „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ 49-ე მუხლით. რაც შეეხება მშენებლობისას გამოყენებული სამშენებლო მასალის კონტროლს, მერიის არც ერთ სამსახურს კანონმდებლობით ეს არ ევალება.

„სამშენებლო მასალის შემოწმება, საკუთარი ხარჯებით, შესაბამისი საექსპერტო ორგანოსთვის მიმართვის შემთხვევაში, შეუძლია თვითონ მშენებელს/დამკვეთს (კეთილსინდისიერების მიხედვით) და ასევე მოქალაქეს, რომელსაც შეძენილი აქვს ფართი. რაიმე სახის სავალდებულო შემოწმებას კანონმდებლობა არ ითვალისწინებს“. (ambebi.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი...

## „გაყეყილ კოალიციას, გატეხილი სჯობია... ამ სახის კოალიციასთან თანამშრომლობა მიუღებელია“ — ოპოზიცია პრემიერის განცხადებაზე



პრემიერ-მინისტრის განცხადებას გამოხმაურება მოჰყვა არასაპარლამენტო ოპოზიციაში. გიორგი კვირიკაშვილი სპეციალურ განცხადებაში პროდასავლური ღირებულებების პოლიტიკურ პარტიებს თანამშრომლობისკენ მოუწოდებს.

ოპოზიციის ლიდერები მიიჩნევენ, რომ დღევანდელი სახით არსებულ მმართველ კოალიციასთან პროდასავლური ძალების თანამშრომლობა შეუძლებელია.

„ევროპელი დემოკრატების" ლიდერი ამბობს, რომ შესაძლებელია პროდასავლური პოლიტიკური ძალების თანამშრომლობა, მაგრამ კოალიციასთან თანამშრომლობის პერსპექტივას ვერ ხედავს.

– იმ ძალასთან მზად ვართ სათანამშრომლოდ, ვინც ევროპულ გზას არ გადაუხვევს და ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ საქართველო დააბრუნოს ევროპულ ოჯახში, – ამბობს პაატა დავითაია, თუმცა მმართველ ძალასთან ერთად კოალიციაში ყოფნას გამორიცხავს – „არა რა თქმა უნდა, ამაზე არ არის ლაპარაკი“, – ამბობს დავითაია.

როგორც „ახალი მემარჯვენეების“ ერთ-ერთი ლიდერი ამბობს, კვირიკაშვილმა კოალიციას ანდაზა შეახსენა, რომ გაყეყილს გატეხილი სჯობია. მანანა ნაჭყებიას თქმით, ამ სახით, როგორც დღეს კოალიცია არსებობს, „ახალი მემარჯვენეებისთვის“ მიუღებელია.

– აქაც, მგონი, მან ქართული ტრადიციული ანდაზით ისარგებლა და აგრძნობინა, რომ გაყეყილ კოალიციას შეიძლება გატეხილი სჯობდეს. რამდენად შეიძლება, რომ პოლიტიკურ პარტიებს იქ შესვლის სურვილი ჰქონდეთ, ვერ გეტყვით. იმ სახით, რა სახითაც დღეს კოალიცია არსებობს, აბსოლუტურად მიუღებელია ჩვენთვის, რადგან ჩვენ გვაქვს მკვეთრად გამოხატული დასავლური კურსი, – ამბობს მანანა ნაჭყებია. (ნიუპოსტი)

## აშშ-ში საქართველოს საზღვაო ძალების ყოფილი სარდალი ბესიკ შენგელია დაიღუპა



ნიუ-იორკში ავტოსაგზაო შემთხვევას საქართველოს საზღვაო ძალების ყოფილი სარდალი ბესიკ შენგელია ემსხვერპლა. ის ბოლო პერიოდი აშშ-ში ცხოვრობდა.

როგორც „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ ამერიკელ სამართალდამცავებზე დაყრდნობით იუწყება, პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტის ყოფილ დირექტორს, პირველი რანგის კაპიტანს ავტომობილი იმ დროს დაეჯახა, როდესაც საკუთარი ავტომანქანის სალონიდან ნივთის აღებას ცდილობდა. ინციდენტის შემდეგ ექვმიტანილი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. მის დასაკავებლად სამძებრო სამუშაოები უკვე დაწყებულია.

დაღუპულ საქართველოს საზღვაო ძალების ყოფილ სარდალს ბესიკ შენგელიას სამშობლოში პროცედურების დასრულების შემდეგ ჩამოასვენებენ. (ნიუპოსტი)

„ალია“ სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს!

## რუსეთის ავიაცია სირიაში საავადმყოფოებს ანადგურებს — Amnesty International



უფლებადამცველი ორგანიზაცია **Amnesty International**-ის ინფორმაციით, რუსეთისა და სირიის ხელისუფლების ავიაცია, სირიაში, კერძოდ ალეპოს რაიონში საავადმყოფოებს სისტემატურად ანადგურებს.

როგორც ორგანიზაციის ანგარიშშია ნათქვამი, მათ აქვთ მტკიცებულება, რომ ბოლო 12 კვირის განმავლობაში, რეგიონში საავადმყოფოებსა და სამედიცინო ცენტრებზე მინიმუმ 6 თავდასხმა განხორციელდა.

შეგახსენებთ, რუსულმა ავიაციამ სირიაში საჰაერო ოპერაცია 30 სექტემბერს დაიწყო. მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, რუსეთმა, რომელიც ავიაიერიშებს ბაშარ ასადის თხოვნის საფუძველზე ახორციელებს, სამიზნედ არა **ISIS**-ის პოზიციები, არამედ ბაშარ ასადისადმი ოპოზიციურად განწყობილი ძალების პოზიციები შეარჩია.

## „კაცო, უკანალის მიცემა თუ გინდათ, გიშლით ვინმე?“



არქიმანდრიტი ანთიმოზი (თამაზ ბიჩინაშვილი) „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე სკანდალურ პოსტს აქვეყნებს:

– ელგებეტეს!

კაცო, უკანალის მიცემა თუ გინდათ, გიშლით ვინმე? მაგრამ რა გაყვირებთ, უკანალს ვაძლევო, – წერს არქიმანდრიტი სოციალურ ქსელში. (daijesti.pia.ge)

## წულუკიანი ბობოხიძეს — შენ დაგენაცვლა ამბის მომტანი, კაკო



საქართველოს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი „ნაციონალური მოძრაობის“ წევრ აკაკი ბობოხიძეს პასუხობს. ბობოხიძის მიერ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე გაკეთებულ განცხადებას, რომ დიდ ჯიხაიშში, საზოგადოებრივი ცენტრის მშენებლობაზე დასაქმებულ მუშებს ხელფასები არ მიუღიათ, წულუკიანი სოციალურ ქსელში ეხმაურება:

– „მშენებლობა დასრულდა“ – გარედან რომ შეხედა ნაციონალის გამჭრიახე თვალმა, შენ დაგენაცვლა ამბის მომტანი, კაკო. ობიექტი კი არ დასრულებულა. რასაც მე ვეძახი დასრულებას, თვარა აბა თქვენ რასაც ეძახით დასრულებას, კი ვიცი – დღესაც ვასწორებ შენი რჩეული, შენი ნაფერები და ქვეყნიდან თავქუდმოგლეჯით გაქცეული იუსტიციის მინისტრის ნაშენებ-ნაფერებ-ნარუდუნებ თბილისის იუსტიციის სახლის გაგრილება-კონდიცირება-სახურავ-სანიაღვრე-პარკინგებს.

ისე, ჩემებმა შანიძეებში იციან და მეც გამოვიყენებ ამ გამოთქმას – ნეტაი, იმის ტურა მქნა და გამაგებინა, შენი ნაფერები და კიევში გაქცეული რომ თბილისის იუსტიციის სახლს აშენებდა და მუშები სახურავიდან ცვიოდნენ (ხელფასს ვინ დაეძებდა), მაშინ რამე თქვი, კაკო? არა?! ხოხ, შეგირცხვა ცხვირ-პირი, კაკო!

ჰოდა, რაკი ობიექტი ჯერ არ ჩაბარებულა და შესაბამისად, არ დასრულებულა, სერვისების განვითარების სააგენტო (ეს რომელია, იცი, აი, ვაშაძე რომ იყო უფროსი, ის) ვერ გადაუხდის სამშენებლო კომპანიას დარჩენილ თანხას. მიღება-ჩაბარება ხომ იცი, აი, ის უნდა გაფორმდეს.

როდის გაფორმდება? როცა დავინახავ, რომ დასრულდა. მე რასაც დასრულებას ვეძახი, თვარა, შენი ჭირიმე, წვიმა რომ სახურავიდან მილში კი არ მიდის, კედელზე ჩამოდის და ჩამოწანწკარდება და შტეფსელიდან კომპიუტერს რომ გამორთავ და შტეფსელიც კედლიდან გამოდის და სახლში მოგყვება, ეს დასრულება არ არის, კაკო, – წერს იუსტიციის მინისტრი სოციალურ ქსელში თავის გვერდზე. (ინტერპრესნიუსი)

# რატომ დაიწყო შსს-მ 10-ლარიან დარღვევაზე 200-ლარიანი ჯარიმების გამოწერა?

დიანა ლიპარტელიანი
571 80-40-80



**მარჯვენასაჭიანი მანქანების რეგისტრაციის აკრძალვის ვადამ შესაძლოა, 2017 წლამდე გადაიწიოს. პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის, თემურ მაისურაძის თქმით, კანონი ძალაში 1 ივნისიდან აღარ შევა. ის ამბობს, რომ კომიტეტმა განიხილა კანონპროექტი და ბოლო ვერსიით, ბიზნესს უნდა მიეცეს ვადა, რათა ახალ რეალობასთან ადაპტირება შეძლოს.**

**რა მოხდა რეალურად, რატომ ჩავარდა კანონპროექტი? რა სადამსჯელო ღონისძიებები აამუშავა შს სამინისტრომ? რას პასუხობენ „ალიას“ სამინისტროში?**

ყველამ კარგად ვიცით, რა მოტივი ამოძრავებდა შსს-ს, როცა შეიმუშავა ეს საკანონმდებლო პაკეტი და ის რეგულაციები, რასაც ჩვენ ვაპროტესტებთ. სურდათ თბილისის მერია გამოეყვანათ ჩიხიდან, რეგულაციების მეშვეობით შეემცირებინათ ექსპლოატაციაში მყოფი ავტომობილების რაოდენობა, რაც, მათი აზრით, თბილისს აარიდებდა თავიდან სატრანსპორტო კოლაფსს, რომელიც, რა თქმა უნდა, აბსურდული მიდგომაა.

რადგან მარჯვენასაჭიანი ავტომობილების როლი საცობების წარმოქმნაში ისეთივეა, როგორც მარცხენასაჭიანი ავტომობილის. შესაბამისად, აღნიშნული რეგულაციის მიღებით ვერც საცობების პრობლემას აღმოვფხვრით და ვერც ვევის მაპროვოცირებელი მიზეზი. ეს შეიძლება იყოს მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურა; ტექნიკურად გაუმართავი ავტომობილი; არასწორად დამონტაჟებული საგზაო ნიშანი; უადგილო ადგილას მოწყობილი პარკინგები; კლიმატური პირობები; მესამე პირის გავლენა, რომელიც არ არის ავტოსაგზაო შემთხვევის მონაწილე, მაგრამ მოახდინა შემთხვევის პროვოცირება; მძღოლის კვალიფიკაცია, კომპეტენცია, ჯანმრთელობა, ფსიქოლოგიური პორტრეტი და სხვა დეტალები. მხოლოდ მას შემდეგ, რაც გვექნება სრული ინფორმაცია ავტოსაგზაო შემთხვევების შესახებ, შეგვეძლება, დავსახოთ სწორი და მიზანშეწონილი პრევენციული ღონისძიებები. ამ პრობლემების მოგვარების ნაწილებით გათვალისწინებულია სამართალდარღვევები, რომლებსაც მოჰყვა საავარიო ვითარების შექმნა ან მოძრაობის ისეთი შეფერხება, რომელმაც გამოიწვია საცობის შექმნა, გამოიწვევს დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით.

მას შემდეგ, რაც შსს-მ ვერ გაიტანა თავისი კანონპროექტი პარლამენტში, სწორედ ამ მუხლის საფუძველზე ახლა აამოქმედა მძღოლების წინააღმდეგ სადამსჯელო ღონისძიებები და აჯარიმებენ თითქმის ყველა მძღოლს, რომელიც გააჩერებს ავტომობილს იქ, სადაც არ არის პარკირების საგზაო ნიშანი. ეს არასამართლიანი მიდგომაა დღევანდელ რეალობაში,

**„ალიას“ „ეკო ტრანსპორტ ცენტრის“ ხელმძღვანელი, ვასო ურუშაძე ესაუბრა:**

– პარლამენტში გაკეთებული განცხადებების მიუხედავად, ხელისუფლების მმართველ გუნდში აქტიურად მიმდინარეობს მსჯელობა შსს-ს მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ საკანონმდებლო ცვლილებების ინიციატივებთან დაკავშირებით. არაერთხელ მოვისმინეთ საჯაროდ, რომ კანონპროექტის განხილვა გადაიდო 2017 წლისთვის, ეს განაცხადა როგორც შსს-ს წარმომადგენელმა საჯაროდ ეთერში, ასევე ბიზნესომბუდსმენმა ავტოიმპორტიორებთან შეხვედრის დროს, მაგრამ ფაქტია, დღეს პარლამენტში კანონპროექტი რეგისტრირებულია უცვლელი სახით.

**— რეალურად რატომ ჩააგდო ხელისუფლებამ კანონპროექტი, არჩევნების გამო?**

– ჩვენი ინფორმაციით, მმართველ გუნდში განიხილება კანონპროექტის ამოქმედების ვადის წლის ბოლოსთვის გადადება. მათი ტრაფარეტული მოტივი არის ის, რომ არ დაზარალდეს ბიზნესსექტორი, თუმცა ეს, რა თქმა უნდა, რეალობას მოკლებულია. ის, რომ კანონპროექტი დააზარალებდა ბიზნესსექტორს, შსს-მ ძალიან კარგად იცოდა და მაინც შეიმუშავა საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი, მაგრამ როცა ამას მოჰყვა სახალხო პროტესტი, ხელისუფლების პარტიული თანამდებობის პირები ალაპარაკდნენ მოახლოებულ საპარლამენტო არჩევნებზე, რადგანაც არც ერთ პოლიტიკურ ძალას არ აწყობს პოტენციური ამომრჩევლის განაწყენება. კანონპროექტის ავტორებმა ეს ბრძოლა წააგეს, მაგრამ ჩვენ, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები, არც ერთ მთავრობას არ მივცემთ უფლებას, მიიღონ მსგავსი მავნებლური კანონპროექტები.

მოსალოდნელ სატრანსპორტო კოლაფსს ავირიდებთ თავიდან. თუ სურს თბილისში მოძრაობის განტვირთვა და საცობების პრობლემის მოგვარება, უნდა განავითაროს საგზაო ინფრასტრუქტურა, შეიმუშაოს სწორი სატრანსპორტო პოლიტიკა, მოაგვაროს პარკირების პრობლემა, გამართოს როგორც შუქნიშნები ასევე საგზაო ნიშნები, განავითაროს ქვეითების ინფრასტრუქტურა, შეიმუშაოს ქალაქის სატრანსპორტო და ურბანული განვითარების სწორი ხედვა და ა.შ. ამ და სხვა რეკომენდაციებით ჩვენ არაერთხელ მივმართეთ თბილისის მერიას.

**— ბოლო დროს ძალიან ბევრი ავარია ხდება. ამის მიზეზებზე რას იტყვით?**

– რაც შეეხება გაზრდილ ავტოსაგზაო შემთხვევებს და მათ პრევენციას. პირველ რიგში უნდა დაიწყოს ავტოსაგზაო შემთხვევების საფუძვლიანი შესწავლა, რომ დადგინდეს ავტოსაგზაო შემთხვევების ზუსტი მიზეზები და გარე ფაქტორები. წარმოუდგენელია, ყველა ავტოსაგზაო შემთხვევის შემდეგ პასუხისგებაში ვაძლევდეთ მხოლოდ სატრანსპორტო საშუალების მძღოლებს და ამით შემოიფარგლებოდეს გამოძიება, სამწუხაროდ, დღემდე ესე ხდება. რა თქმა უნდა, თუ მძღოლმა დაარღვია მოძრაობის წესები, მისი პასუხისმგებლობის საკითხი აუცილებლად უნდა დადგეს, მაგრამ ამავდროულად აუცილებელია, საფუძვლიანად შევისწავლოთ, რა შეიძლება ყოფილიყო ავტოსაგზაო შემთხ-

> **„ეს არის სამართალდარღვევა და ამავე დროს, სადავოა ჯარიმის ოდენობა. მეორე ის, რომ საზოგადოებას ამ სამართალდარღვევის შესახებ ინფორმაცია თითქმის არ გააჩნია, იმიტომ, რომ ამ მუხლით საპატრულო პოლიცია მძღოლების დაჯარიმებას თავს არიდებდა და მხოლოდ რამდენიმე დღეა, რაც დაიწყეს მასობრივად დაჯარიმება მძღოლების. საზოგადოებაში გაჩნდა პროტესტი და გაურკვევლობა“**

ნაცვლად, საპატრულო პოლიციამ თბილისში აქტიურად დაიწყო იმ სატრანსპორტო საშუალებების დაჯარიმება, რომლებიც „სითი პარკის“ ტერიტორიის მიღმა იმყოფებიან და ჯარიმა შეადგენს 200 ლარს.

**— ეს ჯარიმები უკანონოა?**

– რა თქმა უნდა, ეს არის სამართალდარღვევა და ამავე დროს, სადავოა ჯარიმის ოდენობა. მეორე ის, რომ საზოგადოებას ამ სამართალდარღვევის შესახებ ინფორმაცია თითქმის არ გააჩნია, იმიტომ, რომ ამ მუხლით საპატრულო პოლიცია მძღოლების დაჯარიმებას თავს არიდებდა და მხოლოდ რამდენიმე დღეა, რაც დაიწყეს მასობრივად დაჯარიმება მძღოლების. საზოგადოებაში გაჩნდა პროტესტი და გაურკვევლობა.

**— თავს არიდებდაო, ამბობთ. ახლა რატომ დაიწყეს?**

– გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს ახალი რეგულაციები ამოქმედდა, სინამდვილეში კი ეს ძველი საჯარიმო სანქციაა, რომელიც წერია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125/2 მუხლში „დედაქალაქის ტერიტორიაზე ავტოტრანსპორტის პარკირების წესების დარღვევა“, რომლის მე-8 და მე-9 პუნქტში არსებობს ასეთი ჩანაწერი: ამკრძალავი ნიშნის „გაჩერება აკრძალულია“ და „დგომა აკრძალულია“ მოთხოვნის დაუცველობა, აგრეთვე, დგომა-გაჩერების წესებით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნის დაუცველობა გამოიწვევს დაჯარიმებას 10 ლარის ოდენობით. ამ მუხლის მე-8 და მე-6

როდესაც ავტომობილების რაოდენობა ბევრად აღემატება პარკირების ადგილების რაოდენობას, დღეს ერთ საპარკინგო ადგილზე 12 ავტომობილი მოდის, რაც აიძულებს მძღოლებს, გააჩერონ თავიანთი ავტომობილები ისეთ ადგილას, რომელიც კანონმდებლობით არ არის განკუთვნილი პარკირებისთვის. რადგან ასე იქცევა ხელისუფლება, მოქალაქეებს შეგვიძლია, გამოვიდეთ ინიციატივით, რამდენი ორმო, თავახდილი ჭა და ინფრასტრუქტურული უწესივრობაა ქალაქში, იმდენი 200 ლარი დავაკისროთ თბილისის მერიას, იმიტომ, რომ გაუმართავი ინფრასტრუქტურაც საცობის გამომწვევი მიზეზია. ჩვენ ამ უსამართლობას არ შევეგუებით და დავიწყებთ ფართომასშტაბიან კამპანიას სახელმწიფოს წინააღმდეგ.

**რა ხდება კანონპროექტთან და 200-ლარიან ჯარიმებთან დაკავშირებით? ამ კითხვით „ალიამ“ შს სამინისტროს პრესსამსახურს მიმართა: „კანონპროექტის საპარლამენტო განხილვების პროცესში, ჩვენ თავიდანვე ვთქვით, რომ გონივრული ვადები იქნებოდა მიცემული იგივე მარჯვენასაჭიანების საკითხზე. დამატებითი შეხვედრები მოხდა ბიზნესსექტორთან, მათი მოსაზრებები კიდევ ერთხელ მოვისმინეთ, რომ მათაც არ მიიღონ ზარალი. ორშაბათიდან, ისევ განახლდება საკომიტეტო შეხვედრები. არანაირად, კანონპროექტის ჩავარდნაზე არც კი ყოფილა საუბარი.**

**რაც შეეხება 200-ლარიან ჯარიმებს — ეს ჯარიმები არ იწერება პარკირებაზე, ეს იწერება მოძრაობის შეფერხებისთვის. ეს ადრეც ასე იყოს და ასეა ახლაც. ეს მოქმედებს და იმოქმედებს, სანამ არსებობს ადმინისტრაციული კანონი“. — გვითხრეს პრესსამსახურში.**

## რომის პაპმა ეკლესიისთვის „ბინძური ფულის“ გადაცემაზე უარი თქვა



რომის პაპმა ფრანცისკმა განაცხადა, რომ მას არ უნდა, ადამიანებმა კათოლიკურ ეკლესიას „ბინძური ფული“ შესწირონ.

– ზოგიერთი ქველმოქმედი მოდის ეკლესიაში და ფულს გვთავაზობს, რომელიც ადამიანების სისხლით აქვთ ნაშოვნი, რომელთაც ექსპლოატაციას უწევდნენ, ამცირებდნენ, მონურად ექცეოდნენ და აიძულებდნენ, დაბალი ანაზღაურებით ეშრომათ.

მე მათ ვეუბნები: „წაიღეთ საკუთარი ფული უკან და დაწვით. ღმერთის ხალხს არ სჭირდება ბინძური ფული, მათ გული სჭირდებათ, რომელიც ღვთიური სასოებისთვის იქნება ღია“, – განაცხადა პანტიფიკმა.

რომის პაპი ფრანცისკი ცნობილია, როგორც კაპიტალიზმის კრიტიკოსი. (timer.ge)

## „100-ჯერ რომ მომიწიოს არჩევანის გაკეთება, ასივეჯერ ხიდაშელს ავირჩევ“ — ნიკა გვარამია



„რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორი ნიკა გვარამია თავდაცვის მინისტრსა და გოგი თოფაძის დაპირისპირებასთან დაკავშირებით თავის მოსაზრებას სოციალურ ქსელში აფიქსირებს.

გვარამიას თქმით, ამ ორ სუბიექტს შორის არჩევანს ყოველთვის თინა ხიდაშელზე გააკეთებს, რადგან მიუხედავად უამრავი აზრთა სხვადასხვაობისა, ფასეულობათა ორიენტაცია მას და ხიდაშელს საერთო აქვთ:

– რადგან ამდენმა მკითხა, ერთხელ ვიტყვი და მეტს აღარ განვმარტავ:

რაც და რამდენიც არ უნდა ჰქონდეს თინა ხიდაშელს ნათქვამი ან გაკეთებული პირადად ჩემი ან „რუსთავი 2“-ის წინააღმდეგ (და აქვს, ჩემი აზრით, ბევრი, ცუდი და არასწორი), 100-ჯერ რომ მომიწიოს არჩევანის გაკეთება მასა და გოგი თოფაძეს შორის, ასივეჯერ ხიდაშელს ავირჩევ. თუ რამე აქვს დაშავებული, მიეზღოს, ოღონდ გოგი თოფაძისგან არა.

ამით განვსხვავდები მე თუნდაც იგივე ხიდაშელისგან – ჩემთვის გადამწყვეტია ფასეულობითი ორიენტაცია, რომელიც ხიდაშელს ევროატლანტიკური აქვს, ისევე როგორც მე, ისევე როგორც „რ2“-ს.

**P.S.** თუ გინდათ, ხიდაშელისა და თოფაძის მაგივრად რესპუბლიკელები და მრეწველები იგულისხმეთ.

**P.P.S.** ზაქარეიშვილს რაც შეეხება, ამ არსებასა და მეორე არსება თოფაძეს შორის განსხვავებას ნამდვილად ვერ ვხედავ... (ნიუპოსტი)

## ევრო 2016 შესაძლოა, მაყურებლის გარეშე ჩატარდეს




ევრო 2016-ის ჩემპიონატის ზოგიერთი თამაშის თარიღი შეიძლება შეიცვალოს, ან მაყურებლის გარეშე ჩატარდეს. მიზეზი შესაძლოა, მოსალოდნელი ტერორისტული საფრთხეები გახდეს.

– არ არის გამორიცხული, რომ ჩემპიონატის ზოგიერთი მატჩის გადატანა, ან შეცვლა მოხდეს უსაფრთხოების დაცვის მიზეზით, ან მოსალოდნელ ტერორისტულ აქტთან დაკავშირებით შეტყობინებების გამო. თუ იარსებებს რაიმე ეჭვი, რომ ჩვენ ვერ შევძლებთ უსაფრთხოების უზრუნველყოფას, მაშინ მატჩი მაყურებლების გარეშე ჩატარდება, – ეს განცხადება **Associated Press**-თან უეფას ოპერატიული მართვის დირექტორმა მარტინ კაპლენმა გააკეთა. მან ასევე აღნიშნა, რომ ამ მომენტისთვის უეფას არ აქვს ინფორმაცია მოსალოდნელი საფრთხის შესახებ და არც რაიმე საგანგაშო შეტყობინება მიუღია.

ევროპის 2016 წლის ჩემპიონატი 10 ივნისს დაიწყება და 10 ივლისამდე გაგრძელდება. მატჩები გაიმართება შემდეგი 10 ქალაქის სტადიონებზე: ბორდო, ლილი, ლანსი, ლიონი, მარსელი, ნიცა, პარიზი, სენ-დენი, სენტ-ეტიენი და ტულუზა.

საფრანგეთი ევროპის ჩემპიონატს მესამედ უმასპინძლებს.

2015 წლის 13 ნოემბერს პარიზში მომხდარმა ტერორისტული აქტებმა ჩემპიონატის უსაფრთხოების შესახებ დისკუსია გამოიწვია. ტერაქტებისგან ერთ-ერთის სამიზნე სწორედ „სტად დე ფრანსზე“ მიმდინარე ამხანაგური მატჩი იყო გერმანიასა და საფრანგეთის ნაკრებებს შორის. (ნიუპოსტი)

## საავიაციო უშიშროების სამმართველოს მაღალჩინოსანი ქრთამის აღების ფაქტზე დააკავეს



სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს და შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის თანამშრომლებმა ქრთამის აღების ფაქტზე შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის საავიაციო უშიშროების სამმართველოს მეორე განყოფილების უფროსის მოადგილე გიგა კიკნაველიძე დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ გიგა კიკნაველიძემ, მოქალაქეს 50 000 აშშ დოლარის ღირებულების ოქროს ნივთების თბილისის საერთაშორისო აეროპორტის საკონტროლო-გამშვები პუნქტის გვერდის ავლით გატანის სანაცვლოდ 5000 ლარი მოსთხოვა.

გიგა კიკნაველიძემ თბილისის საერთაშორისო აეროპორტის მიმდებარე ტერიტორიაზე, ქრთამის სახით მის მიერ მოთხოვნილი 5000 ლარი აიღო, რა დროსაც იგი ბრალდებულის სახით დააკავეს. (ნიუპოსტი)

## რატომ არ იწყებს კონკურენციის სააგენტო საფთიაქო სფეროს შემოწმებას?!

მაკა დეკანოსიძე
551 99-18-19



**მიუხედავად იმისა, რომ საფთიაქო მონოპოლიებზე არაერთხელ ყოფილა მაღალი ტრიბუნებიდან საუბარი, რეალურად ამ კუთხით დღემდე არაფერი შეცვლილა — ისევ გაბერილი, უკონტროლო ფასები, რომელიც ისედაც ჯიბეგამოფხეკილ მოსახლეობას ზურგზე ძალიან მძიმე ტვირთად აწვება.**

**„ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციაში“ („აფბა“) აცხადებენ, რომ გამოსავალი მედიკამენტების ფასზე ზედა ზღვრის დაწესებაა.**





### „ნამდვილად არსებობს საეჭვო სიტუაციები წამყვან საფთიაქო ქსელში არსებულ მედიკამენტების ფასებზე“

**„ალიას“ „აფბას“ პრეზიდენტი შოთა გულბანი ესაუბრა:**

**— ბატონო შოთა, თქვენ არაერთხელ გისაუბრიათ წამლების ხელოვნურად გაზრდილ ფასზე და საფთიაქო სფეროს უკონტროლობაზე. რატომ არ დაიწყო კონკურენციის სააგენტომ ამ საკითხის შესწავლა, ხომ არ იცით? თავადვე თქვეს, რომ საწვავის შემდეგ, საფთიაქო ბიზნესი უნდა შეესწავლათ.**

– ეს რომ გააკეთოს, ამას სჭირდება ძალიან სერიოზული კვლევა და დასაბუთება. როგორც ნავთობკომპანიების პირობებში გამოიკვლიეს და დააჯარიმეს კიდევაც 5-5 მილიონით. ეს კვლევა იყო 1000-გვერდიანი თუ არ ვცდები, რადგან მსგავს საკითხებს ძალიან დიდი სიფრთხილე და მუშაობა სჭირდება. ნამდვილად არსებობს საეჭვო სიტუაციები წამყვან საფთიაქო ქსელში არსებულ მედიკამენტების ფასებზე, სულ რამდენიმე თეთრია ძირითადად ფასებს შორის განსხვავება, დანარჩენი საფთიაქო ქსელებიც ესადაგებიან წამყვან ქსელებს. მიუხედავად იმისა, რომ დღეს ბაზარი არის საკმაოდ დივერსიფიცირებული, მრავალი ათასი მედიკამენტის იმპორტი ხორციელდება და ბევრი კომპანიაა იმპორტიორი. ეს ერთი შეხედვით თითქოს აჩენს კონკურენტული გარემოს პირობებს, მაგრამ მთავარი ამ შემთხვევაში არის, რამდენია მედიკამენტის ფასი. შესაძლოა, ფასი არასოდეს არც იყოს მისაღები და სულაც უფასოდ უნდოდეთ, მაგრამ ის ხომ უნდა ეფუძნებოდეს რაღაც ლოგიკურ გარემოებებს და ჩარჩოს?! ის, რომ ხელოვნურადაა გაზრდილი ფასები, ამის თქმის საფუძველს მაძლევს თუნდაც 2011 წელს საბაჟოდან გამოთხოვილი ინფორმაცია, რა ფასად შემოდიოდა წამალი და რა ფასი ფიქსირდებოდა დახლზე. როგორც აღმოჩნდა, სხვაობა ძალიან დიდი იყო – 200-300 პროცენტის ფარგლებში, ერთ მედიკამენტზე 1200 პროცენტიანი ფასნამატიც კი იყო და სიტუაცია მას შემდეგ მკვეთრად არ შეცვლილა.

**— თქვენ გამოსავალს ფასის ზედა ზღვარის დაწესებაში ხედავთ, თან აცხადებთ, რომ კომპანიები თავის საქმიანობაზე ინფორმაციებს არ იძლევიან. თუ არ იცით წამლის თვითღირებულება, როგორ უნდა დადგინდეს ზედა ზღვარი? და რომც დადგინდეს, ეს ბიზნესის საქმეებში ჩარევა არ გამოვა?**

– მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში სოციალური ფონი ძალიან მძიმეა, მაინც ინარჩუნებენ ამ გაბერილ ფასებს. სახელმწიფოს მეორე გზა აქვს, რომ უცხოელი ინვესტორი დააინტერესოს, ინვესტიცია განახორციელოს ქვეყანაში, რათა შეიქმნას უფრო მეტად კონკურენტული გარემო და ამ ფორმირების გზით მოახდინოს წამლებზე ფასების შემცირება. ჩვენი ბოლო კვლევებით, დაახლოებით 200-250 დასახელების მედიკამენტებზე დაკვირვებით, ვნახეთ, რომ იმპორტირებულ მედიკამენტებზე უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც კლებადი ტენდენცია ფიქსირდება, რაც მეტწილად განპირობებული იყო იმით, რომ გამოჩნდა ახალი, ძლიერი ფინანსური რესურსების მქონე ქსელი, რომელსაც სახელმწიფოც დაეხმარა, შესაბამისად, ამ კომპანიის მიერ შეთავაზებულმა იაფმა მედიკამენტმა უზრუნველყო ის, რომ სხვა მომხმარებლებმაც ცოტათი გააიაფეს ფასები. რაც შეეხება ბიზნესის საქმეებში ჩარევას, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო პირდაპირ ვერ ჩაერევა საფასო პოლიტიკის განსაზღვრაში, არსებობს ევროკავშირის გამოცდილება, მაგალითად, საფრანგეთსა და იტალიაში, მთავრობის ჩარევის გარეშე არ ხდება წამლის სარეალიზაციო ფასის დადგენა. კომპანიას არ შეუძლია წამალზე თვითნებურად დაადოს ფასი მთავრობის თანხმობის გარეშე. ბრიტანეთში ცოტა განსხვავებულად არის, მთავრობა უდგენს კომპანიას მოგების მარჟას. საქართველოში კი, სადაც მილიონ-ნახევარ ადამიანზე მეტი სიღარიბის ზღვარს მიღმაა, არ შეიძლება წამალი იყოს კომერციული პროდუქტი, ის არის პირველ რიგში სოციალური პროდუქტი და ფარმაცევტულ კომპანიებს ამის გაგებაც კი არ უნდათ.

**— ჯერ კიდევ ბიძინა ივანიშვილმა პრემიერობისას ისაუბრა საფთიაქო მონოპოლიებზე, დაუცაცხანა კიდეც და ცოტა ხნით დასწიეს ფასები, მაგრამ ისევ „აიწყვიტეს“. ასეთი ვინ მფარველობენ ამ კომპანიებს? თუ ხელისუფლებასაც აშფოთებს ეს საკითხი, წესით, უნდა დარეოდნენ მონოპოლიებს...**

– სწორედ იმის გამო ხდება ასე, რომ სახელმწიფოს არ შეუძლია, მკაფიოდ ჩაერიოს ფასის განსაზღვრის პროცესში. მსხვილი საფთიაქო ქსელები უბრალოდ ბიზნესის თავისუფლებას იყენებენ მოსახლეობის წინააღმდეგ და სათავისოდ. სომხეთი მაგალითია იმისა, რომ შესაძლებელია ფასის დაწევა წამლებზე, ჩვენთან წარმოებული წამალი სომხეთში გაცილებით იაფი ღირს. ე.ი. არის შესაძლებლობა, რომ აქაც ლოგიკური ფასები დაწესდეს და არ იყოს განუსაზღვრელი მათი მადა.

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი...

## „არ უნდოდა, ანაბეჭდი დარჩენილიყო“ — რას ჰყვება ფონიჭალაში მომხდარ მკვლელობაზე ნონა რომანაძის ქმარი



22 თებერვალს, ფონიჭალაში დედა-შვილის სასტიკი მკვლელობის შესახებ თავის ვერსიას ჰყვება მეუღლე ოთარ მამფორია, რომელიც მიიჩნევს, რომ მისი ოჯახი ნაცნობმა ან ოჯახის ახლობელმა ამოხოცა, ტანსაცმელი გამოიცვალა და ცეცხლი წაუკიდა.

– ჩემი აზრით, რომ შევიდა სახლში, დახვდა პერანგით და ხალათით ჩემი მეუღლე. შემდეგ ყავა აქვს დასხმული და გამოტანილი კომპიუტერთან. ნათქვამი აქვს, რომ ყავა არ უნდა. არის ყავის მადუღარაში ყავა და ფინჯანიც მომზადებული, მაგრამ დასხმული არაა. ალბათ, არ უნდოდა ჭიქაზე ანაბეჭდი დარჩენილიყო, – აცხადებს მამფორია.

ოჯახის წევრების განცხადებით, სახლიდან გამქრალია ერთ-ერთი კარის სახელური და დანა. მათივე ვერსიით, ბავშვმა იცნო მკვლელი და არ დაინდო, ხოლო მოკლულ ქალბატონს 26 ჭრილობა მიაყენა. სამართალდამცავები დამატებით ცნობებს არ ავრცელებენ. (ნიუპოსტი)

## ნათესავის მიერ დამწყვდეული 88 წლის ქალი — სასტიკი მოპყრობის ფაქტი ლაგოდეხში



„კურიერის“ ინფორმაციით, ბოლო 3 წელია 88 წლის ქალი ნათესავმა ერთ ოთახში გამოკეტა. როგორც ლიდა რეჟენკოვა ტელეკამერის წინ ყვება, ის საკუთარი საცხოვრებლიდან ვერსად გადის, რადგან ოთახში ჩაკეტეს.

გისოსებიანი ოთახი კი მხოლოდ რამდენიმე დღეში ერთხელ იღება, როდესაც ქალთან საკვები მიაქვთ.

თავისუფლების ასეთი აღკვეთისა და სასტიკი მოპყრობის მიზეზი შესაძლოა, სწორედ ის სახლი იყოს, სადაც ქალი ცხოვრობს.

ლაგოდეხში 3 წლის განმავლობაში არც ერთი სახელმწიფო უწყება არ დაინტერესდა გაუჩინარებული ქალის ბედით. (ნიუპოსტი)

## დიდ დიღომში მილის დაზიანებისგან მიყენებულ ზარალს სადაზღვევო კომპანია აანაზღაურებს



საბურთალოს გამგეობის წარმომადგენლის ტარიელ ტყემალაძის განცხადებით, დიდ დიღომში მილის დაზიანების გამო მიყენებულ ზიანს **GWP**-ის სადაზღვევო კომპანია შეისწავლის და დატბორილი კორპუსებისა და დაზიანებული ავტომობილების ზარალს აანაზღაურებს.

**GWP**-ის წარმომადგენლის თეიმურაზ ჯანელიძის თქმით, ადგილზე უკვე მიმდინარეობს აღდგენითი სამუშაოები, გამოძახებულია შესაბამისი სამსახურები, რომლებიც მდგომარეობის აღწერას და განხილვას მოახდენენ. (ნიუპოსტი)

## განსხვავებით სხვებისგან, ისტერიკის გარეშე მივიღებთ გადაწყვეტილებას — ზურაბ ტყემალაძე



„მრეწველთა პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი ზურაბ ტყემალაძე პრემიერის საგანგებო განცხადებას გამოეხმაურა. ტყემალაძე ეთანხმება გიორგი კვირიკაშვილს და აცხადებს, რომ ჯარის პოლიტიკურ პროცესებში ჩართვა დაუშვებელია. მისი თქმით, თუ დაპირისპირებული პარტიების მიმართ რამე ღონისძიება გატარდება, ეს პროცესი ორივე პარტიას უნდა შეეხოს. ზურაბ ტყემალაძე პირობას დებს, რომ, თუ კოალიციის ლიდერი გადაწყვეტს, რომ კოალიცია „მრეწველებმა“ უნდა დატოვონ, ისინი ამას ისტერიკის გარეშე გააკეთებენ:

– მინდა დავეთანხმო პრემიერს იმაში, რომ ვინ დაიწყო, როგორ დაიწყო თავისთავად ჩანს ამ განცხადებიდანაც, დავეთანხმო იმაში, რომ ჯარის პოლიტიზება და ამ საკითხში ჩართვა ნამდვილად არ შეიძლება. ასევე, არ შეიძლება თავდაცვის მინისტრისგან მსგავსი განცხადებების გაკეთება. რა გადაწყვეტილებაც არ უნდა მიიღოს კოალიციის ლიდერმა, ჩვენ მას დავემორჩილებით, თუ იქნება მიღებული გადაწყვეტილება, ალბათ, ორივეს მიმართ უნდა იყოს და არა ერთის მიმართ. მინიშნებაც თუ იქნება იმის შესახებ, რომ ჩვენ კოალიციისთვის ზედმეტი ვართ, უხმოდ და ყოველგვარი ისტერიკის გარეშე მივიღებთ გადაწყვეტილებას, განსხვავებით ყველა იმ პარტიისგან, ვინც ისტერიკას მართავს, – განაცხადა ზურაბ ტყემალაძემ. (ნიუპოსტი)

## „პოლიცია იწერდა ჩემს ჩვენებას“ — ვის უჩივის ნიკა გვარამია



ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის გენერალურ დირექტორს მიუნხენის აეროპორტში პრობლემები შეექმნა. მისი თქმით, ეს პირველი შემთხვევა არ არის და ის კომპანია **Lufthansa**-სთვის ჩივილს აპირებს.

– მიუნხენის აეროპორტი ასე მარტივად ხომ არ გამიშვებდა?

ესეც პოლიცია იწერს ჩემს ჩვენებას, როგორ გავილვიძე და არ დამხვდა ჩემი ნივთები. პრაქტიკულად ცარიელ აეროპორტში მოხდა ეს.

იმედია, თბილისში რომ ჩამოვალ და **Lufthansa**-ს ვუჩივლებ, ჩემი სარჩელი ურთმელიძეს არ დაეწერება, – წერს გვარამია სოციალურ ქსელში. (daijesti.pia.ge)

## „კარგია, რომ „რესპუბლიკელები“ მობილიზაციას პარტიაში გამოაცხადებენ და არა არმიაში“

ექსპერტი გია ხუხაშვილი საქართველოს პრემიერ-მინისტრის განცხადებას დადებითად აფასებს და აღნიშნავს, რომ გიორგი კვირიკაშვილს სხვა არჩევანი არც ჰქონია.

– ჩემი შეფასება დადებითია, პრემიერ-მინისტრს სხვა არჩევანი, არც ჰქონდა. გიორგი კვირიკაშვილი არა თუ უფლებამოსილი იყო ასეთი განცხადება გაეკეთებინა, არამედ ვალდებულიც. გოგი თოფაძის განცხადებები, გარკვეულწილად, საფრთხეს უქმნიდა საკუთრივ კოალიციას, თინა ხიდაშელის განცხადებები კი გასცდა ვიწროპარტიულ კონფლიქტს, შესაბამისად, ფაქტობრივად, უკვე იქმნებოდა სახელმწიფოებრივი, საკმაოდ სერიოზული რისკები. ხიდაშელმა, ქვეყნის გეოპოლიტიკურ არჩევანთან „რესპუბლიკური პარტიისა“ და თავისი პერსონის დაკავშირება დაიწყო. ეს ძალიან ჰგავდა იმას, რასაც თავის დროზე, მიხეილ სააკაშვილი აკეთებდა – ის თავის ბედს ქვეყნის განვითარების ვექტორს ცალსახად უკავშირებდა. იგივე გაიმეორეს ეპიზოდურად „თავისუფალმა დემოკრატებმა“. ეს ყოვლად მიუღებელია. მნიშვნელოვანია, არავის დაავიწყდეს, რომ თინა ხიდაშელი არის თავდაცვის მინისტრი. თავდაცვის სამინისტრო არის დეპოლიტიზებული უწყება და ყოვლად მიუღებელია, რომ ამ უწყების ხელმძღვანელი ასეთ განცხადებებს აკეთებდეს. ამას ისმენენ ოფიცრები, ჯარისკაცები და ხდება მათი თუნდაც, უნებლიე ჩართვა პოლიტიკაში. როდესაც ადამიანი თავდაცვის მინისტრი ხდება, ის პოლიტიკას უნდა გაემიჯნოს. სხვათა შორის, თავის დროზე, ირაკლი ალასანია ასე მოიქცა – ის თავმჯდომარეობიდან გადადგა და ცდილობდა, ბოლო მომენტამდე, პოლიტიკური განცხადებები არ გაეკეთებინა. თინა ხიდაშელი პოლიტიკაშია, მთელი ამ პერიოდის განმავლობაში, მას პოლიტიკა ერთი დღითაც არ დაუტოვებია, – განაცხადა გია ხუხაშვილმა. (pia.ge)


გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

# რამდენით ნაკლები უნდა იყოს კურსი და რა უნდა გაკეთდეს ამისთვის?



**როგორც ეკონომიკის ექსპერტები ამბობენ, ეროვნული ბანკის პრეზიდენტის, გიორგი ქადაგიძის წასვლა ლარმა იგრძნო და შვებით ამოისუნთქა. რა დაგვიტოვა ქადაგიძემ ბოლო 3 წლის განმავლობაში? იგივე ექსპერტების თქმით, ესაა გაუფასურებული ლარი, პრივილეგირებულ მდგომარეობაში ჩაყენებული საბანკო სექტორი (ესენი არც ადრე აკლებდნენ) და საეჭვო გარიგებები კომერციულ სტრუქტურებთან. წავიდა თუ არა ქადაგიძე, „ბლუმბერგის“ პლატფორმაზე კურსი 2,46-ის ნიშნულზე დაფიქსირდა, მანამდე დოლართან მიმართებაში ეროვნული ვალუტის კურსი 2,50-ის ფარგლებში მერყეობდა.**

**რას უნდა ველოდოთ უახლოეს მომავალში, ლარის კურსი დასტაბილურდება და დაიწყებს გამყარებას?**

**„ალიას“ ფინანსური პოლიციის უფროსის ყოფილი მოადგილე, სერგო ჯავახიძე ესაუბრა:**

– ქადაგიძის წასვლით მოიხსნა რამდენიმე პრობლემა და მათ შორისაა ერთი გაუგებარი მომენტი... მე თამაზ მეჭიაურს ვკითხე, ახლა კიდევ არის საჭირო, რომ ზედამხედველობის სამსახური გამოეყოს ეროვნულ ბანკს? რაღა საჭიროა, როცა ეროვნული ბანკის პრეზიდენტი მაინც თქვენი კაცი გახდება-მეთქი? თამაზი ფიქრობს, რომ ახლა უკვე სულერთია, გინდა გამოეყოს, გინდა – არაო. ჩემი აზრით, გამოყოფა და იმის აღდგენა, რაც საკონსტიტუციო სასამართლომ შეაჩერა, ზედმეტი ხარჯია. გადავიდეთ მეორე საკითხზე: ჩვენთან ლარი დოლართან მიმართებაში გაუფასურდა 47-50 პროცენტით, ჩვენს მეზობელ აზერბაიჯანში მანათი გაუფასურდა ზუსტად 100 პროცენტით. თუ ჩვენთან არაფერი გაკეთდა მოსახლეობის დასაცავად, აზერბაიჯანის ხელისუფლება ეგრევე დადგა ხალხის მხარეს – მთავრობამ უთხრა ბანკების მესვეურებს: პატივცემულებო, თქვენ რომ წლების განმავლობაში დაწესებული გქონდათ 18-25 პროცენტი და ფულს აკეთებდით, ახლა, ამ კრიზისის დროს უნდა დაგვიდგეთ გვერდით და გაცემული კრედიტებიდან პროცენტების ამოღება მოხდეს იმ მდგომარეობით, როცა მანათი დოლართან მიმართებაში იყო 0,79. ახლა არის 1,55. ამჟამად ბანკების დიდი ნაწილი გაჩერებულია, მაგრამ ვინც ეს შეთავაზება მიიღო, კლიენტებს ემსახურებიან ადრინდელი კურსით. აქ ვგულისხმობ იმ კლიენტებს, რომლებსაც სესხები ჰქონდათ აღებული მანათის გაუფასურებამდე, ხოლო ვინც ახლა აიღებს, ან გაუფასურების შემდეგ აიღო, მათ გათვითცნობიერებული ჰქონდათ, რასაც აკეთებდნენ და არ ეხებათ. მე მოვუწოდებ ჩვენს ხელისუფლებას, რომ გააკეთოს დაახლოებით მსგავსი რამ, საბანკო სისტემაზე ასე წაყრუება არ შეიძლება. ეს საკითხი მთავრობის გადასაწყვეტია. ბოლო ორი თვეა, რაც აზერბაიჯანის მოსახლეობა აღარ იხდის საკრედიტო პროცენტებს, მუშავდება ახალი სქემები.

**— ძალიან ძნელი წარმოსადგენია, ჩვენთანაც ასე მოიქცნენ.**

– აზერბაიჯანშიც ძნელი წარმოსადგენი იყო, მაგრამ გააკეთეს, ხელისუფლება დადგა ხალხის მხარეს და არა ბანკების მხარეს. მიუხედავად იმისა, რომ აზერბაიჯანის მოსახლეობის შემოსავლები უფრო მაღალია, ვიდრე ჩვენი.

**— კარგი, ეს საკითხი გადავდოთ და გადავიდეთ შემდეგზე: როგორც ვხედავთ, ლარი შეუმჩნევლად, მაგრამ მაინც მყარდება, როგორ ფიქრობ, ეს ქადაგიძის წასვლამ განაპირობა?**

– რასაკვირველია, განაპირობა... თუ ეროვნული ბანკი და მთავრობა გუნდურად იმუშავებს, უახლოეს ხანში ლარის კურსის ჩამოწევა შესაძლებელია.

**„საქართველოში არსებული დოლარისა და ლარის მასის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, დღეს რეალური კურსი უნდა იყოს 2,25, მეტი არა. ეს არის ბუნებრივი გაცვლითი კურსი. კურსის გამყარება შეიძლება, მაგრამ შემდეგ ამას უნდა შენარჩუნება, ხელისუფლებამ ისიც უნდა გაითვალისწინოს, რომ ახლა საარჩევნო წელია და უცხო ქვეყნებიდან აუცილებლად წამოვა ფული, ამას უნდა გაკონტროლება“**

**— ვრცელდება კულუარული ინფორმაცია, თითქოს ბიძინა ივანიშვილს უთქვამს ე.წ. ეკონომიკური გუნდისთვის, ლარი დოლართან მიმართებაში 2,25 უნდა გახდეს, ეს უნდა გააკეთოთო.**

– მე არ ვიცი, ბიძინა ივანიშვილმა ვის რა უთხრა, მაგრამ საქართველოში არსებული დოლარისა და ლარის მასის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, დღეს რეალური კურსი უნდა იყოს 2,25, მეტი არა. ეს არის ბუნებრივი გაცვლითი კურსი. კურსის გამყარება შეიძლება, მაგრამ შემდეგ ამას უნდა შენარჩუნება, ხელისუფლებამ ისიც უნდა გაითვალისწინოს, რომ ახლა საარჩევნო წელია და უცხო ქვეყნებიდან აუცილებლად წამოვა ფული, ამას უნდა გაკონტროლება. სააკაშვილი ამ კუთხით მაგრად მუშაობდა, ყველას დასდევდნენ, ზოგს საზღვარზე იჭერდნენ, ზოგს კიდევ ანგარიშებს უყადაღებდნენ. როგორც წესი, ასეთი რაღაცები არ ხმაურდებოდა. საარჩევნო პროცესის დროს რა ფული ტრიალებს, ძალიან ძნელი გასაკონტროლებელია, საიდანღაც მოდის ფული, მერე ურიგებენ პარტიების აქტივისტებს, ვითომ შემოწირულობაა, იმათ ისევ პარტიებში შეაქვთ და ასე შემდეგ.

**— აქ ფინანსური თვალსაზრისით საფრთხეს სად ხედავ?**

– ჩვენ არ ვიცით, ვინ რამდენს შემოიტანს, რა ფორმით შემოიტანს და როგორ გადაახურდავებს. არ არის გამორიცხული, დაიწყოს ფულის გათეთრებაც, რაღაც ნაწილის ისევ უკან გატანა და ასე შემდეგ. გაიხსენე, მიშა სააკაშვილი როგორ აკონტროლებდა პროცესს, ნათია მოგელაძე ჰყავდა აუდიტის სამსახურში და უამრავ შემომწირავ ადამიანს დაუყადაღეს სახლები, ასმაგი ოდენობით აჯარიმებდნენ. მე ვამბობ, რომ სიტუაცია უნდა გაკონტროლდეს, ქაოსურ მდგომარეობას კარგი არასოდეს მოაქვს.

**— კობა გვენეტაძე რომ წარადგინეს პარლამენტში ეროვნული ბანკის საბჭოს წევრობის კანდიდატად, მან თქვა, საქართველოში დოლარიზაციის დონე უნდა შემცირდესო. თუ ასე იქნება, ესეც რაღაცას ნიშნავს.**

– რა თქმა უნდა, დოლარიზაციის დონე შესამცირებელია. ყველა ქუჩაზე რომ ერთმანეთის მიყოლებით სულ სავალუტო ჯიხურებია, ვის რაში სჭირდება ამდენი? ეს იმას ნიშნავს, რომ მაღაზიებში ვაჭრობა მიდის ლარზე, მაგრამ დანარჩენი ყველაფერი იყიდება დოლარზე. ეს უკვე ძველი თემაა, ამაზე ხშირად გვისაუბრია, მაგრამ თბილისში უკვე გაჩნდა მაღაზიები, ძირითადად ავეჯისა და ტექნიკის, სადაც პროდუქციას ფასები ადევს დოლარში. ესე იგი, ჩვენში უძრავ-მოძრავი ქონება აქამდეც იყიდებოდა დოლარზე, ახლა უკვე მაღაზიებმაც დაიწყეს. რაღა რჩება, მხოლოდ სიგარეტი და შაქარი?

**— ავეჯსა და ტექნიკას დოლარზე ყიდიან?**

– არა, აწერია დოლარი, მიხვალ სალაროსთან და გადაიხდი ლარში, მაგრამ იმ კურსით, რა კურსიც იმ წუთას არის დაფიქსირებული. შეიძლება დღეს მიხვიდე და სხვა ფასი იყოს, ხვალ კიდევ სხვა ფასი. ტიპებმა საქმე გაიიოლეს, აღარ წვალობენ, ყოველდღე ფასების ცვლას ეს ამჯობინეს. დოლარით თამაშს ერთხელ და სამუდამოდ უნდა დაესვას წერტილი. მაგალითად, ჩინეთში ასეთი მანიპულაციები სასტიკადაა აკრძალული და უცხოური ვალუტის გადახურდავება ხდება მხოლოდ ერთ ბანკში, „ჩაინა ბანკში“. ჩვენთან გაჩნდა ერთი ასეთი ტენდენციაც – შეხვალ ბანკში, კურსი არის 1,48, გარეთ გამოხვალ და სავალუტო ჯიხურში არის 1,46, ერთგან ერთი კურსია, მეორეგან – მეორე, მესამეგან – მესამე. ესეც უნდა აკონტროლოს ეროვნულმა ბანკმა. როცა შენ ბინას ყიდულობ, სესხს იღებ დოლარში და დეველოპერსაც უხდი დოლარში. ვისაც უცხოეთში უნდა წასვლა, მივა და გადაახურდავებს, დანარჩენ შემთხვევებში, ქვეყნის შიგნით ვაჭრობა დოლარში სასტიკად უნდა აიკრძალოს და მერე ნახავთ, როგორ დასტაბილურდება ლარი. ასე ზოგადად რომ იძახიან, ქამრები შემოვიჭიროთო, ეს მხოლოდ სადღეგრძელოა, ძალიან მნიშვნელოვანი იქნება სახელმწიფო ხარჯების შემცირება, საჯარო სამსახურებში ძალიან ბევრი ადამიანია და ისინი, ფაქტობრივად, არაფერს აკეთებენ. სამინისტროებიც შესამცირებელია.

**— ამას ახლა არ გააკეთებენ, არჩევნები მოდის.**

– რეფორმა უნდა ჩატარდეს, ტყუილად ხელფასების დარიგება და ვილაცების მომადლიერება ქვეყანას რას მისცემს? დღეს უკვე დაიწყეს ლაპარაკი, შემოტანილ ტექნიკაზე, დაზგა-დანადგარებზე, რაც იქნება წარმოებისთვის, დღგ გავაუქმოთო. ეს კარგია, უნდა გაკეთდეს, ბიუჯეტს არ დაარტყამს. თუმცა, ჩემზე რომ იყოს, კომერციული მიზნით შემოტანილ პროდუქციაზეც გავაუქმებდი დღგ-ს, შემოვატანინებდი, გავაყიდვინებდი და მერე გადავახდევინებდი, თუ ქვეყნის გარეთ გაიტანდნენ შემოტანილ პროდუქციას, საერთოდ არ გადავახდევინებდი და იცი, რატომ? ქვეყანას ამ რეგიონში გავხდიდი სავაჭრო პლაცდარმად, ჩვენს გარშემო ყველგან არსებობს საბაჟო გადასახადები, არის შედარებით სიძვირე, აქ რაღაც შეღავათებია საჭირო, რომ საქონელი შემოიტანო და შემდეგ მოამარაგო სომხეთი და აზერბაიჯანი, ასევე უკრაინაც.

## სახალხო დამცველი: საქართველოში უამრავი დედაა, რომელიც სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერას საჭიროებს



სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი დედის დღეს სოციალურ ქსელში ეხმაურება და საქართველოში ქალთა უფლებრივ მდგომარეობას ვრცელ პოსტს უძღვნის:

– სრულიად საქართველოს ვულოცავ დედის დღეს, რომელიც პატივისცემისა და სიყვარულის გამოხატვის დღეა. განუზომელია დედების წვლილი მომავალი თაობების აღზრდა-განვითარებაში და მნიშვნელოვანია, ყველა ჩვენგანმა გავითავისოთ, რომ ეს თანაბარი პასუხისმგებლობაა როგორც მშობლების, ასევე, სახელმწიფოსთვის.

სამწუხაროდ, საქართველოში კვლავ პრობლემას წარმოადგენს ქალთა უფლებრივი მდგომარეობის დაცვა და გენდერული თანასწორობის მიღწევა. არსებული გამოწვევების ფონზე, განსაკუთრებული საჭიროებები დედებს აქვთ, რომელთაც სტერეოტიპული შეხედულებებისა თუ მავნე პრაქტიკების გამო, ხშირად მარტოს უწევთ შვილების აღზრდაზე ზრუნვა.

მნიშვნელოვანია, გავიაზროთ, რომ საქართველოში უამრავი დედაა, რომელიც საჭიროებს სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერას და გამართულ სოციალურ სერვისებს. სწორედ ამიტომ მსურს, ეს დღე განსაკუთრებით მივულოცო დედებს, რომლებიც თავისი ღვაწლის მიუხედავად, არ მონაწილეობენ ქვეყნის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფ, თვითდასაქმებულ და მიგრანტ დედებს, რომელთაც განსაკუთრებული ზრუნვის საგნად აქვთ ქცეული შვილებზე ზრუნვა, თუმცა ხშირად რჩებიან ყურადღების გარეშე. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე დედებსა და განსაკუთრებული ზრუნვის საჭიროების მქონე ბავშვთა დედებს, რომელთაც ყოველდღიურად უწევთ არამეგობრულ სერვისებთან შეხვედრა. პატიმარ დედებს, რომელთა საზოგადოებაში რეინტეგრაციასა და შვილებთან ურთიერთობას ხშირად ხელს უშლის არსებული სტიგმა და ბარიერები.

სახელმწიფოს ვალდებულებაა, ხელი შეუწყოს დედობის, როგორც სოციალური ფუნქციის სწორ გაგებას და ბავშვის აღზრდისა და განვითარების საქმეში მშობლების საერთო პასუხისმგებლობის აღიარებას. სამწუხაროდ, ამ მიმართულებით ქმედითი ნაბიჯების არარსებობა განაპირობებს ქალის როლის მხოლოდ რეპროდუქციულ ფუნქციამდე დაყვანას, – წერს ნანუაშვილი „ფეისბუკის“ პირად გვერდზე. (daijesti.pia.ge)

## პარლამენტმა ეროვნული ბანკის საბჭოს წევრად კობა გვენეტაძე დაამტკიცა



საქართველოს პარლამენტმა ეროვნული ბანკის საბჭოს წევრად საქართველოს პრეზიდენტის მიერ წარდგენილი კანდიდატი კობა გვენეტაძე ერთხმად დაამტკიცა – გვენეტაძეს მხარი 81-მა დეპუტატმა დაუჭირა, წინააღმდეგ არც ერთი დეპუტატი არ წასულა.

საქართველოს პრეზიდენტმა საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრის გიორგი ქადაგიძის უფლებამოვალეობის ვადის ამოწურვის შედეგად წარმოშობილ ვაკანტურ თანამდებობაზე ასარჩევად კობა გვენეტაძის კანდიდატურა 11 თებერვალს დაასახელა, რასაც წინ კანდიდატის რამდენიმეთვიანი შერჩევის პროცესი უძღოდა. საქართველოს პრეზიდენტმა კობა გვენეტაძის კანდიდატურა ექსპერტებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების შერჩეული და შეფასებული რამდენიმე კანდიდატიდან დაასახელა. (bpn.ge)

## „რუსთავის აზოტმა“ მუშაობა შეაჩერა

რუსთავის აზოტი

სპს „რუსთავის აზოტის“ გენერალური დირექტორის, ლევან ბურდილაძის განცხადებით, თუ საწარმოს ბუნებრივი აირის ფასი არ შეუმცირდება, ის ფუნქციონირებას შეწყვეტს.

როგორც ბურდილაძემ განაცხადა, საწარმო უკვე ერთი თვეა გაჩერებულია, თუმცა თუ ფასი არ შემცირდება, ის ველარ გაეშვება და თანამშრომლების დათხოვნა გახდება საჭირო. ბურდილაძის ინფორმაციით, უკვე 6 თვეა, კომპანია „სოკართან“ მოლაპარაკებები მიმდინარეობს და საწარმომ ბუნებრივი აირის ღირებულების ცვლილებასთან დაკავშირებით დაპირებაც მიიღო, თუმცა უშედეგოდ.

– თუ ჩვენ არ აღგვიდგება გაზის მოწოდება, მხოლოდ განახლებული კონკურენტუნარიანი ფასით, მაშინ წარმოება ველარ გააგრძელებს მუშაობას, უბრალოდ საწარმო ვერ შეძლებს ფუნქციონირებას. მიმდინარეობს მოლაპარაკება 6 თვეზე მეტია „სოკართან“. ჩვენ ვცდილობდით, გაგვეთვალისწინებინა მსოფლიო ტენდენცია, რაც დღეს არსებობს გაზთან მიმართებაში. ნავთობისა და გაზის ფასების უპრეცედენტო ვარდნაა და გვინდოდა ეს ტენდენცია შეგვხებოდა, მაგრამ შედეგს ვერ მივაღწიეთ. 1-ელ თებერვალს შეგვიწყდა გაზის მოწოდება, ამის შემდეგ მოლაპარაკებები განსაკუთრებით აქტიურ ფაზაში შევიდა, შევხვდით ენერგეტიკის სამინისტროს, „სოკარს“, მივიღეთ სიტყვიერი დაპირება, თუმცა უშედეგოდ. თუ ჩვენ არ მივიღებთ რეალურ ფასს, რომელიც დღეს საბაზრო რეალობას შეესაბამება, ჩვენი წარმოება მუშაობის გაგრძელებას ვერ შეძლებს და ერთ დღეს თანამშრომლების სახლებში გაშვება მოგვიწევს, – ამბობს ბურდილაძე. (bpn.ge)

# გადაწყვეტილია — ევროპაში უვიზოდ ვივლით



სავიზო რეჟიმის გაუქმების საკითხს ევროპარლამენტი მომავალ კვირას განიხილავს. პროცედურულად, ევროკომისია მინისტრთა საბჭოსა და ევროპის პარლამენტს რეკომენდაციით მიმართავს, საქართველოსთვის ვიზალიბერალიზაციის მინიჭების საკითხს კენჭი უყაროს.

ევროპელმა დეპუტატებმა სავიზო რეგულაციებში ცვლილებები უნდა შეიტანონ და უვიზო რეჟიმით მოსარგებლე ქვეყნების რიცხვს საქართველო დაამატონ. ევროპარლამენტი გადაწყვეტილებას ხმათა უმრავლესობით იღებს და მინისტრთა საბჭოს უგზავნის კენჭისყრისთვის. შემდეგ ხდება რეგულაციის ცვლილების ხელმოწერა ევროპარლამენტის პრეზიდენტისა და ევროკავშირის საბჭოს თავმჯდომარე ქვეყნის წარმომადგენლის მიერ. ამ შემთხვევაში თავმჯდომარე ქვეყანას ჰოლანდია წარმოადგენს. პროცედურების შემდეგ ხდება ხელმოწერილი ტექსტის გამოქვეყნება და ძალაში შედის ვიზალიბერალიზაციით გათვალისწინებული ნორმები.

ვიზალიბერალიზაციასთან დაკავშირებით კიდევ უფრო პოზიტიური მოლოდინი გააჩინა საქართველოს საკითხზე ევროპარლამენტის მომხსენებლის ანდრეას მამიკინსის განცხადებამ.

ევროპარლამენტარმა კმაყოფილება გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს მოსახლეობას უკვე მიმდინარე წელს ევროპაში უვიზოდ გამგზავრების შესაძლებლობა ექნება.

ასევე, მამიკინსის განცხადებიდან გახდა ცნობილი, რომ ევროკავშირი საქართველოსთვის ვიზების ლიბერალიზაციის საკითხს უკრაინისგან დამოუკიდებლად განიხილავს.

უკრაინისთვის უვიზო რეჟიმის მინიჭების თაობაზე პროცედურების დაწესებას ევროპის პარლამენტი მხოლოდ აპრილში გეგმავს.

ევროპარლამენტარები აცხადებენ, რომ თბილისმა კიევზე ადრე შეასრულა ბრიუსელის ყველა მოთხოვნა.

– მინდა მივულოცო ჩემს საყვარელ ქართველ ხალხს. საქართველოსა და უკრაინის საკითხები უკვე ოფიციალურად გაიყო და თქვენს ქვეყანასთან სავიზო რეჟიმის საკითხი ცალკე განიხილება. თუმცა, იმედი მაქვს, რომ ადრე თუ გვიან, უკრაინაც მიიღებს უვიზო მიმოსვლას ევროკავშირთან, რადგან ეს უკრაინელებისთვისაც და ევროპელებისთვისაც მნიშვნელოვანია, ისევე როგორც ქართველებისთვის და მთელი აღმოსავლეთ პარტნიორობისთვის, – განაცხადა მამიკინსმა.

ბრიუსელის პოზიციაზე „პეტრო პოროშენკოს ბლოკის“ თავმჯდომარე იური ლუცენკომ განცხადება გააკეთა და აღნიშნა, რომ ვიზების გამარტივებაზე საუბარი ომის მდგომარეობაში მყოფი ქვეყნისთვის არაპოპულარულია.

– ევროპარლამენტისა და ევროკომისიის ხელმძღვანელობასთან დახურული შეხვედრები ძალიან გულახდილი იყო. მილიონი სირიელი ლტოლვილისგან ევროპა შოკშია. ასეთ პირობებში საომარ მდგომარეობაში მყოფი ქვეყნისთვის უვიზო რეჟიმზე საუბარი არაპოპულარული თემაა, – განაცხადა ლუცენკომ.

ლუცენკო ამბობს, რომ „ევროპის ბიზნესი დაიღალა რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული სანქციებისგან და ეკონომიკური ვარდნის პირობებში მხარს უჭერს პუტინის ლოზუნგს: „სანქციები ურტყამს პუტინს, და არა უბრალო ადამიანებს“.

ლუცენკოს თქმით, უკრაინასთან დაკავშირებით ევროპარლამენტისა და ევროკომისიის დასკვნა ასეთია: უკრაინას აქვს ორი კვირა, რომ კოალიცია შექმნას და ორი თვე რეფორმების გასატარებლად. „წინააღმდეგ შემთხვევაში ფიასკო. ბრიუსელს ცრემლების არ სჯერა“, – ამბობს უკრაინელი დეპუტატი.

რაც შეეხება საქართველოში გაკეთებულ განცხადებებს, ქართველი პოლიტიკოსები მოელიან, რომ პროცედურები რაც შეიძლება მოკლე ვადებში დასრულდება და საქართველოს მოქალაქეები ბიომეტრიული პასპორტით უვიზოდ შევლენ შენგენის ზონის ქვეყნებში.

საქართველოში საგარეო საქმეთა მინისტრის მიხეილ ჯანელიძის განცხადებით, გრძელდება მუშაობა იმისთვის, რომ ვიზალიბერალიზაციასთან დაკავშირებით პოლიტიკური მხარდაჭერა ძალიან მალე მივიღოთ.

– ვიზალიბერალიზაცია არის ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი ჩვენს დღის წესრიგში. ველოდებით, რომ ძალიან მალე მოხდება საკანონმდებლო ცვლილების წარდგენა საბჭოსა და პარლამენტში. გავაგრძელებთ მუშაობას ჩვენს პარტნიორებთან, რათა პოლიტიკური მხარდაჭერა და გადაწყვეტილება იყოს მიღებული ძალიან მალე, – აცხადებს მიხეილ ჯანელიძე.

მოლდოვის შემთხვევაში ევროკომისიის დადებითი დასკვნის გამოქვეყნების შემდეგ პროცედურების გავლასა და ვიზალიბერალიზაციის ამოქმედებას 6 თვე დასჭირდა... (kvira.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი...

## „ფეისბუკში“ პრემიერის განცხადებას აფასებენ



პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ არსებულ დაპირისპირებაზე საგანგებო განცხადება გაავრცელა. როგორც პრემიერი აღნიშნავს, კოალიციაში პოლიტიკურმა დაპირისპირებამ სრულიად მიუღებელი ფორმა მიიღო. პრემიერის განცხადებას „ფეისბუკში“ ეხმაურებიან:

ირაკლი ტაბლიაშვილი:

– პრემიერის მხრიდან კენჭთასროლა რესპუბლიკელთა ბოსტანში მაფიქრებინებს ერთს – კოალიციის ლიდერი პარტია მართლა განიხილავს სრულ სპლიტს... ყველანი ცალკე... ყველანი ცალ-ცალკე...

კობა ლიკლიკაძე:

– დროული განცხადებაა. სწორი აქცენტებითა და კორექტული დამუნათებით!

ინგა გრიგოლია:

– ცვლილებებს განვახორციელებ წინააღმდეგ შემთხვევაშიო... ანუ?????? სულ ვამბობდი, რომ თოფაძის დაპირისპირება თინა ხიდაშელთან და რესპუბლიკელებთან მარტო თოფაძის დაპირისპირება არ იყო და ველოდი მოვლენების ამგვარ განვითარებას...

ხათუნა ხოფერია:

– „თინათინ ხიდაშელი პირველ რიგში მთავრობის წევრია, იგი საქართველოს თავდაცვის მინისტრია და მხოლოდ ამის შემდეგ არის საკუთარი პარტიის ერთ-ერთი ლიდერი. სწორედ მისი სტატუსიდან გამომდინარე, ვფიქრობ, მიუღებელია მისი მხრიდან მსგავს დაპირისპირებაში ჩართვა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ყველაფერი გავაკეთოთ იმისთვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას ჩვენი ჯარის პოლიტიკური პროცესებისგან მაქსიმალური დისტანცირება. დაუშვებელია, რომ ჩვენთვის საამაყო ჯარისკაცები და ოფიცრები პოლიტიკაში აღმოჩნდნენ ჩართული“...

ბ რ ა ვ ო!!!! ბ რ ა ვ ო!!!! ბ რ ა ვ ო!!!!! აი, ეს არის განაცხადი!!!! ახლა ყველამ იცის, ვის უნდა ელაპარაკონ!!!!

თამარ ჩერგოლეიშვილი:

– „მე, როგორც ქვეყნის პრემიერ-მინისტრი და კოალიციის ლიდერი, აუცილებლად განვახორციელებ ცვლილებებს“...

არ ჯობია ახლა ამ აფერისტს მეჭიაური? გამოვიდა და თქვა კაცმა გულწრფელად – მხოლოდ ბატონ ბიძინას შეუძლია მიუთითოს ვინმეს პარლამენტის დატოვებისკენო. (ambebi.ge)

## ივანიშვილს „რესპუბლიკელებთან“ დაკავშირებით გადაწყვეტილება მიღებული აქვს — გიგი წერეთელი



„ნაციონალურ მოძრაობაში“ მიაჩნიათ, რომ პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა ბიძინა ივანიშვილის პოზიცია გაახმოვანა. როგორც თემის კომენტირებისას „ენმ“-ს ერთ-ერთი ლიდერი გიგი წერეთელი აცხადებს, კოალიციაში შემავალ სუბიექტებს შორის დაპირისპირება საარჩევნო სიების ფორმირების მოახლოებასთან ერთად კიდევ უფრო გამძაფრდება.

– განცხადებამ აჩვენა, რომ კოალიციაში დაპირისპირება იმაზე რთულ ფაზაშია, ვიდრე ეს საზოგადოებას ჰგონია. ფაქტია, რომ ივანიშვილს „რესპუბლიკურ პარტიასთან“ დაკავშირებით გარკვეული გადაწყვეტილება უკვე მიღებული აქვს. უბრალოდ, კვირიკაშვილის საშუალებით გაავრცელა მესიჯები – თითი დაუქნია „მრეწველებსა“ და „რესპუბლიკელებს“, – აღნიშნა წერეთელმა.

მისი თქმით, როცა გაერთიანებაში პოლიტიკური ხედვების თანხვედრა არ არის და იქ ადამიანები მილიარდერის ფულის გამო არიან – ეს კოალიცია ადრე თუ გვიან დაიშლება.

– ივანიშვილის ფული და „ნაციონალური მოძრაობისადმი“ სიძულვილი – ეს არის მთავარი იდეა. როგორც არ უნდა შეეცადოს ვინმე, რომ როგორმე შეკრას ერთობა, ეს პერსპექტივაშიც კი შეუძლებელია, რადგან კიდევ უფრო მეტი დაპირისპირება დაიწყება მაშინ, როცა სიის ფორმირება დაიწყება, – აცხადებს გიგი წერეთელი.

მისივე თქმით, „ქართული ოცნება“ ქვეყნის მოსახლეობის მთავარი გამოწვევის მოგვარების ნაცვლად შიდა ინტრიგებითაა დაკავებული. (ნიუპოსტი)

## სიღნაღში ყოფილი პოლიციელი სცემეს




სიღნაღში ყოფილი პოლიციელი სცემეს. ინციდენტი სოფელ მაღაროში მოხდა. დაზარალებულ ილია ბარამაშვილს სამედიცინო დახმარება დასჭირდა. ადგილობრივთა თქმით, მომხდარი ბარამაშვილის პოლიციაში მუშაობის პერიოდს უკავშირდება. ამბობენ, რომ რამდენიმე წლის წინათ, ყოფილმა პოლიციელმა ახალგაზრდები ნარკოტიკების მოხმარების ბრალდებით დააკავა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მოქალაქის ცემის ფაქტზე გამოძიება სსკ-ის 125-ე მუხლით მიმდინარეობს.

როგორც უწყებაში აცხადებენ, ინციდენტში მონაწილე პირების შესახებ სამართალდამცავები ინფორმირებულნი არიან.

„შემდგომი მოქმედება ექსპერტიზის პასუხებზეა დამოკიდებული“, – ამბობენ შსს-ში. (ნიუპოსტი)

## ადიგენში დაპირისპირებულ მხარეებს შორის შეთანხმება შედგა



სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორ აკაკი მაჭუტაძის განცხადებით, სასაფლაო გაფართოვდება და ამ სასაფლაოზე მოხდება როგორც მუსლიმანების, ასევე, მართლმადიდებლების დაკრძალვა.

მისი თქმით, ადიგენში დაპირისპირებულ მხარეებს შორის კიდევ ერთი შეხვედრა შედგა.

– შეხვედრაზე იმყოფებოდა დასავლეთ საქართველოს მუფთი ბეგლარ ქამაშაძე, მისი მოადგილე ადამ შანთაძე და სამცხე-ჯავახეთის მუფთი მამუკა ვაშაყმაძე. მართლმადიდებლური კონფესიიდან წარმოდგენილი იყო მამა ანთიმოზი და სოფელ ადიგენიდან მუსლიმანი თემის სამი წარმომადგენელი და სამი ქრისტიანული თემის წარმომადგენელი. შეთანხმდნენ, რომ სასაფლაო გაფართოვდება და ამ სასაფლაოზე მოხდება როგორც მუსლიმანების, ასევე მართლმადიდებლების დაკრძალვა. სასაფლაო იქნება პირობითად შუაზე გაყოფილი მსუბუქი ღობით, რომ მართლმადიდებლებსა და მუსლიმანებს რიტუალის ჩატარებაში ხელი არ შეეშალოთ. სასაფლაოს შესასვლელს ექნება ცალ-ცალკე ჭიშკარი. ცალკე მუსლიმანებისთვის, ცალკე – ქრისტიანებისთვის, – განაცხადა აკაკი მაჭუტიძემ. (pia.ge)

## ზურაბ აბაშიძე: კოალიციაში შემავალ ყველა პოლიტიკურ ძალას, „ქართული ოცნების“ გარდა, ბარიერის გადალახვა გაუჭირდება



„თავისუფალი დემოკრატების“ ერთ-ერთი ლიდერის ზურაბ აბაშიძის განცხადებით, კოალიცია „ქართული ოცნების“ დატოვების შემთხვევაში, კოალიციაში შემავალ ყველა პოლიტიკურ ძალას ბარიერის გადალახვა გაუჭირდება. მისი თქმით, „ქართულ ოცნებაში“ შემავალი ყველა პოლიტიკური ძალა შეეცდება, საპარლამენტო არჩევნებამდე კოალიციაში დარჩეს.

– ნამდვილად არ ვიცი, კოალიციის შიგნით რა ხდება, გარდა იმისა, რასაც ვისმენთ და ვუყურებთ. დარწმუნებული ვარ, კოალიციიდან გამოსულ ნებისმიერი პარტიას, გარდა პარტია „ქართული ოცნებისა“, ძალიან გაუჭირდება ბარიერის გადალახვაც კი.

აქედან გამომდინარე, კოალიციაში შემავალი პოლიტიკური ძალების ინტერესშია, რომ დარჩნენ კოალიციის შიგნით. დამოუკიდებლად პრაქტიკულად გამორიცხულია, რომ რომელიმე მათგანმა წარმატებას მიაღწიოს, – განაცხადა ზურაბ აბაშიძემ. (რეპორტიორი)

# რაში ამხელენ მოსამართლეები ნინო გვენეტაძეს და იკვეთება თუ არა ამაში მურუსიძის ინტერესები?



ნინო ლაზარტყავა

571 99-92-33

**რაში ამხელენ მოსამართლეები ნინო გვენეტაძეს და იკვეთება თუ არა ამაში მურუსიძის ინტერესები? რის იმედით იჩივლა მამუკა ახვლედიანმა სასამართლოში, როდესაც სათავეში ისევ ის ხალხია, ვინც პოსტიდან გაუშვა?**

**„ალიას“ „ადვოკატთა ასოციაციის“ პრეზიდენტი, ზაზა ხატიაშვილი ესაუბრა:**

– არცთუ შორეულ წარსულში კომკავშირის სხდომები რომ იმართებოდა კომუნისტური მმართველობის დროს, ადამიანს რომ გაათავისუფლებდნენ, შემდეგ შრომით კოლექტივს შეხვდებოდნენ და მიდიოდა ამ ადამიანის გაკიცხვა. ნინო გვენეტაძე-მურუსიძისამ და ლევან მურუსიძემ ეს წესი აღადგინეს, მამუკა ახვლედიანის პერსონის წინააღმდეგ გაერთიანდნენ და ჩაატარეს კომკავშირის კრების მაგვარი, რაც ძალიან სამარცხვინოა. ამან აჩვენა, რომ სასამართლოში არის კატასტროფული სიტუაცია.

**— მას შემდეგ, რაც ლევან მურუსიძემ თავისი გაინაღდა, მამუკა ახვლედიანი მოაშორებინა თანამდებობიდან, რადგან უკანონობებში ამხილა სასამართლოს ხელმძღვანელობა. გუშინ კი, მოსამართლეები ალაპარაკდნენ ნინო გვენეტაძემ შეურაცხყოფა მოგვაყენა, „ცუციკები“ დაგვიძახაო. რა ხდება, ლევან მურუსიძე ახლა უკვე გვენეტაძის ჩამოშორებას ხომ არ ცდილობს?**

– მურუსიძე ფაქტობრივად, მმართველია. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე მურუსიძემ მიქაუტაძის კანდიდატურა ისე დააყენა საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის პოსტზე, იუსტიციის საბჭოს წევრებმა ეს არ იცოდნენ, გვენეტაძემაც არ იცოდა თვითონ. კი, იყო კონსულტაციები, მაგრამ ორშაბათს რომ მურუსიძე მიქაუტაძის კანდიდატურას დააყენებდა, ეს არ იცოდნენ. ამიტომ მურუსიძეს გვენეტაძე არ სჭირდება, პირიქით, გვენეტაძეს სჭირდება მურუსიძეობა, რომ მასთან ერთად მოეშორებინა ახვლედიანი, რომელიც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის გადადგომას ითხოვდა. გვენეტაძემ ვერ გაუძლო შუშის სასახლის ბინადარის წნეხს, ყველამ ვიცით, რომ ივანიშვილმა მისცა მურუსიძეს გარანტიები. გვენეტაძე არ არის უტვინო ქალი, მიხვდა, რომ ხელისუფლებამ ის გაწირა, არ აღმოჩნდა ამისთვის მზად და რიგით მურუსიძედ იქცა. ეს არის მისი სამართლიანი სასამართლოს სამარცხვინო დასასრული.

**— საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეობის კანდიდატ გიორგი მიქაუტაძეს თქვენ ბრალს სდებთ სავარაუდო სისხლის სამართლის დანაშაულში. აცხადებთ, რომ სასამართლო გადაწყვეტილების დოკუმენტი შეცვალა. მოკლედ რომ მითხრათ, რა ხდება?**

– მიქაუტაძემ „ადვოკატთა ასოციაციასთან მიმართებაში“, ერთი გადაწყვეტილება გამოაცხადა და ორი კვირის შემდეგ მეორე ჩაგვაბარა, რაც არსებითად განსხვავდებოდა წინა გადაწყვეტილებისგან. ის იყო ადმინისტრაციული პალატის მოსამართლე, უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ პალატაში მოსამართლე იყო ასევე ლევან მურუსიძე. ჩემი შეფასებით, ეს ადამიანი განიხილება ლევან მურუსიძის კლანის სავარაუდო მონაწილედ და რატომ: როდესაც მან გამოიტანა გადაწყვეტილება და მე ეს გავაპროტესტე, სააპელაციომ და უზენაესმაც ძალაში დატოვა ეს ყველაფერი, რომ ამ ადამიანის პასუხისმგებლობის საკითხი არ დამდგარიყო. მე მოვითხოვე იუსტიციის საბჭოში დისციპლინარული პროცედურის დაწყება და დაახლოებით, რვა თვის წინ მივმართე პროკურატურას – დღემდე არც პროკურატურიდან მიმიღია პასუხი და არც დისციპლინარული პროცედურა არ დაწყებულა იუსტიციის უმაღლეს საბჭოში, რადგან ეს ყველაფერი არის მურუსიძის ხელში. წარმოგიდგენიათ, რა ხდება? ყველაფერი ამ კაცის ხელშია, რადგან ხელისუფლებამ დაინახა, რომ მურუსიძე კარგად ემსახურებოდა სააკაშვილის ხელისუფლებას და გადაწყვიტა, თვითონაც მოიმსახუროს.

**— რა სასჯელია ამ ტიპის სამართლებრივ გადაცდომასა თუ შეცდომაზე, რაც მიქაუტაძემ ჩაიდინა?**

– სიყალბე არის თანამდებობის, უფლებამოსილების გადამეტება, ან ბოროტად გამოყენება. თუ ჩაითვლება, რომ ეს არის დისციპლინარული დარღვევა, ეს ადამიანი უნდა განთავისუფლებულიყო და თუ ჩაითვლებოდა, რომ სისხლის სამართლის დანაშაული იყო, უნდა ჩამჯდარიყო ციხეში, მაგრამ არამც და არამც არ უნდა დაწინაურებულიყო.

**— გასაგებია. მამუკა ახვლედიანმა შეიტანა საქალაქო სასამართლოში სარჩელი, რომ გაირკვეს, რამდენად კანონიერი იყო მისი თანამდებობიდან განთავისუფლება. შეიტანა მეორე სარჩელიც და მოითხოვა, შეჩერდეს მისი შემცვლელის დანიშვნის პროცედურა, სანამ მის პირველ სარჩელზე გადაწყვეტილებას არ მიიღებენ. როგორ ფიქრობთ, მამუკა ახვლედიანს აქვს რაიმე შანსი, რომ საქმე მის სასარგებლოდ გადაწყდეს? სასამართლოს სათავეში ხომ ის ხალხია, ვინც ის თანამდებობიდან გაუშვა?**

– დაკავებული იქნება თუ არა მისი აწ უკვე ყოფილი თანამდებობა, როცა მამუკა სასამართლო პროცესს მოიგებს, იძულებულები გახდებიან, ის თანამდებობაზე აღადგინონ. რა ხდება, იცით? აქ მიდის ბრძოლა იმისთვის, რომ მოსამართლეები ერთმანეთთან გაერთიანდნენ იმის გამო, რომ მათ დაფარონ მათ მიერ ჩადენილი სავარაუდო დანაშაულები. ის სავარაუდო დანაშაულები, რომლის გამოც ადამიანები ციხეში ისხდნენ და შემდეგ პოლიტპატიმრის სტატუსით განთავისუფლდნენ. ამიტომ მათ სჭირდებათ ლევან მურუსიძე, რომელიც ავანგარდშია და რომელსაც ასევე სჭირდება ეს მოსამართლეები. ისინი გაერთიანებულები ღირებულებების გამო კი არ არიან, არამედ იმიტომ, რომ ერთი მოსამართლის დასჯასაც თუ დაუშვებენ, მერე ყველა მიჰყვება, ასე ფიქრობენ. აქედან გამომდინარე, საქართველოში ბიძინა ივანიშვილმა ჩვენ მოგვცა სასამართლო, რომელიც არის ისეთივე, როგორიც სააკაშვილის რეჟიმის დროს იყო და ივანიშვილმა ეს სასამართლო „გაათეთრა“. აი, ამიტომ არის ეს ადამიანი ჩემთვის უფრო მიუღებელი, ვიდრე სააკაშვილის რეჟიმი, რადგან ის მაინც ვიცოდით, რომ სააკაშვილის ხელისუფლება რეჟიმი იყო. რაც შეეხება იმას, რა შანსი აქვს ახვლედიანს, მე ვფიქრობ, ის სწორი გზით მიდის – მან საერთო სასამართლოები უნდა გაიაროს, რომ შემდეგ სტრასბურგის ადამიანთა უფლებების სასამართლოში შეიტანოს სარჩელი. ამას შეიძლება, მრავალი წელი დასჭირდეს, მაგრამ ახვლედიანი რომ გაიმარჯვებს, ეს ორჯერ ორი ოთხია. ვიცით ჩვენ ევროპის სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებები და დარწმუნებული ვარ, ახვლედიანი გაიმარჯვებს. მოვა დრო, როდესაც ადამიანები, ვინც ეს გადაწყვეტილება მიიღო, პასუხს აგებენ და ისეთივე მიუღებლები გახდებიან, როგორიც გახდნენ გოცირიძე, სოფრომაძე და თორდია. მაგალითად, ქუჩაში რომ გავდივარ, ადამიანები მაჩერებენ და მადლობას მიხდიან, რომ ეს სამი ადამიანი ვამხილე. ქართველი ხალხის პროტესტი სასამართლო სისტემასთან მიმართებაში ძალიან დიდია. „ქართულმა ოცნებამ“ უნდა გადაიხადოს ძალიან დიდი საფასური, რომ მან მურუსიძე დაგვასვა თავზე და ჩვენ ვიბრძოლებთ ამისთვის.

**— რას აპირებთ, თუკი მიქაუტაძეს მაინც დანიშნავენ საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარედ?**

– ჩვენ დღეს, 4 მარტს აქციას ვატარებთ არასამთავრობოებთან ერთად და ვაგრძელებთ ბრძოლას. ეს ბრძოლა შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს, მაგრამ ის ჩვენი გამარჯვებით დამთავრდება, რადგან უწესობას, უზნეობას მომავალი არ აქვს.

**„აქ მიდის ბრძოლა იმისთვის, რომ მოსამართლეები ერთმანეთთან გაერთიანდნენ იმის გამო, რომ მათ დაფარონ მათ მიერ ჩადენილი სავარაუდო დანაშაულები. ის სავარაუდო დანაშაულები, რომლის გამოც ადამიანები ციხეში ისხდნენ და შემდეგ პოლიტპატიმრის სტატუსით განთავისუფლდნენ. ამიტომ მათ სჭირდებათ ლევან მურუსიძე, რომელიც ავანგარდშია და რომელსაც ასევე სჭირდება ეს მოსამართლეები“**




## „მე ვიზიარებ თავდაცვის მინისტრის განცხადებას“ — გიგლა აგულაშვილი



საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრი „რესპუბლიკელი“ გიგლა აგულაშვილი პრემიერის მიერ გაკეთებულ განცხადებას გამოეხმაურა. როგორც მინისტრმა განაცხადა, ის ეთანხმება მოსაზრებას, რომ კოალიციის წევრებს შორის დაპირისპირების საკითხები კოალიციის შიგნით უნდა იქნას განხილული. ამასთანავე, აგულაშვილი საგარეჯოს არჩევნების საქმის გამოძიებასთან დაკავშირებით პროკურატურასთან თანამშრომლობის მზადყოფნას აცხადებს.

– სიამოვნებით ვითანამშრომლებ არა მარტო ამ საკითხზე, ნებისმიერ სხვა საკითხზეც. ის, რაც იყო რეალობა, რაც არის დადასტურებული დღემდე, მე ვვარაუდობ ალბათობის ძალიან მაღალი ხარისხი არსებობს, რომ ისევ დადასტურდება. რაც არ ყოფილა, ვგულისხმობ ბრალდებებს გაყალბებაზე და ასე შემდეგ, იმას ვერავინ ვერ შექმნის, – განაცხადა აგულაშვილმა.

აგულაშვილმა ქვეყანაში მომძლავრებულ პრორუსულ რბილ ძალაზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ ის ეთანხმება თინათინ ხიდაშელის განცხადებას, რომ გარკვეული ძალები ქვეყნის ევროატლანტიკურ ინტეგრაციასთან დაკავშირებით ნიჰილიზმის დათესვას ცდილობენ:

– წინასაარჩევნო სიტუაციაა, როდესაც გარკვეული ძალები ცდილობენ, ფეხი მოიკიდონ ქვეყნის მოსახლეობის გარკვეულ ნაწილში. ძალიან გააქტიურდა რბილი ძალა, მედიაში, სოციალურ ქსელში. ნიჰილიზმის დათესვა ევროატლანტიკურ ინტეგრაციასთან დაკავშირებით, ყველაფერი ცუდი რომ დასავლეთიდან მოდის თურმე და ყველაფერი კარგი ჩრდილოეთიდან და მზე რომ ჩრდილოეთიდან ამოდის. ასეთი მესიჯები ინტენსიურად ისმის, რაც მიმართულია საზოგადოების დეზორიენტაციაზე და ამ თვალსაზრისით მე ვიზიარებ თავდაცვის მინისტრის განცხადებას, – აღნიშნა აგულაშვილმა. (ნიუპოსტი)

## აფეთქების შედეგად, 7 წლის ბავშვი დაიღუპა

სიღნაღის რაიონის სოფელ ქვემო ბოდბეში აფეთქებას მსხვერპლი მოჰყვა. გარდაცვლილი ბავშვის მამა აცხადებს, რომ ტრაგედია ბუნებრივი აირის დაგროვებამ გამოიწვია.

იოსებ ქოქიაშვილი ყვება, რომ ქვაბიდან, რომელიც გაზქურაზე იდგა, გაზი ჩააქრო, რის შემდეგაც, ბავშვი გაზქურის ანთებას შეეცადა.

აფეთქება იმდენად ძლიერი იყო, რომ ბავშვი ადგილზე გარდაიცვალა.

შსს-ს ინფორმაციით, მომხდარზე სისხლის სამართლის 116-ე მუხლით არის აღძრული, რაც სიცოცხლის მოსპობას გაუფრთხილებლობით გულისხმობს. გარდაცვლილს ექსპერტიზა გურჯაანის რაიონის სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში ჩაუტარდა. (pia.ge)

## ბაბუშერას აეროპორტში თვითმფრინავის აფეთქებისას დაღუპული კიდევ 10 მებრძოლის ნეშტი იდენტიფიცირებულია



დევნილთა და განსახლების მინისტრი სოზარ სუბარი და მინისტრის მოადგილე გოგი ფაცაცია დაღუპული მეომრების ოჯახის წევრებს შეხვდნენ.

დევნილთა სამინისტროს ინფორმაციით, სამოქალაქო პანაშვიდი სამების საკათედრო ტაძარში 4-5 მარტს (4 მარტი – 18:00 საათი, 5 მარტი – 12:00 საათი) გაიმართება.

აფხაზეთიდან გადმოსვენებულ მებრძოლებს, დიღმის ძმათა სასაფლაოზე 5 მარტს, 15:00 საათზე (გამოსვენება სამების ტაძრიდან, 14:00 საათი) სამხედრო პატივით დაკრძალავენ. (pia.ge)

## მეგონა, რომ ნაცები ქოცებზე მეტად პროგრესულები იყვნენ — ნანუკა ჟორჟოლიანი



პარლამენტის მიერ მარიხუანის დეკრიმინალიზაციის კანონპროექტის ჩაგდების საკითხს ტელეწამყვანი ნანუკა ჟორჟოლიანი „ფეისბუკზე“ ეხმიანება:

– დავიწყებ იმით, რომ მე მარიხუანას არ ვეწევი. იმიტომ კი არა, რომ არ მომიწევია. უბრალოდ, არ მომწონს, მაგრამ მე მასე თევზსაც არ ვჭამ და ეგ არ ნიშნავს, რომ ცუდია.

ამხელა შესავალი რატომ გავაკეთე. ამ თემაზე სულ ვაქტიურობ და არა ჩემი თავისთვის. ანუ მარიხუანის დეკრიმინალიზაციით მე ხეირს ვერ მივიღებ (მარტივად რომ ვთქვა), მაგრამ ბალახის გამო ადამიანებს ციხეში რომ არ უნდა სვამდნენ და არ უნდა აჯარიმებდნენ, ზუსტად ვიცი!

კანონს ქოცების ხმები რომ დააკლდა, გასაგებია, მაგრამ ნაცებისგან გამიკვირდა. მეგონა, ისინიც ფიქრობდნენ არათავის თავზე.

კიდევ მეგონა, რომ არაპოპულისტური ნაბიჯების გადადგმის აღარ ეშინოდათ.

კიდევ მეგონა, რომ ქოცებზე მეტად პროგრესულები, ქოცურად რომ ვთქვა „პრადვინუტები“ იყვნენ.

მაგრამ მე რომ მეგონა, ერბო ქონია, ერბო ერბოა და ქონი ქონია, თურმე.

**P.S.** ახლა გავიგე, რომ გირჩის 4 წევრიდან 1 არ მისულა საერთოდ კენჭისყრაზე... რა უცნაური ქვეყანა ვართ, – წერს ნანუკა ჟორჟოლიანი. (ნიუპოსტი)

დიანა ლიპარტელიანი
571 80-40-80



**მონიტორინგის ცენტრი „მედიატორი“ მერიის მიერ გამოცხადებულ მორიგ საეჭვო ტენდერებზე ამახვილებს ყურადღებას.**

**რატომ ხარჯავს მერია ათასობით ლარს ისეთი მომსახურებისთვის, რაც კანონით ავალია**




# ნარმანია და მერია ისე გათავხედდნენ, უკვე 1 ცალ კალამში 1251 ლარს ხარჯავენ!

**და რაშიც ხელფასს იღებს?**

**„ალიას“ „მედიატორის“ წევრი, გივი კუბლაშვილი ესაუბრა:**

– ის, რომ დავით ნარმანია, მთელ თავის გუნდთან ერთად არაფრისმცოდნეს წარმოადგენს და ეს ადამიანები თანამდებობებზე სრულიად შემთხვევით არიან მოხვედრილები, ყველამ კარგად ვიცოდით, მაგრამ ბოლო დროს, ამის დამტკიცება თავადვე დაიწყეს. თბილისის მერიამ მიმდინარე წლის 3 თებერვალს გამოაცხადა ტენდერი, რომლის პირობებიც არის ასეთი – სავარაუდო ღირებულებების განსაზღვრის მომსახურებას ყიდულობს თბილისის მერია.

**— ეს რას ნიშნავს?**

– როდესაც თბილისის მერია აცხადებს ტენდერს, უნდა მიუთითოს, რა უღირს ამა თუ იმ მომსახურების შეძენა. ფასზე ჩამოსაყალიბებლად, მერიას ჰყავს თავისი სამსახური, საუბარია შესყიდვების სამსახურზე, სადაც მუშაობს ადამიანთა გარკვეული რაოდენობა, რომლებიც ბიუჯეტიდან იღებენ ხელფასს. ამის მიუხედავად, თბილისის მერმა და ქალაქის მმართველობამ, ეტყობა, ჩათვალა, რომ მათი საქმიანობა არ არის კომპეტენტური (რაზეც არამარტო ჩვენ გვისაუბრია ამ ხნის განმავლობაში) და გადაწყვიტეს, დაიხმარონ ორგანიზაცია, რომელიც განუსაზღვრავს სავარაუდო ღირებულებას. ამ მომსახურებისთვის, მერიამ გამოყო 60 ათასი ლარი, რომელი ტენდერიც შპს „ექაუნთინგ ენდ ბიზნეს კომპანიმ“ მოიგო 58 ათას ლარად. ეს არის კომპანია, რომლის პროფილიც გახლავთ აუდიტი, ბიზნესის შესწავლა და ა.შ.

მაშინ, როცა მერიის შესყიდვების სამსახურის ყველა თანამშრომელს ვუხდით ხელფასს, იმისთვის, რომ იმუშაონ ნორმალურად, მერია დამატებით ქირაობს კომპანიას, რომ მათ კონსულტაციები გაუწიოს, თუ როგორ უნდა აწარმოონ საქმიანობა. ხომ ხედავთ, რა აბსურდის თეატრამდე მივდივართ. თურმე, მერმა რომ იმუშაოს, ამისთვის მერსაც კონსულტანტი სჭირდება, რომ თავისი ფუნქციები აუხსნას. მაშინ რისთვის ვუხდით ამ ადამიანებს ხელფასს, როცა ვხედავთ, რომ ელემენტარული რამ არ იციან? შესყიდვების სამსახურმა ფასები როგორ ვერ უნდა დაადგინოს, აბა, რისთვის ვუხდით ხელფასს?!

**„მაშინ, როცა მერიის შესყიდვების სამსახურის ყველა თანამშრომელს ვუხდით ხელფასს, იმისთვის, რომ იმუშაონ ნორმალურად, მერია დამატებით ქირაობს კომპანიას, რომ მათ კონსულტაციები გაუწიოს, როგორ უნდა აწარმოონ საქმიანობა. ხომ ხედავთ, რა აბსურდის თეატრამდე მივდივართ. თურმე, მერმა რომ იმუშაოს, ამისთვის მერსაც კონსულტანტი სჭირდება, რომ თავისი ფუნქციები აუხსნას“**

**— ამ მომსახურების შესყიდვა მართლა უცოდინრობის გამო დასჭირდათ, თუ სხვა რამეშია საქმე?**

– ალბათ, ემახსოვრება თქვენს მკითხველს, გასულ ნომრებში რომ გესაუბრებოდით, როგორ მოიგო 100-ათასიანი ტენდერი თურქულმა კომპანიამ 39 ათას ლარად. ეს არის ჩვეულებრივი დანაშაული. რომ არ ყოფილიყო ეს კომპანია, გამოდის, 60 ათასი ლარი არაფერში უნდა გადაგვეყარა და ეს ტენდერი, ამის მიუხედავად, ჩაითვლებოდა ლეგიტიმურად. თვალშისაცემია უკვე მერიის კორუფციული ქმედებები. სწორედ ამის გამო გადაწყვიტეს, რომ აიყვანონ კომპანია, რომელიც მათ ფასთა დადგენაში გაუწევს კონსულტაციებს. სხვათა შორის, ეს ხდება მაშინ, როცა მერიის თანამშრომელთა გადამზადებისთვის დამატებით უამრავი თანხა იხარჯება. ცირკიც კი არაა უკვე ეს ყველაფერი.

არის ასეთი შპს – „თბილისის პარკები“, რომელიც დაარსებულია თბილისის მერიის მიერ. ამ კომპანიას ევალება სკვერების მოვლა, შეუძლია ამ სკვერებში კაფე-ბარების მოწყობა და ა.შ. ამის მიუხედავად, თბილისის მერიამ გადაწყვიტა, ამ შპს-სთვის დაევალებინა 368 ძირი ხის გადარგვა ერთი ადგილიდან მეორეზე. აბსოლუტურად გაუგებარია, ამ მომსახურების ამგვარი კომპანიისთვის დავალება, მაშინ, როცა თბილისის მერიას ჰყავს გამწვანების საქალაქო სამსახური, რომელიც ამ პროფილით მუშაობს. ამ 368 ძირი ხის გადარგვა, თბილისელებს უნდა დაუჯდეს 48 ათას 208 ლარი.

აღსანიშნავია, რომ თბილისის მერიამ ეს ხელშეკრულება გააფორმა ერთ პირთან მოლაპარაკების გზით და დაავალა ისეთ კომპანიას, რომელიც არაფერ შუაში არ არის ასეთ საქმიანობასთან. კაცმა არ იცის, როგორ შეასრულებს ამ დავალებას და გამოვა, რომ 48 ათას 208 ლარი ტყუილად უნდა „გავისროლოთ“.

სხვათა შორის, ამ შპს „თბილისის პარკების“ დირექტორად დანიშნულია დავით ნარმანიასთან დაახლოებული პირი, დავით ძაძამია, რომელიც ინფრასტრუქტურის სამინისტროში მუშაობდა ამჟამინდელ მერთან ერთად. ნარმანიამ გადმოიყვანა ეს ადამიანი მას მერე, რაც მერი გახდა. შესაბამისად, არსებობს გონივრული ეჭვი, რომ საქმე გვაქვს გარიგებასთან. ამ საკითხით რომ დაინტერესდნენ სამართალდამცავი უწყებები, ნამდვილად აღმოაჩენენ სერიოზულ დარღვევებს.

კიდევ ერთ შესყიდვაზე გვინდა გავამახვილოთ ყურადღება – საუბარია 1251-ლარიან ხელშეკრულებაზე, რომელიც თბილისის მერიამ გაუფორმა ინდმეწარმე, ვინმე გიორგი გიორგაძეს და ამ თანხად შეიძინეს 1 ცალი ავტოკალამი. როგორც მითითებულია, ეს კალამი შეიძინეს სასაჩუქრედ. მაინტერესებს, რა პასუხს გაგვცემს მერია, რამდენად გამართლებულია ამ ტიპის საჩუქრების კეთება, მაშინ, როცა ქალაქში ასეთი მძიმე სოციალური ფონია, მაშინ, როცა ადამიანი მაიაკოვსკის სკვერში სკამზე ათენებს ღამეს, რადგან თავშესაფარი არ აქვს. არავინ ყურადღებას არ აქცევს ამ ადამიანს, მიუხედავად იმისა, რომ მივმართე გამგეობასაც. არც საპატრულო პოლიციამ მიაკითხა, არც ჯანდაცვის სამინისტრომ, არავინ...

**— ხომ აუშენეს ასეთ ადამიანებს თავშესაფარი...**

– იმ თავშესაფარში ყველა ვერ მოხვდა.

**— როგორც ვიცით, იყვნენ ადამიანები, რომლებმაც უარი თქვეს იქ ცხოვრებაზე.**

– როგორ ფიქრობთ, ვინმეს ურჩევნია, ქუჩაში ათენებდეს და არა კეთილმოწყობილ გარემოში? ბევრი აკმაყოფილებდა იქ მოხვედრის კრიტერიუმს, მაგრამ ვერ მოხვდნენ, სამწუხაროდ.

**გივი კუბლაშვილთან საუბრის შემდეგ თბილისის მერიის პრესსამსახურთან დაკავშირება ვცადეთ, კონკრეტულ კითხვებზე გვინდოდა პასუხების მიღება, თუმცა არც ჩვენს სატელეფონო ზარს უპასუხეს და არც სმს შეტყობინებას. და ეს უკვე მერამდენედ... დროა, პროკურატურა არა მხოლოდ ნარმანიას საეჭვო ტენდერებით და ხარჯებით დაინტერესდეს, არამედ იმითაც, რაში უხდის ასეთ პრესცენტრს ხელფასებს.**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი...

## მეორადი ავტონაწილების ბაზრობის მოვაჭრეები ქირის საფასურის დაწევას ითხოვენ



ისნის დასახლებაში, მეორადი ავტონაწილების ბაზრობის მოვაჭრეები ჯიხურების ქირის საფასურის დაწევას ითხოვენ. მეორადი ავტონაწილების ბაზრობის მოვაჭრეებს ობიექტი დალუქული დახვდათ.

როგორც ერთ-ერთი მოვაჭრე აცხადებს, ჯიხურების კარების დალუქვა ღამით მოხდა.

– ჩვენ ღამით გავუწიეთ წინააღმდეგობა, რომ არ დაედულებინათ კარები. შემოდიან პოლიციის ძალით. მუშაობის გაგრძელება კი გვინდა, მაგრამ თუ არ დაგვიწევენ ტარიფს, სხვაგან წავალთ და იქ ვიმუშავებთ, – აცხადებს ერთ-ერთი მოვაჭრე.

– მიწა არის ჩვენი, ჯიხურები – ამათი. მთავრობის შეცვლის შემდეგ გადასახადი გაგვიხადეს 250 დოლარი. ეს ლარი გაიქცა, არ გვაქვს იმის საშუალება, რომ 250 დოლარი გადავიხადოთ. ვითხოვთ, რომ დაგვიბრუნონ ძველი ტარიფი, – აცხადებს მოვაჭრე.

აქციაზე კომპანიის წარმომადგენელიც მივიდა, რომლისთვისაც აქციის მონაწილეების მოთხოვნა მიუღებელია. კომპანია ქირის გადასახადის გადახედვას არ აპირებს. (ინტერპრესნიუსი)

## დავით ზურაბიშვილი: ლევან ვასაძე ლიბერალიზმს ფეხებსაც ვერ მოსჭამს



– ჩვენმა ხალხმა კომუნიზმი და ფაშიზმი დაამარცხა და ლიბერალიზმსაც დაამარცხებს, – ლევან ვასაძის მიერ განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის სხდომაზე ნათქვამ ამ ფრაზას „რესპუბლიკელი“ დავით ზურაბიშვილი სოციალურ ქსელში გამოეხმაურა.

განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის სხდომაზე საგან „მე და საზოგადოების“ განხილვა მიმდინარეობდა, რომლის დროსაც ახალი დისციპლინის მოწინააღმდეგეებში სიტყვა „გენდერის“ ხსენებამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია და მათმა ნაწილმა განაცხადა, რომ „გენდერი“ და „მამათმავლობა“ ერთსა და იმავეს ნიშნავს.

– ადამიანს, რომელიც ლიბერალიზმის დამარცხებას აპირებს და ისეთი სიტყვები, როგორიცაა „ტოლერანტობა“, „შემწყნარებლობა“ და „გენდერი“ ესმის, როგორც „გაპიდარასტება“, იმის ახსნა კი არ უნდა დაუწყო, რომ ეს ასე არ არის, არამედ ძალიან დამაჯერებლად უნდა განუმარტო, რომ არც ტოლერანტობა ასცდება, არც შემწყნარებლობა, არც გენდერი და ლიბერალიზმს კიდევ ფეხებსაც ვერ მოსჭამს, – წერს დავით ზურაბიშვილი. (sazogadoeba.ge)

## „თუ აღმოჩნდება, რომ საჭირო აღარ ვარ, საქმიანობას პროფესიით განვაგრძობ“



პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე მანანა კობახიძის განცხადებით, კონკრეტულ შემთხვევაში თუ ის საჭირო აღარ იქნება, საქმიანობას საკუთარი პროფესიით გააგრძელებს.

„20/30“-ის პირდაპირ ეთერში მანანა კობახიძემ აღნიშნა, რომ პარლამენტში ყოფნა, მისთვის იდეაფიქსი არ არის.

– კონკრეტულ დროს, როცა გუნდში საჭირო გავხდი, სხვებთან ერთად, რისკის ფასად საერთო საქმეში მცირედი წვლილი შევიტანე. თუ ისევ საჭირო აღმოვჩნდები, საქმის საკეთებლად მთელ ჩემს რესურსს ისევ გამოვიყენებ. ხოლო თუ აღმოჩნდება, რომ კონკრეტულ შემთხვევაში საჭირო აღარ ვარ, საქმიანობას პროფესიით განვაგრძობ. ამ მხრივ, პრობლემას ვერ ვხედავ, რადგან ჩემთვის პარლამენტში ყოფნა იდეაფიქსი არ არის, – განაცხადა მანანა კობახიძემ. (pia.ge)

## სანდრა რულოვსი ნიუ-იორკში — „მე თქვენ მიყვარხართ“



საქართველოს ყოფილი პირველი ლედი, სანდრა რულოვსი სოციალურ ქსელში აქვეყნებს ორ ფოტოს, რომლებიც მას ამერიკაში მცხოვრებმა ფოტოგრაფმა, საშა პრიშვინმა გადაუღო. საშა საქართველოდან ამერიკაში მცირე ხნის წინ გაემგზავრა საცხოვრებლად და იქ მყოფ ცნობილ ქართველებს ფოტოებს ხშირად უღებს.

ამჯერად მან მიხეილ სააკაშვილის მეუღლეს გადაუღო. ფოტოებზე სანდრა შესანიშნავად გამოიყურება. ფოტოები ნიუ-იორკშია გადაღებული.

სანდრას სოციალური ქსელის მომხმარებლები შემდეგ კომენტარებს უწერენ:

„სანდრა, ძალიან ლამაზი ხარ“, „სიმპათია, ულამაზესი და უკეთილშობილესი“, „იდეალ ლედი“, „დედოფალი“, „ფერია“, „რა კარგი ხარ, სანდრა“, „მე თქვენ მიყვარხართ“.

***fortuna.ge***

## დეა ადამიას პასუხი კრიტიკოსებს — „აგრესიის გარეშე ყველაფერი გამოგივა, ერო“



დეა, მედეა ადამიას ვიდეოებმა, რომლებიც დუბაიში აქვს გადაღებული, სრულიად სოციალური ქსელი მოიცვა და ის დაცინვის ობიექტი გახდა. დეას საზოგადოების გარკვეული ნაწილი ტელეპროექტ „ჯეობარიდან“ იცნობს, პრესა გარკვეულ პერიოდში ინტერესდებოდა მისი ცხოვრებით, შემდეგ კი გაუჩინარდა. როგორც ჩანს, დუბაიში ცხოვრობს და მუშაობს.

მისი ვიდეოების გავრცელებისა და ინტერნეტში შარჟების გამოჩენის შემდეგ დეამ გადაწყვიტა, სოციალური ქსელის მეშვეობით კრიტიკოსებისთვის პასუხი გაეცა და დაწერა:

„აგრესიის გარეშე ყველაფერი გამოგივა, ერო. ჯერ გაკეთილშობილდით და მერე ისაუბრეთ თბილისის სიყვარულზე. მე სრულიად საქართველო მიყვარს და არა მხოლოდ თბილისი. არ შემიძლია, არ აღვნიშნო, როგორ გამიხარდა თქვენში ქართული გენის გაღვიძება, მაგრამ არა აგრესიით,...აგრესიას ვერ უძლებს თბილისი და მთლად ნუ დაანგრევთ ჩვენს ქალაქს. საქართველოს კი საუკუნეების განმავლობაში გაუძლია თქვენზე მეტად აგრესიული მტრებისთვის და გაძლებს ისევ როგორმე. თქვენ ლაყბობით და ყბედობით აშენებთ ქალაქს, მე კი საქმით და სამშობლოს სიყვარულით ვაპირებ აშენებას“.

***fortuna.ge***




— ექიმო, მაკოცეთ.

— არ შემიძლია. ჩვენ, ექიმებს სამედიცინო ეთიკა გვაქვს, რომელიც პაციენტების კოცნას გვიკრძალავს. ისე, თქვენთან დაწოლაც არ იყო სწორი...

***

— გამარჯობა, უფასო ექიმო!

— გაგიმარჯოს, უიმედო პაციენტო!

***

**არა უშავს ანეკდოტებია, არა? მაგრამ მოგონილი ანეკდოტები სად მივა იმ ამბებთან, რაც ექიმებს რეალურად თავს გადახდენიათ. შეუძლებელია ერთი ნომრით ექიმების კურიოზების ამოწურვა, ამიტომ ამ ნომერში ისევ დავუბრუნდით და ამჯერად სასწრაფო დახმარების ექიმის, სოსო აბდუშელიშვილის კურიოზებს გთავაზობთ.**



### პაციენტის გამოგონილი წამალი

მისამართზე მივედი და მაფრთხილებენ, რომ თქვენამდე, 2 საათის წინ ექიმები ნამყოფები არიანო.

– აბა, რატომ გამომიძახეთ-მეთქი.

– იცით, იმ ექიმმა პარაციტრამონი გამოგვიწერა და ვერსად ვერ ვიშოვეთო.

ანუ წამალი, რომელიც ბუნებაში არ არსებობს.

### ვის რად უნდა კუჭამორეცხილი ბავშვი

პაციენტი იაშვილში გადავიყვანეთ და ვხედავთ ერთი ჩოჩქოლია ატეხილი. ექიმსა და პაციენტის მშობლებს შორის რაღაც გაუგებრობაა. მიდის ერთი გაწევ-გამოწევა. თურმე ბავშვს რაღაც პრეპარატები დაულევია და ექიმი მშობლებს ეუბნება, კუჭი უნდა ამოვურეცხოთო.

პაციენტის მამა სვანია და ცოცხალი თავით კუჭის ამორეცხვას არ თანხმდება:

– კუჭი როგორ უნდა ამოურეცხოთ, რას ამბობთ, შანსი არ არის, – მკაცრად გაიძახოდა.

ბოლოს ნათესავებმა როგორღაც დაითანხმეს. გაბრაზებულმა მამამ კი შესძახა:

– კარგით, ამოურეცხეთ და გყავდეთ ეგ კუჭამორეცხილი ბავშვი!..



### რა ვიცი, როდის დამჭირდებით

დაახლოებით 40 წლამდე ქალმა გამოგვიძახა. რომ მივედით, აშკარად გაუხარდა.

– რა გაწუხებთ? – ვეკითხები.

– იცით, რა, მარტო ვცხოვრობ, მეშინდა ცუდად არ გავხდე და მაგიტომ გამოგიძახეთო...

### თუ სასწრაფო დახმარებაა, ყველაფერში დამეხმაროს

ასაკოვანმა ქალმა დაგვირეკა იმ მიზეზით, რომ წნევის აპარატი არ ჰქონდა და გასინჯვა უნდოდა.

რა თქმა უნდა, გავუზომეთ წნევა, გამოვდივართ და:

– იცით, გვერდით ოთახში შუქი არ მაქვს, ნათურას ვერ ვცვლი და იქნებ დამეხმაროთ.

უარი რა თქმა უნდა, ვერ ვუთხარით, არასამედიცინო დახმარება გავუწიეთ და წამოვედით.

### სიზმარი ხომ არ მომკლავს?

გამთენიისას, 5 საათზე ქალმა ძაღლის ნაკბენის მიზეზით გამოგვიძახა. კი გაგვიკვირდა, ამ უდროო დროს ძაღლი სად ნახაო. მივედით და ეს ქალი მძინარე დაგვხვდა...

ქმარმა გააღვიძა, ფაცაფუცით წამოხტა:

– სიზმარში ვნახე, ვითომ ვკვდებოდი. 2 თვის წინ ძაღლმა მიკბინა და ხომ არაფერი მომივა?

### ყველი — მადლიერების ნიშანი

ერთხელ მადლიერების ნიშნად პაციენტი ყველს გვატანდა:

– მოიცათ, მოშიებული იქნებით, კარგი ყველი მაქვს და ორ ნაჭერს გაგატანთო...

### ჩემი ბავშვის ტემპერატურაზე მე უნდა ვიზრუნო?

მისამართიდან გამოვდივართ და კიბეზე ასე 40 წლის კაცი გვხვდება. გაბრაზებული გვეუბნება:

– რამდენი ხანია გელოდებით. რომ არ მოხვედით, ჩავედი და სიცხის დამწევი წამალი ბავშვს თვითონ ვუყიდე. მე უნდა ვყიდულობდე წამალს?

– როგორ გეკადრებათ, ბატონო, გვითხარით და მოგართმევთ.



## ნინა სუბლატი სექსუალურ ბოდეში — „ცოტა ძუძუ ხომ გქონდა ადრე?“



ნინა სუბლატი სოციალურ ქსელში აქვეყნებს ფოტოს, რომელიც გულგრილს ნამდვილად არ დაგტოვებთ. ის სექსუალურ შავ ბოდეშია გადაღებული. რასაკვირველია, ამ ფოტომ დიდი გამოხმაურება გამოიწვია მის „ფეისბუკის“ მეგობრებს შორის:

„ვაუუ, რა გოგო ხარ“, „ცოტა ძუძუ ხომ გქონდა ადრე?“ – ეკითხებიან მომღერალს, რაზეც ის პასუხობს – „არა“.

***musicbox.ge***

## „ეს რა ხამობაა?... სად გზრდიან?“ — მაიკო კაჭკაჭიშვილი სტანისლავ ბონდარენკოს ქართველ ფანებს აკრიტიკებს

კომპოზიტორი და მომღერალი, მაიკო კაჭკაჭიშვილი ქართველი გოგონების ქცევით აღშფოთებულია. თემა კვლავ სტანისლავ ბონდარენკო და მისი ქართველი თაყვანისმცემლები არიან.

„ეხლა სტანისლავის გვერდზე შევედი და აი, გავგიჟდი, როგორ ეხვეწებიან ეს ქართველი გოგოები დამატებას და რეებს უწერენ, ღმერთოოო!! ესე როგორ შეიძლება თავის მიწასთან გასწორება, ეს რა ხამობაა? სად გზრდიან? ვინ გასწავლით? ესეთი მათხოვრობა როგორ შეიძლება? მოკლედ, უთავმოყვარეო ადამიანი, მარტო საცოდავი კი არ არის, არამედ ძალიან საშიშიცაა, ყველაფერზე წავლენ, დარწმუნებული ვარ!“ – წერს მაიკო კაჭკაჭიშვილი „ფეისბუკის“ პირად გვერდზე.

***newposts.ge***

## ბერა ივანიშვილმა ახალ კლიპში თავისი პატარა ძმა გადაიღო

ბერა ივანიშვილი ახალ კლიპს აანონსებს. ოფიციალურ გვერდზე მან ვიდეორგოლიდან ამონარიდი გამოაქვეყნა და თაყვანისმცემლებს შეატყობინა, რომ კლიპის ხილვის შესაძლებლობა მალე ექნებათ.

მის ახალ ვიდეორგოლში მისი პატარა ძმა, ცოტნე მონაწილეობს. მცირე ხნის წინ „ფეისბუკზე“ ბერამ მასთან ერთად გადაღებული ფოტოც გამოაქვეყნა.

ბერა ბოლო დროს საკმაოდ აქტიურია. ახლახან თაყვანისმცემლებს სიმღერა „ერთი წამი“ წარუდგინა, რომელიც **GDS**-ზე რამდენიმე შოუში შეასრულა, ახლა კი კიდევ ერთ სიმღერასა და კლიპს აანონსებს.

როგორც სოციალურ ქსელში აქტიურობიდან ჩანს, ვიდეორგოლს მისი თაყვანისმცემლები დიდი ენთუზიაზმით ელოდებიან.

***musicbox.ge***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## ქალი, რომელმაც მსოფლიოში დედის დღე დააწესა, უშვილო გარდაიცვალა



დედის დღე პირველად ამერიკაში, მე-20 საუკუნის დასაწყისში, მშვიდობის აქტივისტის, ანა ჯარვისის ძალისხმევით დაწესდა. მან კამპანია 1905 წლის 10 მაისიდან, საკუთარი დედის გარდაცვალების დღიდან დაიწყო და 1908 წელს მიაღწია იმას, რომ დედის დღე ოფიციალურ დღესასწაულად იქნა აღიარებული. შემდგომში ანა ჯარვისი ამ დღის კომერციალიზაციის წინააღმდეგ გამოდიოდა, რადგან მრავალმა კომპანიამ მისალოცი ბარათების, ყვავილებისა და სხვა საჩუქრების რეალიზაციით სერიოზული მოგება ნახა.

ანა ჯარვისი სასტიკად ბრაზობდა. ამბობდა, რომ დედის დღე უნდა ყოფილიყო ომში დაღუპული ჯარისკაცების დედების პატივის მისაგები და არა საჩუქრების ყიდვის დღე. მას უნდოდა, რომ ამ დღეს დედებს შვილებისგან ხელით ნაკეთი საჩუქრები და ხელნაწერი მისალოცი ბარათები მიეღოთ:„ნაბეჭდი მისალოცი ბარათები იმის ნიშანია, რომ გეზარებათ, მიწეროთ ქალს, რომელმაც ყველაზე დიდი რამ გაჩუქათ, ვიდრე მსოფლიოში სხვა ვინმემ. კანფეტები! ყიდულობთ მისთვის და მერე მთელ კოლოფს თავად მიირთმევთ!“ – ანა ჯარვისი.

„დღე, რომლისთვისაც ამდენი ვიბრძოლე, კომპანიებმა საკუთარი მოგების წყაროდ გადააქციეს“ – ამბობდა ანა და აქციებით მოუწოდებდა, ბოიკოტი გამოეცხადებინათ სხვადასხვა კომპანიებისთვის. 1923 წელს ის მშვიდობის დარღვევისთვის დაპატიმრებულიც კი იყო. ანა ჯარვისი 87 წლის ასაკში მარტოხელა და უშვილო გარდაიცვალა.

ჯარვისის დღესასწაული მალე სხვა ქვეყნებმაც დააწესეს და ახლა ის მთელ მსოფლიოში აღინიშნება.

საქართველოში ამ დღის ინიციატორი საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია იყო.

პირველი პრეზიდენტის გადაწყვეტილება 1991 წელს საქართველოს უზენაესმა საბჭომ დაამტკიცა. 3 მარტი უქმე დღეა.

*postalioni.com*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## ანტიმონოპოლიურმა სამსახურმა „ფეისბუკის“ წინააღმდეგ საქმე აღძრა




მომხმარებელთა პერსონალური მონაცემების ბოროტად გამოყენების ბრალდებით, გერმანიის ფედერალურმა ანტიმონოპოლიურმა სამსახურმა „ფეისბუკის“ წინააღმდეგ საქმის წარმოება დაიწყო.

როგორც ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია აღნიშნული, სოციალური ქსელი მომხმარებელთა პერსონალურ მონაცემებს კონკურენტების მონაცემების მოპოვებისთვის იყენებს.

უწყების მაღალჩინოსანთა მოსაზრებით, ის პირობები, რომელსაც „ფეისბუკი“ საკუთარ მომხმარებლებს სთავაზობს უკანონოა.

„რადგან „ფეისბუკი“ სხვა სოციალურ ქსელებთან დომინირებს, ასეთი მიდგომა ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის რეგულაციებში მოხვდება. დომინანტ კომპანიებს გარკვეული მოვალეობები აქვთ და გარკვეულ წესებს უნდა დაექვემდებარონ“, – აღნიშნულია უწყების მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

გამოძიება აშშ-ში „ფეისბუკის“ ჯგუფის, ასევე მისი შვილობილი ირლანდიური კომპანიისა და გერმანიაში, სოცქსელის ჰამბურგის ოფისის წინააღმდეგ ჩატარდება.

*pia.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## დიდ ბრიტანეთში ბენედიქტ კამბერბეტჩის სახიანი შოკოლადის ფიგურები შექმნეს



ვის არ უყვარს შერლოკის როლის შემსრულებელი ბენედიქტ კამბერბეტჩი, ჩასაყლაპია პირდაპირ. ჰოდა, ჯენ ლინდსენ-კლარკიც ადგა და შოკოლადის კურდღლის სერია გამოუშვა, რომელსაც ბენედიქტის სახე აქვს. ახლა ყველას შეეძლება თავისი წილი ბენედიქტი ჰყავდეს და დააგემოვნოს.

თითოეული ფიგურა 400 გრამს იწონის და 70 დოლარი ღირს.

37 წლის ბრიტანელმა კონდიტერმა შოკოლადის ფიგურებს კამბერბანი დაარქვა. მსურველებს არჩევანის საშუალება აქვთ და შეუძლიათ თეთრი შოკოლადის, შავი შოკოლადისა და რძიანი კამბერბანი დააგემოვნონ.

„ვის იტყვის ბენედიქტზე უარს. ვაპირებ, რომ ერთი ცალი მსახიობის დედას გავუგზავნო, მაგრამ მას არა. უცნაური იქნება, საკუთარი სახის ჭამა რომ დაიწყოს“, – აღნიშნა ლინდსენ-კლარკსმა.

*lenta.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## 23 წლის სტილისტმა შეყვარებული „ფეისბუკის“ გამო მოკლა



ეჭვიანმა სტილისტმა, 23 წლის ტერი-მარი პალმერმა შეყვარებული, 24 წლის დეიმონ სირსონი ჩხუბისას სამზარეულოს დანით მოკლა.

ჩხუბის მიზეზი დეიმონის „ფეისბუკზე“ დამოკიდებულება აღმოჩნდა. გოგონა უკმაყოფილო იყო, რადგან მისი შეყვარებული სოციალურ ქსელში ძალიან დიდ დროს ატარებდა.

პალმერმა სირსონს დანა მაშინ ჩაარტყა, როდესაც ის ტელეფონით „ფეისბუკის“ სიახლეებს ამოწმებდა. სასწრაფო დახმარება თავად პალმერმა გამოიძახა. თუმცა მამაკაცის გადარჩენა ვერ მოხერხდა.

თავდაპირველად პალმერმა პოლიციას უთხრა, რომ დეიმონმა დანა შემთხვევით თავად ჩაირტყა. მოგვიანებით კი დანაშაული აღიარა, თუმცა განაცხადა, რომ შეყვარებულის მოკვლა არ უნდოდა.

*newposts.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## მეცნიერები შიმპანზეების რელიგიაზე ალაპარაკდნენ



გერმანიის ევოლუციური ანთროპოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერები აცხადებენ, რომ შიმპანზეები საკუთარ რელიგიას ქმნიან. გარდა ამისა, პრიმატებს ადამიანური ევოლუციაც აღენიშნებათ.

მედიის ცნობით, დაკვირვების შედეგად აღმოჩნდა, რომ მაიმუნები ხეების ფუღუროებში ქვებს აგროვებენ და უცნაურ კონსტრუქციებს აგებენ, რომელსაც საკვების მოპოვებასთან საერთო არაფერი აქვს.

მეცნიერების აზრით, ქვის პირამიდებს საკულტო მნიშვნელობა აქვს და გარკვეულწილად, დაკრძალვის რიტუალს ჰგავს, რომელიც უწინ ადამიანებს ახასიათებდათ.

სპეციალური კამერების დახმარებით, მეცნიერებმა მაიმუნების ქცევის დაფიქსირება შეძლეს, თუ როგორ ყვიროდნენ და აწყობდნენ ისინი ქვებს ფუღუროებში.

გარდა ამისა, მეცნიერები მიიჩნევენ, რომ მსგავსი რიტუალები შეიძლება გახდეს იმის მტკიცებულება, როგორ ხდება შიმპანზეების ევოლუცია.

*info9.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## ჩინეთში პრობლემებზე უცნაური რეკლამით საუბრობენ




ცნობილია, რომ რეკლამა, რომელიც ხუმრობაზეა აგებული და მნახველს აცინებს, უკეთ მოქმედებს, მეხსიერებაშიც დიდხანს რჩება და უფრო შედეგიანიცაა.

სწორედ ამ ფაქტორების გათვალისწინებით, ჩინურმა კომპანიამ რეკლამა გადაიღო, სადაც ჩანს, როგორ ეზრდებათ ადამიანებს და ცხოველებს ცხვირში თმა. კომპანიის თქმით, უახლოეს მომავალში თმის ასეთი ტემპით ზრდა გარდაუვალი იქნება, რათა დაბინძურებული ჰაერის პირობებში გადარჩენა შევძლოთ.

„ჩვენ გვინდოდა, რომ პრობლემის საჩვენებლად რამე სასაცილო ხერხი მოგვეძებნა“, – აღნიშნა კომპანიის წარმომადგენელმა.




რეკლამის მთავარი მესიჯი კი ასეთი იყო – „შეცვალე დაბინძურებული ჰაერის დონე, სანამ ჰაერს არ შეუცვლიხარ“.

დაბინძურებული ჰაერი ჩინეთისთვის სერიოზული პრობლემაა. უახლესი მონაცემებით ამ მიზეზით ჩინეთში ყოველდღიურად 4 ათასზე მეტი ადამიანი კვდება.

*lenta.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## რატომ არ უტოვებს ელტონ ჯონი შვილებს მთელ ქონებას




მსოფლიო ვარსკვლავმა, მუსიკოსმა ელტონ ჯონმა განაცხადა, რომ ვაჟებს მთელ ქონებას არ დაუტოვებს. ელტონ ჯონის ქონება 200 მილიონია.

ის პარტნიორთან, დევიდ ფერნიშთან ერთად, ორ ბიჭს – ზაკარის და ელაიჯას ზრდის. მათთვის კი ქონების ნაწილის დატოვებას აპირებს.

„საშინელებაა სიმდიდრის მიცემა ბავშვებისათვის. ეს მათ ცხოვრებას დაუნგრევს“, – განაცხადა ელტონ ჯონმა.

ის და მისი პარტნიორი ამჟამად ანდერძს ადგენენ. მათი თქმით, შვილებს საბაზისო ქონებას დაუტოვებენ, დანარჩენი კი თავად უნდა გამოიმუშაონ.

*info9.ge*

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. დედამიწის მოდელი
2. ხალხური საშუალებებით მკურნალი
3. პოეტების საკრებულო მთა
4. ყაიმი
5. გულმკერდის ძვალი
6. მომღერალი ... დომინგო
7. თაღი
8. რეჟისორი ... უელსი
9. ნიშნავს ჩირქოვანს
10. შვედური ავტომობილი
11. მეფე არტურის პირველი რაინდი
12. ... მაკედონელი
13. გეოლოგიური პერიოდი
14. დედამიწის ნულოვანი სარტყელი
15. მსახიობი ... დურბინი
16. ჭრილი ბანიანი სახლის ჭერში
17. უმაღლესი არისტოკრატიული საზოგად.
18. ფრანგი წინასწარმეტყველი
19. გასაღება, გაყიდვა
20. მსახიობი ნანკა ...
21. ირანის ძველი სახელწოდება
22. მისალმება მუხლის მოხრით
23. მაგიდის სერვირების ატრიბუტი
24. სპილბერგის უცხოპლანეტელი
25. მომღერალი დაიანა ...
26. შტატი აშშ-ში
27. დილის მგალობელი ფრინველი
28. ჭრილობა
29. ვაზის გასასხლავი მაკრატელი
30. „101 დალმატინელი“ პერსონაჟი
31. გვარის უფროსი აღმ. ქვეყნებში
32. ცხოველების პარკი
33. უნივერსიტეტი „...-მატერი“
34. მითიური ცხენკაცი
35. პირველი რიცხვი სამი ნულით
36. დრამატურგი ... კაკაბაძე
37. ცხიმოვანი სიმსივნე
38. „დათა თუთაშხია“ მუშნი ...
39. მომღერალი ... ლავინი
40. მსახიობი ... მაგუაიერი
41. მდინარე ჩინეთში
42. ხორცის კერძი
43. ბულგაკოვი. „... და მარგარიტა“
44. დაესმის არსებით სახელს
45. ფრანგი მხატვარი
46. დეტექტივი ... პუარო
47. ხუთკაპიკიანი ძველად
48. ექვსფრთიანი ანგელოზი
49. მსახიობი ... მარტინი
50. ციხესიმაგრე თბილის-ში
51. მომღერალი ... მელაძე
52. შოკოლადი არაქისით
53. მარჩიელი
54. ძაღლის ჯიში ...-პინჩერი
55. კათოლიკე მღვდელი
56. პარლამენტის თავმჯდომარე
57. ქალაქი უზბეკეთში
58. მსახიობი ... ლუნდგრენი
59. თბილისის უბანი
60. ხმლის ტარი
61. გრამატიკის ნაწილი, სწავლობს ბგერებს
62. პოეტი ... მრევლიშვილი
63. მიმართვა ქალისადმი ესპან. ქვეყნებში
64. უკრაინელი ანარქისტი
65. კიბორჩხალა ომარი, იგივე ...
66. მდინარის თევზი
67. ბუდისტი მღვდელი
68. მეჭეჭების მოსაწვავი სითხე
69. თათქარიძეების მოსამსახურე გოგო
70. ჩოგბურთელი მარტინა ...
71. სატელეფონო სიტყვა
72. რეჟისორი ლევან ...
73. დედამიწის ქერქი, ანუ ...
74. რამაზ გიორგობიანი ფილმში
75. სამკურნალო ტალახი გურჯაანში
76. „... ვხედავ მზეს“
77. გამოუწვავი აგური
78. შინაური ცხოველი
79. ერთგვარი სახატავი ფანქარი
80. კისრის წინა მხარე
81. ცხენების სადგომი
82. ებრაელთა წმინდა წიგნი
83. ბოსტნეული
84. სამშენებლო მასალა
85. მხარე საქართველოში
86. კერამიკის ნატეხი მოზაიკისათვის
87. მსახიობი ... კემპბელი
88. მსახიობი ... არკმანე
89. ნაგებობა გალავნის კუთხეებში
90. ორგანიზმის კუნთების ერთობლიობა
91. მსახიობი ... ასანტე
92. შტატი აშშ-ში
93. მწერალი ტომას ... რიდი
94. აეროპორტი პარიზში
95. ლაშქარი
96. მწერალი ... დუმბაძე
97. ბრმანაწლავის ანთება
98. ზღვის ფოროვანი ორგა-ნიზმი
99. ლითონის ჩაფხუტი
100. ალკოჰოლური სასმელი
101. სახელმწიფო აფრიკაში
102. გამოცდა კითხვარებით
103. მათემატიკური უცნობი
104. ევროპელ ებრაელთა ენა
105. უკრაინის პარლამენტი
106. პურეულით დათესილი ადგილი
107. მსახ. ... გოძიაშვილი
108. მწერალი ... დე ბალზაკი
109. ჯუზეპე ვერდის ოპერა
110. საქონლის ხორცის ნაჭერი
111. იმრე კალმანის შემოქმედ. ჟანრი
112. მდინარე ქუთაისში
113. რუსული ხის თოჯინები
114. სრუტე მარმარილოს ზღვაზე
115. ლაიზა მინელი ფილმში
116. ცხენირემი
117. გოია. „შიშველი ...“
118. „შენ ... ვენახი“
119. მხ/ფ „... ბროკოვიჩი“
120. ამერიკელების მეტსახელი
121. მდინარე გერმანიაში
122. რესპუბლიკა რუსეთის ფედერაციაში
123. მსახ. ... ბეგალიშვილი
124. ღორის ნაშიერი
125. ტენორი ბენიამინო ...
126. ქალაქი ბელგიაში
127. მათემატიკოსი ანდრია ...
128. შინაგანი „მე“
129. ინგლისური ლუდი
130. ალბანეთის დედაქალაქი
131. ციფრი
132. გიგანტური ხე აფრიკაში
133. იტალიელი ფერმწერი
134. მხ/ფ „..., მომავალში“
135. ჟან-კლოდ ... დამი
136. ქართ. ანბანის ბოლო ასო
137. იგავური თხრობის სტილი
138. საზეიმო წვეულება
139. კონსტანტინე გამსახურდიას მოთხრობა
140. სრული გამარჯვება ძიუდოში
141. ფრანგი მწერალი
142. იანის საპირისპირო

პასუხები: 1. გლობუსი; 2. ექიმბაში; 3. პარნასი; 4. ფრე; 5. ნეკნი; 6. პლასიდო; 7. არკა; 8. ორსონ; 9. პიო; 10. „ვოლვო“; 11. ლანსელოტი; 12. ალექსანდრე; 13. იურა; 14. ეკვატორი; 15. დინა; 16. ერდო; 17. ბომონდი; 18. ნოსტრადამუსი; 19. დისტრიბუტორი; 20. კალატოზიშვილი; 21. სპარსეთი; 22. რევერანსი; 23. დანა; 24. ითი; 25. როსი; 26. ილინოისი; 27. ტოროლა; 28. იარა; 29. სეკატორი; 30. კრუელა; 31. შეიხი; 32. ზოოპარკი; 33. ალმა; 34. კენტავრი; 35. ათასი; 36. პოლიკარპე; 37. თია; 38. ზარანდია; 39. ავრილ; 40. ტობი; 41. იანძი; 42. ტოლმა; 43. ოსტატი; 44. ვინ; 45. ვატო; 46. ერკიულ; 47. შაური; 48. სერაფიმი; 49. სტივ; 50. ნარიყალა; 51. ვალერი; 52. „სნიკერსი“; 53. მკითხავი; 54. დობერმან; 55. კიურე; 56. სპიკერი; 57. სამარყანდი; 58. დოლფ; 59. ორთაჭალა; 60. ვადა; 61. ფონეტიკა; 62. მაყვალა; 63. ფრუ; 64. მახნო; 65. ასთაკვი; 66. კალმახი; 67. გურუ; 68. ლაპისი; 69. ლამაზისეული; 70. ნავრატილოვა; 71. ალო; 72. ხოტივარი; 73. ლითოსფერო; 74. „გიორგობისთვე“; 75. ახტალა; 76. მე; 77. ალიზი; 78. თხა; 79. პასტელი; 80. ყელი; 81. თავლა; 82. თორა; 83. ისპანახი; 84. სილა; 85. რაჭა; 86. სმალტა; 87. ნივ; 88. ვია; 89. ბასტიონი; 90. მუსკულატურა; 91. არმან; 92. ოკლაჰომა; 93. მაინ; 94. „ორლი“; 95. სპა; 96. ნოდარ; 97. ტიფლიტი; 98. ღრუბელი; 99. კასტა; 100. არაყი; 101. ტუნისი; 102. ტესტი; 103. იქსი; 104. იდიში; 105. რადა; 106. ყანა; 107. ვასო; 108. ონორე; 109. „ტრავიატა“; 110. არტალა; 111. ოპერეტა; 112. რიონი; 113. მატრიოშკა; 114. დარდანელი; 115. „კაბარე“; 116. ლოსი; 117. მახა; 118. ხარ; 119. ერინ; 120. იანკი; 121. რაინი; 122. ტუვა; 123. ბადრი; 124. გოჭი; 125. ჯილი; 126. იპრი; 127. რაზმაძე; 128. ეგო; 129. ელი; 130. ტირანა; 131. ნოლი; 132. ბაობაბი; 133. რაფაელი; 134. უკან; 135. ვან; 136. ჰაე; 137. ალეგორია; 138. რაუტი; 139. „ლილ“; 140. იპონი; 141. სტენდალი; 142. ინი. იკითხება: დრაკონი.

ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები
მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე
ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

გაზეთი „ალია“ იზიარებს თქვენს მწუხარებას

გაზეთ „ალიას“ თანამშრომლები თანავუგრძნობთ მიხეილ სახვაძეს, სიმამრის

**ზურა ხიზანიშვილის**

გარდაცვალების გამო.

გაზეთი „ალია“ იზიარებს თქვენს მწუხარებას

## შვეიცარიელმა სპეციალისტებმა სიმაღლის შიშისგან გასათავისუფლებელი აბები შექმნეს



თუკი სიმაღლის შიში ერთხელ მაინც განგიცდიათ, ისიც კარგად გემახსოვრებათ, რამდენად უსიამოვნო შეგრძნებაა და როგორი რთულია მისი გადალახვა. თუმცაღა, თუკი შვეიცარიელების მიერ შექმნილი პრეპარატი მართლაც ისეთი ეფექტურია, როგორც თავად ამბობენ, ერთ-ერთ ყველაზე საშინელ ფობიას ყველა სამუდამოდ დაემშვიდობება.

შვეიცარიელი ფიზიოლოგების ორგანიზებით ჩატარებულ ექსპერიმენტებში 40 მოხალისე მონაწილეობდა, რომლებიც ვირტუალურ მაღალ შენობებსა და ხიდებზე დადიოდნენ, თუმცა შეგრძნებები ზუსტად ისეთივე ჰქონდათ, როგორც რეალურ ცხოვრებაში ხდება ხოლმე.

შედეგად დადგინდა, რომ სტრესულ მდგომარეობაში, რომელსაც სიმაღლის შიში იწვევდა, მოხალისეების ორგანიზმი დიდი რაოდენობით ჰორმონ კორტიზოლს გამოიმუშავებდა. პრეპარატიც აღნიშნულის გათვალისწინებით შეიქმნა – ის სწორედ კორტიზოლის გამოყოფას უშლის ხელს.

ვირტუალურ სიმაღლეზე ხელმეორედ გასვლის შემდეგ, იმავე მოხალისეებს, რომლებიც მანამდე შიშს ვერაფრით ერეოდნენ, პრობლემები მთლიანად ან ნაწილობრივ მაინც მოუგვარდათ.

შეგახსენებთ, რომ სიმაღლის შიშს აკროფობია ეწოდება და ის მშვენიერი სქესის – ოთხ, ხოლო ძლიერი სქესის 5 პროცენტს სტანჯავს.

ახლა შვეიცარიელ ფიზიოლოგებს ისღა დარჩენიათ, რომ მათი პრეპარატი მაკონტროლებელმა ორგანოებმა შეამოწმონ და გაყიდვებისთვის მწვანე შუქი აუნთონ.

*mndg.ru*

## „დაყენებული“ ღიმილი ფსიქიკის დაუძინებელი მტერია?



ვინც ფიქრობს, რომ მომსახურების სფეროში სერიოზულად მოვიკოჭლებთ და არ შეიძლება, მომხმარებელს შუბლშეჭმუხნული გამყიდველი, ოფიციანტი ან გნებავთ, ბენზინის ჩამსხმელი ემსახურებოდეს, აბსოლუტურად ვეთანხმებით.

როგორც ამბობენ, ამ მხრივ ძალიან ბევრი ქვეყანაა გამორჩეული და მომსახურების სფერო უმაღლეს დონეზე აქვს აყვანილი. ყოველ შემთხვევაში, მომსახურე პერსონალს თავაზიანი ღიმილი მაინც აქვს სახეზე და წაქცეული ბუღასავით სულაც არ იბღვირება. მაგრამ რის ფასად? საკითხავი აი, ეს არის!

ფსიქოლოგებს თუ დავუჯერებთ, „დაყენებული“ ღიმილის სანაცვლოდ გამყიდველებს, სასტუმროების ადმინისტრატორებს ან გნებავთ, ბენზინის გამყიდველებს, ძალიან დიდი საფასურის გადახდა უწევთ.

– უმიზეზოდ, არაგულღიად გაღიმება ფსიქიკის დაუძინებელი მტერია და მას უდიდეს ზიანს აყენებს, – ამტკიცებენ სპეციალისტები.

გერმანელი ფსიქოლოგების აზრით, ასეთი ყალბი ღიმილი სტრესსა და დეპრესიასაც კი იწვევს. მიზეზი ის ყოფილა, რომ ადამიანი მუდმივად გამოხატავს ემოციებს, რომლებსაც სინამდვილეში ის არ განიცდის.

– ეს ორგანიზმისთვის ნამდვილი წამებაა და ჯანმრთელობაზე ადრე თუ გვიან აუცილებლად აისახება, – განმარტავენ მოსაზრების ავტორები.

ადამიანებს, რომლებსაც დღეების მანძილზე დადებითი განწყობის იძულებითი დემონსტრირება უხდებათ, ფსიქოლოგები ურჩევენ, რაც შეიძლება, დიდხანს დაისვენონ და გამოიყენონ მოდუნების სხვადასხვა ხერხი. წინააღმდეგ შემთხვევაში, საკუთარ ჯანმრთელობას უდიდეს ზიანს მიაყენებენ.

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

*myjane.ru*

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**
**4 მარტი:** შეიძლება შეგექმნათ შთაბეჭდილება, რომ გარშემო ყველა ბავშვობაში გადაეშვა. ერთადერთი გამოსავალი ისაა, რომ მათ შეუერთდეთ.

**კურო 22.04-21.05**
**4 მარტი:** რა ტყუილსაც არ უნდა ამბობდეთ, გარშემომყოფნი თქვენს ყველა ნათქვამს დაიჯერებენ. შეეცადეთ, ამ სიტუაციით ბოროტად არ ისარგებლოთ.

**ტყუპები 22.05-21.06**
**4 მარტი:** მზად ხართ, ყველაფერზე წახვიდეთ, ოღონდ თქვენი საქმეები არ გააკეთოთ. სხვებს მაინც დაეხმარეთ და სხვა დროს ისინიც გვერდში დაგიდგებიან.

**კირჩხიბი 22.06-22.07**
**4 მარტი:** თავის გამოჩენის მცდელობამ შეიძლება უკიდურესობებში გადაგაგდოთ. ყველაფერი იღონეთ, რომ ამის გამო გარშემომყოფებთან ურთიერთობა არ დაგეძაბოთ.

**ლომი 23.07-22.08**
**4 მარტი:** თქვენი დამახასიათებელი თვისება აკურატულობა უნდა იყოს. დაბნეულობა და უყურადღებობა ბევრ საკითხში შეგიშლით ხელს.

**ქალწული 23.08-22.09**
**4 მარტი:** ძალიან დიდი შესაძლებლობები გექნებათ, მაგრამ მათ ვერ დაინახავთ და ვერ გამოიყენებთ, სანამ უახლოესი წრის გავლენისგან არ განთავისუფლდებით.

**სასწორი 23.09-22.10**
**4 მარტი:** შეგიძლიათ, დღეს ქცევის ჩვეულ ნორმებს ოდნავ გადაუხვიოთ. არ იფიქროთ იმაზე, ამას რა მოჰყვება, უბრალოდ, იმოქმედეთ, მაგრამ ზომიერად.

**მორიელი 23.10-21.11**
**4 მარტი:** კონცენტრაცია ერთ კონკრეტულ, მნიშვნელოვან საკითხზე მოახდინეთ. ყველა დანარჩენი მხოლოდ დროს დაგაკარგვინებთ. ყველაფერს ერთად მაინც ვერ მოასწრებთ.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**
**4 მარტი:** ფულით ბევრი რამის ყიდვა შეიძლება, თუმცა ყველაფერს ვერ შეიძენ. თავს გარკვეული თანხის დახარჯვის უფლება მიეცით, მაგრამ ზომიერება დაიცავით.

**თხის რქა 22.12-19.01**
**4 მარტი:** სტუმართმოყვარე სახლის გულღია მასპინძელი იქნებით. რომც არავინ დაპატიჟოთ, სტუმრები ვიზიტს არ დაახანებენ. წინასწარ მოემზადეთ.

**მერწყული 20.01-18.02**
**4 მარტი:** თუ დღეს სიმშვიდეს შეინარჩუნებთ, უსიამოვნებებს ადვილად აიცილებთ. აუცილებელი არ არის, ვინმე თავზე დაისვათ, უბრალოდ, აგრესია არ გამოავლინოთ.

**თევზები 19.02-20.03**
**4 მარტი:** იოლი შემოსავლის მიღების ცდუნებამ, შეიძლება ბევრი უხეში და დასანანი შეცდომა ჩაგადენინოთ. მით უმეტეს, ეს შემოსავალი არცთუ დიდი იქნება.

**გაზეთი „ალია“ სამუშაოდ იწვევს ჟურნალისტებს!**

დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ:

577 74 99 89

„ალიას“ რედაქტორი თამაზ ბესტავაშვილი

(15 საათიდან)

**განცხადება**

შევისყიდი ძველებურ ნივთებს: ხმლებს, ხანჯლებს, ნახშირის სამოვრებს, მედლებს, ორდენებს, ვერცხლეულს, ძველებურ დამუშავებულ ქარვის, მარჯნისა და ფირუზის მძივებს. რუსულ მეფისდროინდელ მონეტებსა და ქაღალდის ფულს 1898 წლამდე, რუსულ წიგნებს 1940 წლამდე სამხედრო, ისტორიულ, კავკასიურ თემატიკებს. ლენინგრადისა და გერმანულ ფაიფურის ფიგურებს, ძველებურ რკინის მასიურ ქანდაკებებს. ძველებურ ავტორიან ნახატებს, ძველებურ ოქროსა და ვერცხლის სამკაულს, ბინაზე მომსახურებით.

555 125 770; 596 777 773

## რომელი კერძი აიძულებს მამაკაცს... დაქორწინდეს?



კუჭზე გადისო გზა მამაკაცის გულისკენო... ნეტავ, მართლა ასეა, ეს ოხერი?! რა ვიცით, მშვენიერი სქესის წარმომადგენლების უმრავლესობის მოსაზრება ასეთია და ლამის ყველა კვლევაც ანალოგიურ შედეგს იძლევა.

როგორც ირკვევა, ამერიკელმა მეცნიერებმა გადაწყვიტეს, ის კერძი დაედგინათ, რომელიც მამაკაცს დაქორწინების სურვილს აღუძრავდა. საიდან გაუჩნდათ მათ ასეთი იდეა, კაცმა არ იცის, მაგრამ შედეგზე კი მოგახსენებთ:

აღმოჩნდა, რომ ასეთ სურვილს მამაკაცს შემწვარი ქათამი აღუძრავს. ბუნებრივია, განსაკუთრებულად და გემრიელად მომზადებული.

კვლევის ავტორები ამტკიცებენ, რომ როგორც კი ძლიერი სქესი შემწვარ ქათამს აგემოვნებს, მაშინვე ოჯახზე იწყებს ფიქრს.

რატომ ქმნის სითბოს და სიმყუდროვის შეგრძნებას შემწვარი ქათამი, პასუხს კვლევის ავტორები ვერ აკონკრეტებენ.

მოკლედ, ძვირფასო მამაკაცებო, თუკი გსურთ, ისევ თქვენს გემოზე იცხოვროთ, შემწვარ ქათამს არ გაეკაროთ!..

*myjane.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*



ორი სვანი ნადირობს
– მაიზერ, მიდი, ერთი, ნახე, რა ცხოველი მოვკალი?

– რა ცხოველია, არ ვიცი, მარა პირადობის მოწმობაში თენგიზ უბედურაშვილი უწერია...

*მოამზადა დავით ახობაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

**გაზეთი „ალია“**
გამოდის ოთხშაბათს და პარასკევს
გამომცემელი
გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)
საინფორმაციო განყოფილების რედაქტორი – მიხეილ სახვაძე
599 93 28 03; 2-21-21-80 (108)
ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96
გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
ილია ჭაჭვაძე (599 55-45-22)
კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
ლევან ბანეთიშვილი

**გაზეთ „ალიაში“** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

სარეკლამო სამსახური
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008
UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49
რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail:
alia@alia.ge
გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 04.04